

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

რომის სამართლის კვლევები

იუსტინიანეს დიგესტები
წიგნი ოცდამესამე

გამომცემლობა „ნეკერი“

2001

**Corpus Iuris Civilis
Digesta Iustiniani**

**LIBER VICESIMUS
TERTIUS**

IUSTINIAN'S DIGEST

23

The Georgian translation, preface, notes and index have been
made by prof. **Nugzar Surguladze**

Edited by prof. **Valerian Metreveli**

Дыгесты Юстиниана

23

Перевод с латинского. введение, примечания и указатели
проф. Н. И. Сургуладзе

Редактор проф. В. Д. Метревели

**„კორკუს იურის ცივილის“
იუსტინიანეს დიგესტები**

წიგნი ოცდამესამე

**ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები
და საძიებლები დაურთო ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორმა, პროფ. ნუბზარ სურგულაძემ**

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს რომის სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლის „დიგესტების“ 23-ე წიგნის ქართულ ენაზე პირველად შესრულებულ თარგმანს, რომელიც მთლიანად ეძღვნება რომის საოჯახო სამართალს („დიგესტების“ პირველი წიგნი 2000 წელს იქნა გამოცემული).

თარგმანი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრაზე პროფ. ნ. სურგულაძის მიერ.

განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და სპეციალისტებისათვის, აგრეთვე რომის სამართლით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: პროფ. ვ. მეტრეველი

**რეცენზენტები: პროფ. ბ. ნადარეიშვილი
დოც. ბ. ჯაშალიშვილი**

წინასიტყვაობა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრა აგრძელებს რომის სამართლის ძეგლების გამოცემას. 2000 წელს გამოიცა იმპერატორ იუსტინიანეს „დიგესტების“ პირველი წიგნი. გამოსაცემად მზადდება იუსტინიანეს „ინსტიტუციები“. ამჯერად რომის სამართლით დაინტერესებულ მკითხველებს ვთავაზობთ „დიგესტების“ ოცდამესამე წიგნს.

ჩვენს მიერ გამოცემულ იუსტინიანეს „დიგესტების“ პირველი წიგნის შესავალში, რომელიც დაწერილია პროფესორ ვ. მეტრეველის მიერ, საკმაოდ ვრცლად არის საუბარი იუსტინიანეს კოდიფიკაციასა და „დიგესტების“ შესახებ, ამიტომ ამჯერად მხოლოდ „დიგესტების“ ოცდამესამე წიგნს შევეხებით.

„დიგესტების“ ვრცელი (50 ტომიანი) კრებულის 23-ე წიგნი მთლიანად რომის საოჯახო სამართალს ეძღვნება. ამ წიგნის პირველი ტიტული ეხება ნიშნობას; მეორე, ალბათ, ყველაზე საინტერესო ტიტული კი – ქორწინების წესებსა და პირობებს. მომდევნო ტიტულები კი მთლიანად აქვს დათმობილი მზითვის ინსტიტუტს.

წინამდებარე ნაშრომი, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია რომის სამართლით დაინტერესებული მკითხველისათვის, მაგრამ იგი ამავე დროს მნიშვნელოვანია რომისა და ქართული საოჯახო სამართლის შედარებითი შესწავლის თვალსაზრისით.

ნაშრომზე მუშაობისას ჩვენ ხელთ გვქონდა „დიგესტების“

გერმანული (Corpus Iuris Civilis, Volumen Primum, Institutiones, Recognovit Paulus Krueger, Digesta, Recognovit Theodorus Mommsen, Retractavit Paulus Krueger, Weidmann, 1933) და ფრანგული (Les Cinquante Livres du Digeste ou des Pandectes. de L'Empereur Justinien, Traduites en français par feu M. Hulot, M. Berthelot, Paris (1803)) გამოცემები (ფრანგულ გამოცემას თან ახლავს ლათინური ტექსტის ფრანგულ ენაზე თარგმანი). ამ გამოცემებს შორის მცირეოდენი განსხვავება არსებობს, მაგრამ მათ არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ (შედარებით მნიშვნელოვანი განსხვავებების შესახებ იხ. შენიშვნები). ჩვენ ძირითადად „დიგესტების“ გერმანულ გამოცემას ვეყრდნობით, რომელიც სპეციალისტებს შორის ამ ძეგლის საუკეთესო გამოცემად არის მიჩნეული. ლათინური ტექსტის თარგმნისას დახმარება გაგვიწია ცნობილი მეცნიერის ი. პერეტერსკის მიერ რუსულ ენაზე შესრულებულმა თარგმანმა (Дигесты Юстиниана, Избранные фрагменты в переводе и с примечаниями И. С. Перетерского, Москва, 1984), მაგრამ, სამწუხაროდ, ეს თარგმანი არასრულია (თარგმნილია 23-ე წიგნის დაახლოებით მეათედი).

წინამდებარე ნაშრომს დაეურთეთ შენიშვნები და საძიებლები. რამდენადაც ნაშრომი სპეციალისტების გარდა სტუდენტებისთვისაც არის განკუთვნილი, საძიებლებში ჩვენ ვიძლევიტ ლათინურ ტერმინთა ქართულ თარგმანს, და ამდენად, საძიებლები იმავდროულად ლექსიკონსაც წარმოადგენს. საძიებლებში რომის სამართლის სპეციალისტთა შორის მითითებების ყველაზე გავრცელებულ წესს ვიყენებთ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მითითება „D“, („დიგესტები“) და წიგნის აღმნიშვნელი ციფრი (23-ე) ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, საჭირო არ არის. ასე რომ, ვიყენებთ სამ ან ორციფრიან მითითებას, რომელთაგან პირველი ციფრი აღნიშნავს ტიტულს, მეორე – ფრაგმენტს, მესამე კი – პარაგრაფს.

დიგესტიები ანუ კანდექტები წიგნი ოცდამესამე

ტიტული I. ნიშნობის შესახებ

1. ფლორენტინუსი, „ინსტიტუციები“, 2-3 ნიგნო ნიშნობა არის მომავალი ქორწინების დათქმა¹ (ხსენება) და ორმხრივი დაპირება².

2. ულპიანე, ნიგნო „ცალკეული [საკითხები] ნიშნობის შესახებ“

ხოლო „ნიშნობას“ (sponsalia) სახელი ეწოდა [სიტყვისაგან] „დაპირება“ (spondere)³, ვინაიდან ძველებს თავიანთთვის მომავალი ცოლების სტიპულირებისა⁴ და დაპირების ჩვეულება ჰქონდათ.

3. ფლორენტინუსი, „ინსტიტუციები“, 2-3 ნიგნო და აქედან წარმოიშვა სახელწოდება – [დანიშნული] საქმრო (sponsus) და საცოლე (sponsa)⁵.

4. ულპიანე, „საბინუსისათვის“, 35-ე ნიგნო

ნიშნობის დაწესებისათვის საკმარისია უბრალო თანხმობა.

§ 1. დაბოლოს, ცნობილია, რომ ნიშნობა არათანმყოფ პირებს შორისაც არის შესაძლებელი. და ეს ყოველდღიურად ხდება.

5. კომპონენუსი, „საბინუსისათვის“, 2-16 ნიგნო

და ასეა იმ შემთხვევაში, თუ ნიშნობა არათანმყოფი პირის თანხმობით ხდება ან თუ იგი ამას შემდგომში დაამოწმებს.

6. ულპიანე, „საბინუსისათვის“, 36-ე ნიგნო

თუ ქალიშვილის მეურვეებმა ნიშნობის შესაწყვეტად მაცნე გაგზავნეს, მე არ მივიჩნევდი, რომ ქორწინების იმედის მოშლისათვის ეს მაცნე საკმარისი იყოს, ისევე, როგორც არ არის ეს საკმარისი ნიშნობის დაწესებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნიშნობა ქალიშვილის სურვილით ხდება.

7. პაპლუსი, „ელექტის შესახებ“, 35-ე ნიგნო

ნიშნობისას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ხდება

თუ არა იგი მოწმეების მოწვევით ან თუ პირი დაპირებას წერილობითი საბუთის გარეშე იძლევა.

§ 1. ნიშნობისას იმავე პირთა თანხმობაა საჭირო, რომელთა თანხმობაა საჭირო ქორწინების დროსაც. იულიანე წერს, რომ ქალიშვილის მამა ყოველთვის თანახმად ითვლება, თუკი იგი უარყოფით აზრს აშკარად არ გამოხატავს.

8. **გაიუსი**, „პროვინციული ედიქტის შესახებ“, 95-11 ნიგნში თავისთავად ცხადია, რომ შემლილობა ნიშნობის დაბრკოლებას წარმოადგენს, მაგრამ [ნიშნობის] შემდეგ დამდგარი შემლილობა ნიშნობას ძალას არ უკარგავს.

9. ულპიანე, „ედიქტის შესახებ“, 35-ე ნიგნში

იულიანესთან კითხვაა დასმული: იარსებებს თუ არა ნიშნობა იმ შემთხვევაში, თუკი ქორწინების ხელშეკრულება თორმეტი წლის ასაკამდე დადებული? და მე ყოველთვის ლაბონის მოსაზრებას ვეთანხმებოდი, რომელიც თვლიდა, რომ თუ ნიშნობა წინ უსწრებს [ქორწინებას], იგი არ წყდება, თუნდაც ქალიშვილმა [ქმრის] სახლში როგორც ცოლმა დაიწყო ცხოვრება. მაგრამ თუ ნიშნობა წინ არ უსწრებს [ქორწინებას], მაშინ ნიშნობა დაწესებულად აღარ ჩაითვლება თავად იმის გამო, რომ [ქალიშვილი ქმრის] სახლში იქნა შეყვანილი. ამ მოსაზრებას პაპინიანეც ეთანხმება.

10. იგივი, „დისკუსტაციები“, 95-3 ნიგნში

თუ ქალიშვილი მამის ხელისუფლების ქვეშ იმყოფება, მაშინ მამას შეუძლია საქმროს მაცნე გაუგზავნოს და ნიშნობა მოშალოს. მაგრამ თუ [ქალიშვილი] მამის ხელისუფლებიდან განთავისუფლებულია, მაშინ მამას [ნიშნობის მოსაშლელად] არც მაცნის გაგზავნა შეუძლია და არც იმის უკან გამოთხოვა, რაც მზითვის სახით იქნა მიცემული, ვინაიდან თავად ქალიშვილი [თავისი] გათხოვებით ადგენს მზითვის არსებობას და აქარწყლებს კონდიქციას (პირად სარჩელს)⁶ იმის დაბრუნების თაობაზე, რაც განსაზღვრული მიზნით იქნა გაცემული, თუ ეს მიზანი არ შესრულდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აცხადებენ, რომ მამამ თავისი ხელისუფლებიდან განთავისუფლებულ ქალიშვილს მზითვეი

იმ პირობით მისცა, რომ თუ იგი ქორწინებაზე თანახმა არ იქნება, გინდაც საქორწინო ხელშეკრულება დაიდოს და გინდაც – არა, იგი (მამა) გამოითხოვს იმას, რაც მისცა. ვინაიდან ამ შემთხვევაში მას [მზითვის] უკან გამოთხოვის უფლება ექნება.

11. იულიანე, „ლიბესტაზი“, მ-16 ნიგნვი

ნიშნობა, ისევე როგორც ქორწინება, კონტრაქტების თანხმობის საფუძველზე ხორციელდება და ამიტომაც საჭიროა, რომ „ოჯახის ქალიშვილმა“ როგორც ქორწინების, ასევე ნიშნობის დროს თავისი თანხმობა გამოხატოს.

12. ულკიანე, ნიგნვი „ცალკაული [საკითხავი] ნიგნოვის შინაგანა“

მაგრამ ქალიშვილი, რომელიც მამის ნებას არ ეწინააღმდეგება, თანახმად ითვლება.

§ 1. მაგრამ მამის შეწინააღმდეგების უფლება ქალიშვილს მხოლოდ მაშინ ეძლევა, როდესაც მამა მას უღირსი ზნის ან სახელგატეხილ საქმროს აურჩევს.

13. პავლუსი, „ელიძის შინაგანა“, მ-5 ნიგნვი

თუ ოჯახის ვაჟიშვილი თანახმა არ არის, [მამის] მისი სახელით ნიშნობის დაწესება არ შეიძლება.

14. მოდესტინუსი, „ბანსხვაპაბანი“, მ-4 ნიგნვი

ნიშნობის დაწესებასთან დაკავშირებით კონტრაქტების ასაკი განსაზღვრული არ არის, როგორც ეს არის ქორწინების შემთხვევაში. რის გამოც დანიშნა ადრეულ ასაკშიც არის შესაძლებელი, ოღონდ თუ ორივე მხარეს ესმის ის, რასაც ისინი აკეთებენ, ე.ი. თუ ისინი შეიდ წლამდე ასაკისანი არ არიან.

15. იგივე, ნიგნვი „ცალკაული [საკითხავი] გარკვეული შინაგანის შინაგანა“

მეურვეს, რომელსაც მეურვეობაში ქალიშვილი ჰყავს, მისი არც ცოლად მოყვანა შეუძლია და არც თავის ვაჟიშვილზე დაქორწინება, ამასთან, უნდა ვიცოდეთ, რომ ის [წესი], რაც ჩვენ ქორწინების შესახებ გადმოვეცით, ნიშნობასაც⁷ ეხება.

16. ულკიანე, „იულიუსის და პაპიუსის კანონის შესახებ“, 31-3 ნიბნში

იმპერატორების ანტონინუსისა და კომოდუსის ბრძანებულებაში (oratio)⁸, რომელმაც აკრძალა სენატორების ქორწინება ზოგიერთ პირებთან, არაფერია ნათქვამი ნიშნობის შესახებ. მაგრამ იმის შესავსებად, რაც ბრძანებულებას აკლია, სწორად ამბობენ, რომ ამ შემთხვევაში კანონის თანახმად [იგულისხმება, რომ] ნიშნობაც ასევე არ არსებობს.

17. გაიუსი, „იულიუსის და პაპიუსის კანონის შესახებ“, 1-ლ ნიბნში

ხშირად კანონიერი საფუძველი და აუცილებლობა აჭიანურებს ნიშნობას არა მარტო ერთი ან ორი, არამედ სამი, ოთხი ან უფრო მეტი წლითაც. როგორც, მაგალითად, საქმროს ან საცოლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ან მშობლების გარდაცვალება, ან მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულის [ჩადენა], ან აუცილებლობით გამოწვეული ხანგრძლივი მოგზაურობა.

18. ულკიანე, „ედიქტის შესახებ“, 31-6 ნიბნში

ნიშნობის განხორციელებისათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, შესრულდა თუ არა იგი [უშუალოდ] მხარეთა მიერ ან მათი თანდასწრებით, შუამავლის ან წერილის მეშვეობით თუ რაიმე სხვა საშუალებით. და თითქმის ყოველთვის ნიშნობა შუამავალი პირების („მაცნეების“) მეშვეობით ხორციელდება.

ტიტული II. ქორწინების წესის (რიგის) შესახებ

1. მოდესტინუსი, „რეგულაზი“, 1-ლ ნიბნში

ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის კავშირი, მთელი ცხოვრების ერთიანობა, ღვთიური და ადამიანური სამართლის ერთობა.

2. პავლუსი, „ედიქტის შესახებ“, 35-ე ნიბნში

არ შეიძლება [და]ქორწინება, თუ არ არის თანხმობა ყველა

[მხარისა], ე.ი. იმ პირებისა, რომლებიც ქორწინდებიან და ასევე იმ პირებისა, რომელთა ხელისუფლების ქვეშ ისინი იმყოფებიან.

3. იგივე, „საბინუსისათვის“, 1-ლ ნიბნში

თუ მე ჩემი ხელისუფლების ქვეშ მყავს მამრობითი სქესის შვილიშვილი ერთი ვაჟიშვილისგან და მდედრობითი სქესის შვილიშვილი მეორე ვაჟიშვილისაგან, მაშინ, როგორც პომპონიუსი წერს, მათ შორის ქორწინება მხოლოდ ჩემი თანხმობით შეიძლება და ეს [სავსებით] სწორია.

4. პომპონიუსი, „საბინუსისათვის“, 2-3 ნიბნში

თორმეტ წლამდე ასაკის ქალიშვილი (საცოლე) მაშინ ზდება კანონიერი ცოლი, როდესაც მას ქმართან ყოფნისას თორმეტი წელი შეუსრულდება.

5. იგივე, „საბინუსისათვის“, 2-4 ნიბნში

დადგენილია, რომ ქალი შეიძლება დაქორწინდეს არათანმყოფ პირზე მისი (ე.ი. საქმროს) წერილის ან შუამავლის („მაცნის“) მეშვეობით, თუ ქალი ქმრის სახლში შეჰყავთ. მაგრამ არათანმყოფ ქალს [თავისი] წერილის ან შუამავლის მეშვეობით დაქორწინება არ შეუძლია, რადგან საჭიროა [ცოლის] შეყვანა ქმრის სახლში, როგორც ქორწინების ადგილსამყოფელში, და არა [ქმრისა] ცოლის სახლში.

6. ულპიანა, „საბინუსისათვის“, 35-ე ნიბნში

დაბოლოს, ცინა წერს, რომ თუ პირი არათანმყოფ ცოლზე დაქორწინდა, შემდეგ ტიბრის გაღმა წვეულებიდან დაბრუნებისას დაიღუპა, ცოლს მასზე გლოვა მოეთხოვება.

7. პავლუსი, ნიბნში „ცალკეული [საკითხები] უალციდიუსის კანონის შესახებ“

ამრიგად, ამ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, რომ რომელიმე ქალიშვილს [ერთდროულად] მზითევიც ჰქონდეს და მზითვის [გამოთხოვის] სარჩელიც.

8. პომპონიუსი, „საბინუსისათვის“, 2-5 ნიბნში

გააზატებულს (ლიბერტინს) არ შეუძლია [თავისი] გააზატებული დედის ან დის ცოლად მოყვანა და ეს წესი შემოღებულია ჩვეულებით და არა კანონით.

9. ულკიანე, „საბინუსისათვის“, 26-ე ნიგნში

თუ შეილიშვილს, რომელსაც პაპა შეშლილი ჰყავს, ცოლის მოყვანა უნდა, ყველა შემთხვევაში მამის ნებართვაა საჭირო; ხოლო თუ მამაა შეშლილი, პაპა კი საღ გონებაზეა, მაშინ პაპის ნებართვა საკმარისია.

§ 1. პირს, რომლის მამა მტრებს ტყვედ ჩაუვარდა, ცოლის მოყვანა შეუძლია [იმ შემთხვევაში], თუ მამა [ტყვეობიდან] სამი წლის განმავლობაში არ დაბრუნდა.

10. პავლუსი, „ელიქტის შესახებ“, 35-ე ნიგნში

საფუძვლიანი ეჭვი არსებობს იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს იმ შემთხვევაში, როდესაც მამა ადგილზე არ იმყოფება ისე, რომ არაინ იცის, თუ სად არის იგი ან საერთოდ ცოცხალია თუ არა. და თუ სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ არ იცინა, თუ სად ცხოვრობს მამა ანდა არის თუ არა იგი ცოცხალი, მაშინ [ასეთი მამის] ორივე სქესის ბავშვებს კანონიერი ქორწინება არ ეკრძალებათ.

11. იულიანე, „ლიგისტაჰი“, 61-6 ნიგნში

თუ იმ პირის ვაჟიშვილი, რომელიც მტრებს ჰყავთ [ტყვედ] ან ადგილზე არ იმყოფება, მამის ტყვედ ჩავარდნიდან ან არყოფნიდან სამი წლის ვადის გასვლამდე ცოლს მოიყვანს ან [ასეთი პირის] ქალიშვილი გათხოვდება, მე ვფიქრობ, რომ დაქორწინება სწორად მოხდა, ოღონდ თუ ვაჟიშვილმა ისეთი ქალი მოიყვანა ცოლად ან ქალიშვილი ისეთ პირზე გათხოვდა, რომელთან დაქორწინებას, გარკვეულია, რომ მამა დაეთანხმება.

12. ულკიანე, „საბინუსისათვის“, 26-ე ნიგნში

თუ ქალი ჩემი ცოლი იყო და შემდეგ მე მას გავშორდი და იგი სეიუსს გაჰყვა ცოლად, რომელიც მე შემდგომში „ადროგაციოს“ მეშვეობით შვილად ავიყვანე, ასეთი ქორწინება სისხლის აღრევა არ არის.

§ 1. ჩემი დაქორწინება მამაჩემის საცოლეზე არ შეიძლება, თუმცა მას ჩემი დედინაცვალი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არ შეიძლება ეწოდოს.

§ 2. და პირიქით, მამაჩემს ჩემი საცოლის ცოლად მოყვანა არ შეუძლია, თუმცა [მასაც მამაჩემის] რძალი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არ უნდა ეწოდოს.

§ 3. თუ ჩემი ცოლი ჩემთან განქორწინების შემდეგ სხვაზე გათხოვდა და მას ქალიშვილი გაუჩნდა, იულიანეს მოსაზრებით, ეს ქალიშვილი ჩემი გერი არ იქნება, მაგრამ მე მასთან ქორწინებაზე თავი უნდა შევიკავო.

§ 4. მე შემიძლია ცოლად მოვიყვანო ჩემი დის მიერ შვილად აყვანილი ქალიშვილი. ვინაიდან, მისი (ჩემი დის) ქალიშვილი ჩემი ნათესავი არ არის, რადგან არავინ ხდება ბიძა (დედის მხრიდან) შვილად აყვანის („adoptio“) მეშვეობით. „აღოფციო“-ს გზით ხდებიან მხოლოდ „კანონიერი ნათესავები“, ე.ი. ისინი, ვისაც აგნატობის უფლება გააჩნიათ. ამავე საფუძველზე მე შემიძლია ცოლად მოვიყვანო შვილად აყვანილი მამაჩემის და, თუ იგი იმავე მამის მიერ არ არის გაჩენილი.

13. იგივეა, „საბინუსისათვის“, 35-ე ნიგნში

თუ პატრონი ქალი იმდენად უბრალო (არაკეთილშობილი) წარმოშობისაა, რომ მისთვის თავისივე გააზატებულზე დაქორწინება ღირსეულიც კი იქნება, ეს [ქორწინება] არ უნდა აკრძალოს მოსამართლეებმა, რომლებმაც ამ გარემოების შესახებ თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებისას შეიტყვეს.

14. პავლუსი, „ილიქტის შესახებ“, 35-ე ნიგნში

შვილად აყვანილმა ვაჟიშვილმა, თუ იგი გააზატდა, არ შეიძლება ცოლად მოიყვანოს ქალი, რომელიც მშვილდებელი მამის ცოლი იყო, რადგან მას დედინაცვლის ადგილი უკავია.

§ 1. ასევე, თუ პირი „აღოფციოს“ მეშვეობით ვაჟიშვილს შვილად აიყვანს, მას ვაჟიშვილის გააზატების შემდეგაც კი არ შეუძლია დაქორწინდეს მის ცოლზე, რადგან იგი ოდესღაც მისი რძალი იყო.

§ 2. ამ (ე.ი. ქორწინების) სამართალში ყურადღება მონების ნათესაობასაც უნდა მიექცეს. ასე რომ, მონობიდან განთავისუფლებულს არ შეუძლია თავისი დედის ცოლად მოყვანა. იგივე წესი არსებობს დასთან და დის ქალიშვილთან დაკავშირებით.

იგივე უნდა ითქვას საწინააღმდეგო შემთხვევაშიც; ასე რომ, მამას არ შეუძლია [თავისი] ქალიშვილის ცოლად მოყვანა, თუ ისინი მონობიდან განთავისუფლდნენ, თუნდაც საეჭვო იყოს, რომ იგი მისი მამაა. აქედან გამომდინარე, ღვიძლ მამას არ შეუძლია ქორწინების გარეშე გაჩენილი ქალიშვილის ცოლად მოყვანაც, რადგან დაქორწინებისას ყურადღება უნდა მიექცეს ბუნებითს სამართალს და სინდისიერებასაც, ხოლო საკუთარი ქალიშვილის ცოლად მოყვანა კი სინდისიერებას ეწინააღმდეგება.

§ 3. მაგრამ ის, რაც მონების ნათესაობის თაობაზე არის დაწესებული, დაცული უნდა იქნეს მონების მოყვრობასთან დაკავშირებითაც. მაგალითად, მე არ შემიძლია ცოლად მოვიყვანო ის ქალი, რომელიც მამაჩემთან ქორწინების გარეშე კავშირში იმყოფებოდა, ისევე, როგორც დედინაცვალი. და პირიქით, მამას არ შეუძლია ცოლად მოიყვანოს ქალი, რომელსაც მის ვაჟიშვილთან ქორწინების გარეშე კავშირი ჰქონდა დამყარებული, ისევე როგორც რძალი. ასევე, არ შეიძლება პირმა ცოლად მოიყვანოს დედა იმ ქალისა, რომელიც მონად ყოფნისას ცოლად ჰყავდა, ისევე როგორც სიდედრი. ვინაიდან, თუ ცნობენ მონების ნათესაობას, მაშინ რატომ არ უნდა იქნეს ცნობილი მონების მოყვრობა? და საეჭვო შემთხვევაში უფრო სწორი და მიზანშეწონილი იქნება ამგვარი ქორწინებისგან თავის შეკავება.

§ 4. ახლა ვნახოთ, თუ ვინ ითვლება დედინაცვლად, გერად, სიდედრად და რძლად, რათა ვიცოდეთ, თუ ვისი ცოლად მოყვანა არ შეგვიძლია. ზოგი თავის დედინაცვლად მიიჩნევს მამის ცოლს, რძლად – ვაჟიშვილის ცოლს, გერად – ცოლის ქალიშვილს სხვა ქორწინებიდან. ასე რომ, პირს შეიძლება ჰყავდეს ორი ან რამდენიმე დედინაცვალი, რომელთა ცოლად მოყვანა არ შეიძლება. ეს გასაკვირი არ არის. ვინაიდან შვილად აყვანილს არ შეუძლია ცოლად მოიყვანოს არც ღვიძლი მამის და არც მშვილებელი მამის ცოლი. ხოლო თუ მამას რამდენიმე ცოლი ჰყავდა, ვაჟიშვილს არცერთი მათგანის ცოლად მოყვანა არ შეუძლია. ამრიგად, ტერმინ სიდედრის ქვეშ იგულისხმება არა მარტო ჩემი ცოლის დედა,

არამედ აგრეთვე ბებია და ბებიის დედა. და არცერთი მათგანის ცოლად მოყვანა არ შემიძლია. და ტერმინი „რძალი“ აღნიშნავს არა მარტო ვაჟიშვილის ცოლს, არამედ მოიცავს აგრეთვე შვილიშვილის და შვილიშვილის შვილის ცოლსაც, თუმცა ზოგი ამ უკანასკნელთ „პრონურუს“-ს (pronurus – შვილიშვილის ცოლი) უწოდებს. ასევე გერად უნდა მივიჩნიოთ არა მარტო ცოლის ქალიშვილი, არამედ აგრეთვე მდელრობითი სქესის შვილიშვილი და შვილიშვილის შვილი, რათა არცერთი მათგანის ცოლად მოყვანა ვერ შევძლო. ასევე, არ შემიძლია ცოლად მოვიყვანო, ავგუსტუსის განმარტებით, იმ ქალის დედა, რომელიც საცოლედ მყავდა, რადგან იგი ჩემი სიდედრი იყო.

15. პაპინიანა, „პასუსეპი“, გვ-4 ნიგნში

მამინაცვალი არ უნდა დაქორწინდეს იმ პირის ცოლზე, რომელიც როდისმე მისი გერი იყო. და დედინაცვალიც არ უნდა გათხოვდეს იმ პირზე, რომელიც გერის ქმარი იყო.

16. პავლუსი, „ედიქტის შესახებ“, 35-ე ნიგნში

ღვთაებრივი მარკუსის სენატისადმი წარდგენილი ბრძანებულება („ორაციო“) ითვალისწინებს, რომ თუ სენატორის ქალიშვილი გააზატებულზე გათხოვდება, მაშინ ქორწინება არ არსებობს. და ამ ბრძანებულებას [შესაბამისი] სენატუსკონსულტიც მოჰყვა.

§ 1. თუ მამრობითი სქესის შვილიშვილს ცოლი მოჰყავს, ამაზე ვაჟიშვილის თანხმობაც არის საჭირო, ხოლო თუ მდელრობითი სქესის შვილიშვილი თხოვდება, მაშინ პაპის ნებართვა და თანხმობა საკმარისია.

§ 2. შეშლილობა ქორწინების დამაბრკოლებელი [ფაქტორია], ვინაიდან იგი ორივე მხარის თანხმობას საჭიროებს, მაგრამ სწორად (დამყარებულ) ქორწინებას შეშლილობა არ აფერხებს.

17. ბაიუსი, „პროვინციული ედიქტის შესახებ“, გვ-11 ნიგნში

„ადოფციოს“¹⁰ (შვილად აყვანის) მეშვეობით შექმნილი ძმობაც აბრკოლებს ქორწინებას მანამდე, სანამ შვილად აყვანის მდგომარეობა გრძელდება. აქედან გამომდინარე, მე შემიძლია

ცოლად მოვიყვანო ის ქალი, რომელიც მამაჩემმა იშვილა და [შემდეგ] თავისი ხელისუფლებიდან გაათავისუფლა. ასევე, თუ მე გამათავისუფლა, ხოლო ის (ქალიშვილი) კი თავისი ხელისუფლების ქვეშ დაიტოვა, მე მასთან დაქორწინება შემეძლება.

§ 1. ამგვარად, თუ ვინმეს სიძის შვილად აყვანა სურს, მას ურჩევენ, რომ ქალიშვილი თავისი ხელისუფლებიდან გაათავისუფლოს. მსგავსად ამისა, იმ პირს, რომელსაც რძლის შვილად აყვანა სურს, ურჩევენ, რომ მან ვაჟიშვილი თავისი ხელისუფლებიდან გაათავისუფლოს.

§ 2. ასევე გვეკრძალება მამიდის და დედის, აგრეთვე მამის და დედის მხრიდან პაპის დის ცოლად მოყვანა, თუმცა პაპის დები მეოთხე ხარისხის [ნათესავეები] არიან. ხოლო განსაკუთრებით გვეკრძალება მამიდის და მამის მხრიდან პაპის დის ცოლად მოყვანა, თუნდაც ისინი ჩვენთან „აღოფციოს“ მეშვეობით იყვნენ დაკავშირებულნი.

18. იულიანე, ღიბასტაგი, მკ-16 ნიგნში

ქორწინება იმავე პირებს შორის, თუ იგი მშობლების ნებართვით არ არის განახლებული, კანონიერად არ ითვლება.

19. მარცინაე, „ინსტიტუციაგი“, მკ-16 ნიგნში

იულიუსის კანონის 35-ე თავის მიხედვით, პირები, რომლებსაც თავიანთი ხელისუფლების ქვეშ ბავშვები ჰყავთ, და რომლებიც მათს დაქორწინებას ხელს უშლიან, ან ის პირები, რომელთაც მზითვის მიცემა არ სურთ, ღვთაებრივების სევერუსისა და ანტონინუსის კონსტიტუციით, პროკონსულებმა და პროვინციათა პრეზესებმა უნდა აიძულონ [ბავშვების] დაქორწინება და მზითვის მიცემა. ხოლო [ქორწინებისთვის] ხელის შემშლელად ითვლება ის პირიც, რომელიც [ბავშვების] დაქორწინებას არ ცდილობს.

20. პავლუსი, ნიგნში „ცალკაული საკითხაგი ღვთაებრივების სევერუსისა და კომოდუსის ბრძანებულაგის („ორაციოს“) შესახებ“

საჭიროა ვიცოდეთ, შედის თუ არა მზრუნველის ფუნქციებში არასრულწლოვანი (ობოლი) ქალიშვილის გათხოვება. ვინაიდან მისი (მზრუნველის) ფუნქციები საქმეთა მართვას მოიცავს. სევე-

რუსისა და ანტონინუსის ბრძანებულება (რესკრიპტი) [ამის შესახებ] შემდეგს გადმოგვცემს: მზრუნველის ფუნქციაში არასრულწლოვანი ქალიშვილის საქმეთა მართვა შედის, ხოლო მისი გათხოვება მზრუნველს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია.

21. ტარანციუს-კლამენსი, „იულიუსისა და პაპიუსის კანონის შესახებ“, მკ-3 ნიგნში

არ შეიძლება, რომ ოჯახის ვაჟიშვილს ცოლის მოყვანა აიძულონ.

22. ცალსუსი, „დიგასტაჰი“, მკ-15 ნიგნში

თუ მამის იძულების შედეგად ვაჟიშვილმა ცოლი მოიყვანა, რომელსაც იგი თავისი ნებით არ შეირთავდა, მაგრამ საქორწინო ხელშეკრულება მაინც დადო, რომელიც მხარეთა თანხმობის გარეშე არ იდება, ითვლება, რომ მან ეს (დაქორწინება) აირჩია.

23. იგივე, „დიგასტაჰი“, 30-ე ნიგნში

პაპიუსის კანონი ითვალისწინებს, რომ ყველა თავისუფალ პირად დაბადებულს, სენატორებისა და მათი ბავშვების გარდა, შეუძლია ცოლად გააზატებული მოიყვანოს.

24. მოდესტინუსი, „რაგულაჰის“ 1-ლ ნიგნში

თავისუფალ ქალთან ცხოვრება უნდა განხილულ იქნეს არა როგორც კონკუბინატი¹¹, არამედ ქორწინება, თუ [ეს ქალი] სხეულს არ ჰყიდის.

25. იგივე, „რაგულაჰი“, მკ-2 ნიგნში

მამის ხელისუფლებიდან განთავისუფლებულ ვაჟიშვილს მამის თანხმობის გარეშე შეუძლია ცოლის შერთვა, და [ამ ქორწინებაში] გაჩენილი ვაჟიშვილი მისი მემკვიდრე იქნება.

26. იგივე, „პასუხაჰის“ მკ-5 ნიგნში

მოდესტინუსი პასუხობს, რომ მრუშობაში ბრალდებული ქალის ცოლად მოყვანა ქმრის სიცოცხლეში არ შეიძლება, ვიდრე მას სასჯელს არ მიუსჯიან.

27. ულპიანე, „იულიუსისა და პაპიუსის კანონის შესახებ“, მკ-3 ნიგნში

თუ სენატორის წოდების მქონე პირს ცოლად გააზატებული ქალი ჰყავს, თუმცა ამ დროის განმავლობაში იგი მისი [ნამდვილი]

ცოლი არ არის, მაგრამ იგი ისეთ მდგომარეობაშია, რომ თუ [ქმარი] სენატორის წოდებას დაკარგავს, მაშინ მისი ცოლი გახდება.

28. მარცხინა, „ინსტიტუციები“, გვ-10 ნიგნო

პატრონს არ შეუძლია გააზატებული ცოლად შერთვა (ამ უკანასკნელის) სურვილის წინააღმდეგ.

29. ულკინა, „იულიუსის და პაპიუსის კანონის შესახებ“, გვ-3 ნიგნო

რაც, როგორც გადმოგვცემენ, ატიუსს კაპიტონმაც თავისი კონსულობის პერიოდში [დეკრეტით] დაადგინა. მაგრამ ეს [წესი] იმ შემთხვევაში უნდა დავიცვათ, თუ პატრონი ქალს იმიტომ არ ათავისუფლებს, რომ ცოლად მოიყვანოს.

30. ბაიუსი, „იულიუსის და პაპიუსის კანონის შესახებ“, გვ-2 ნიგნო

მოჩვენებით ქორწინებას არავითარი ძალა არა აქვს.

31. ულკინა, „იულიუსის და პაპიუსის კანონის შესახებ“, გვ-6 ნიგნო

თუ პრინციფის წყალობით სენატორს ნებართვა ეძლევა, რომ კანონიერ ცოლად გააზატებული ქალი ჰყავდეს, მაშინ [ამ ქალს] შეუძლია კანონიერი ცოლი იყოს.

32. მარცელუსი, „იულიუსისა და პაპიუსის კანონის შესახებ“, 1-ლ ნიგნო

საჭიროა ვიცოდეთ, რომ გააზატებული (ლიბერტინი), რომელმაც თავისუფალ პირად დაბადებულს თავი შეილად ააყვანინა, და ამის შედეგად მან, თუმცა მშვილებლის ოჯახში თავისუფალ პირად დაბადებულის უფლება მოიპოვა, მაგრამ სენატორის წოდების მქონე პირებთან დაქორწინებაზე მას ისე, როგორც გააზატებულს, მაინც უარი უნდა ეთქვას.

33. იგივე, „იულიუსისა და პაპიუსის კანონის შესახებ“, გვ-3 ნიგნო

მრავალი [იურისტი] მიიჩნევს, რომ თუ ერთი და იგივე ქალი [განშორების შემდეგ] იმავე მამაკაცს უბრუნდება, მაშინ ეს იგივე ქორწინება იქნება. მე ამ აზრს ვეთანხმები, [იმ შემთხვევაში],

თუ ისინი არცთუ ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ შერიგდნენ, და თუ ამ დროის განმავლობაში ქალი სხვაზე არ დაქორწინდა და მამაკაცმა სხვა ცოლი არ შეირთო; განსაკუთრებით კი, თუ მამაკაცმა მზითვეი არ დააბრუნა.

34. პომპონიუსი, „პასუსხაზი“, 61-4 ნიგნში

[მამის მიერ გაცემული] ოჯახის ქალიშვილისთვის ქმრის მოძებნის „ზოგადი მანდატი“ (დავალება) არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ქორწინება წესისამებრ დამყარებულად ჩაითვალოს. ასე რომ, ამისათვის აუცილებელია, რომ მამას უჩვენონ პირი, რომელთან დაქორწინებასაც [იგი] ეთანხმება.

§ 1. თუ მამაკაცი ქალს მრუშობაში ბრალდებას ქმრის სტატუსში წაუყენებს, მას არ ეკრძალება ქალის პატიების შემდეგ მისი ისევ ცოლად შერთვა. და თუნდაც მამაკაცმა ბრალდება ქმრის უფლებით (სტატუსით) არ წაუყენოს, ქორწინება მაინც კანონიერად ჩაითვლება.

§ 2. გერებს შორის დაქორწინება შესაძლებელია, თუნდაც ახალი მშობლების ქორწინებიდან მათ საეჭვო საერთო ძმა ჰყავდეთ.

§ 3. თუ სენატორის ქალიშვილი გააზატებულს გაჰყვება ცოლად, მამის „დაცემა“ (სენატორის წოდების დაკარგვა) მას ცოლად არ აქცევს, რადგან ბევრებს მიღწეული რანგი (წოდება) მამის დანაშაულის გამო არ უნდა ჩამოერთვას.

35. იგინა, „პასუსხაზი“, 61-6 ნიგნში

ოჯახის ვაჟიშვილი, რომელიც ჯარისკაცია, მამის ნებართვის გარეშე არ ქორწინდება.

36. პავლუსი, „პაქითხვაზი“, 61-5 ნიგნში

მეურვესა და მზრუნველს არ შეუძლიათ [მათი მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი] მოზარდი ქალიშვილის ცოლად შერთვა, თუ იგი მამის მიერ არ არის დანიშნული და [საცოლედ] გარიგებული, ან თუ იგი არ ასრულებს [მამის მიერ] ანდერძით განსაზღვრულ საქორწინო ხელშეკრულების პირობებს.

37. იგინა, „პასუსხაზი“, 37-1 ნიგნში

მზრუნველის გააზატებულს უნდა აეკრძალოს [თავისი პატ-

რონის მეურვეობაში მყოფი] ქალიშვილის ცოლად შერთვა.

38. იგივე, „სანტანაციანი“, 2-2 ნიგნში

თუ პირი რომელიმე პროვინციაში თანამდებობაზეა დანიშნული, მას არ შეუძლია იმ ქალის ცოლად შერთვა, რომელიც ამ პროვინციიდან არის წარმოშობით ან იქ საცხოვრებელი ბინა გააჩნია, თუმცა [ასეთი ქალის] დანიშვნა მას არ ეკრძალება. რასაკვირველია, იმ პირობით, რომ, თუ მის მიერ თანამდებობის დატოვების შემდეგ ქალი მასთან დაქორწინებას არ მოისურვებს, მას ამის უფლება მიეცეს, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალი მას დაუბრუნებს ქორწინების წინა საჩუქარს, რომელიც მისგან მიიღო.

§ 1. პირს, რომელიც პროვინციას მართავს, შეუძლია ცოლად შეირთოს იმ პროვინციაში [მცხოვრები] ქალი, თუ იგი მასზე აღრე იყო დანიშნული და [ქალისთვის] მიცემული მზითვეი ბეთალმანად არ იქცევა.

§ 2. პირს, რომელიც პროვინციაში რამე [თანამდებობას] ასრულებს, არ ეკრძალება ამ პროვინციაში ქალიშვილის გათხოვება და მზითვის დანიშვნა.

39. იგივე, „ალავციუსისათვის“, 6-6 ნიგნში

მე არ შემიძლია ცოლად შევიერთო დის შვილიშვილის შვილი, რადგან მე მისი მშობლის ადგილი მიკავია.

§ 1. თუ პირმა ცოლად ვინმე იმ პირთაგან მოიყვანა, რომელთა ცოლად შერთვა ჩვენ ჩვეულებით გვეკრძალება, ამბობენ, რომ მან სისხლის აღრევა (ინცესტი) ჩაიდინა.

40. აომპონისი, „ალავციუსის შესახებ“, 4-4 ნიგნში

არისტონი პასუხობს, რომ გერის ქალიშვილის ცოლად მოყვანა ისევე არ შეიძლება, როგორც თავად გერისა.

41. მარტალუსი, „ლიგისტანი“, 26-2 ნიგნში

სამარცხვინოდ ითვლება აგრეთვე იმ ქალთა რიცხვში ყოფნა, რომლებიც სამარცხვინოდ ცხოვრობენ, თავს სხეულის ვაჭრობით ირჩენენ, თუნდაც ისინი ამას საჯაროდ არ აკეთებდნენ.

§ 1. თუ ქალს ქორწინების გარეშე სქესობრივი კავშირი

(„კონკუბინატი“) აქვს დამყარებული ვინმე სხვა პირთან, გარდა პატრონისა, მე ვამბობ, რომ ამ ქალს ოჯახის დედის წოდება (ღირსება) არ გააჩნია.

42. მოდესტიანუსი, ნიგნში „ცალკეული [საკითხავი] ქორნიანის წინაშე“

[საქორწინო] კავშირების დროს, ყოველთვის, მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო ის, რაც დაშვებულია, არამედ აგრეთვე ისიც, რაც ღირსეულია.

§ 1. თუ სენატორის ქალიშვილი, შვილიშვილი ან შვილიშვილის შვილი გათხოვდება გააზატებულზე ან იმ პირზე, რომელიც „სხვების გასართობი ხელობით“¹² არის დასაქმებული, ქორწინება არ იარსებებს.

43. ულპიანე, „იულიუსის და ააპიუსის კანონის წინაშე“, 1-ლ ნიგნში

ჩვენ ვამბობთ, რომ თავისი სხეულით საჯაროდ ვაჭრობს არა მარტო ის ქალი, რომელიც პროსტიტუციას საროსკიპოში ეწევა, არამედ ისიც, რომელიც, ჩვეულებრივ, სამიკიტნოში, დუქანში ან სხვა ადგილას არ ინახავს თავის უბიწოებას.

§ 1. ხოლო „საჯაროდ“ ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რომ [ქალი] ამას განურჩევლად ყველასთან, ე.ი. ვინმეს არჩევს გარეშე ჩადის, [ე.ი.]: არა იმ ქალს, რომელიც მრუშობს, ან იმ ქალიშვილს, რომელსაც შეაცდენენ, არამედ იმას, ვინც პროსტიტუციას ეწევა.

§ 2. ასევე, ის ქალი, რომელმაც ფულის მისაღებად ერთ-ორ [მაჰაკატთან] დაამყარა კავშირი, არ ითვლება, რომ საჯაროდ თავისი სხეულით ვაჭრობს.

§ 3. მაგრამ ოქტავენუსი ძალიან სწორად ამბობს, რომ ამ ქალების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ასევე ის ქალებიც, რომლებიც პროსტიტუციას რამე შემოსავლის მიღების გარეშე ეწევიან.

§ 4. კანონი კიცხავს არა მარტო იმ ქალს, რომელიც ამას აკეთებს (სხეულით ვაჭრობს), არამედ იმასაც, რომელიც ამას აკეთებდა, თუმცა შემდეგ მან ეს [საქმიანობა] შეწყვიტა. რადგან უზნეობა არ ქრება იმის გამო, რომ შემდგომში იგი შეწყდა.

§ 5. არ უნდა ეპატიოს ეს [დანაშაული] იმ ქალს, რომელიც სამარცხვინო ცხოვრებას ეწევა და ამას თავისი სიღარიბით ამართლებს.

§ 6. [ამ საქმეში] „მაჭანკლობა“, სხეულით ვაჭრობაზე ნაკლები [დანაშაული] არ არის.

§ 7. ხოლო „მაჭანკალს“¹³ ჩვენ იმ ქალს ვუწოდებთ, რომელიც მეძავ ქალებს გვთავაზობს.

§ 8. „მაჭანკლად“ განიხილება აგრეთვე ის ქალი, რომელიც ამ სახის ცხოვრებას სხვისი სახელით ეწევა.

§ 9. თუ სამიკიტნოს მფლობელ (მეპატრონე) ქალს იქ სხეულით მოვაჭრე მეძავეები ჰყავს, როგორც ამას ხშირად აკეთებენ ისე, რომ სამიკიტნოში მეძავი ქალები იმ საბაბით ჰყავთ ხოლმე, რომ თითქოს ისინი სამიკიტნოს მომსახურე პერსონალს წარმოადგენენ, [ამ შემთხვევაში] უნდა ითქვას, რომ ტერმინი „მაჭანკალი“ ასეთ ქალებსაც გულისხმობს.

§ 10. სენატმა დაადგინა, რომ არც ერთ სენატორს არ შეეფერება, რომ ცოლად შეირთოს ან შეინარჩუნოს ის ქალი, რომელიც საჯარო სასამართლოს მიერ არის მსჯავრდებული, ანუ იმ სასამართლოს მიერ, რომელშიც ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ბრალდების წაყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რომელიმე კანონით ბრალდების წაყენება საჯარო სასამართლოში არ არის ნებადართული.

§ 11. ქალი, რომელიც საჯარო სასამართლოში ცრუ ბრალდებისთვის (ცილისწამებისთვის) არის მსჯავრდებული ან [სასამართლოს წინაშე] თვალთმაქცობისათვის, საჯარო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულად არ ითვლება.

§ 12. ქალი, რომელსაც მრუშობაში წაასწრეს, საჯარო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულად განიხილება. ასევე, თუ აცხადებენ, რომ ქალი მრუშობაში არის მსჯავრდებული, მას გაკიცხავენ (სახელგატეხილად აცხადებენ) არა მარტო იმის გამო, რომ [მრუშობაში] წაასწრეს, არამედ იმის გამოც, რომ იგი საჯარო სასამართლოს მიერ არის მსჯავრდებული. თუ მას [მრუშობაში] არ წაასწრეს, მაგრამ მაინც მსჯავრი დადეს, იგი გა-

იკიცხება (სახელგატეხილად გამოცხადდება), რადგან საჯარო სასამართლოს მიერ არის მსჯავრდებული. და თუ მას [მრუშობაში] წაასწრეს, მაგრამ მას მსჯავრი არ დადეს, იგი [მაინც] გაკიცხული (სახელგატეხილი) იქნება. მე ვფიქრობ, რომ თუნდაც იგი [მრუშობაზე] წაასწრების შემდეგ გაამართლონ, გაკიცხვა მის წინააღმდეგ მაინც უნდა იქნეს [გამოყენებული], რადგან მისი მრუშობაში წაასწრება სიძარტლეა. და კანონი [სასამართლოს] გადაწყვეტილებას კი არ გმობს, არამედ ჩადენილ [დანაშაულს].

§ 13. აქ არ განიხილება, როგორც მრუშობის შესახებ იულიუსის კანონში, თუ ვინ წაასწრო ან სად წაასწრეს [ქალს დანაშაულში]. ასე რომ, ქალი გაკიცხულად (სახელგატეხილად) ჩაითვლება იმისდა მიუხედავად, თუ ვინ განაცხადებს, რომ მას დანაშაულზე წაასწრო: ქმარი თუ ვინმე სხვა. ასევე, კანონის თანახმად, ქალს გაკიცხავენ იმ შემთხვევაშიც, თუ მას [დანაშაულზე] წაასწრებენ არა ქმრის ან საკუთარი მამის სახლში, არამედ სხვაგანაც.

44. პავლუსი, „იულიუსის და პავიუსის კანონის შესახებ“, 1-ლ ნიშნში

იულიუსის კანონში მითითებულია შემდეგი: სენატორს, მის ვაჟიშვილს ან ვაჟიშვილისაგან შვილიშვილს, ან მამის ხაზით შვილიშვილის შვილს არ შეუძლიათ შეგნებულად ან ბოროტი განზრახვით დანიშნონ ან ცოლად მოიყვანონ გააზატებული ან ისეთი ქალი, რომელიც ან თავად, ან რომლის მამა და დედა მისდევენ ან მისდევდნენ „სხვების გასართობ ხელობას“. ასევე, სენატორის ქალიშვილს ან ვაჟიშვილისაგან მდედრობითი სქესის შვილიშვილს, მამის ხაზით მდედრობითი სქესის შვილიშვილის შვილს არ შეუძლიათ შეგნებულად ან ბოროტი განზრახვით დანიშნონ ან გათხოვდნენ გააზატებულზე ან ისეთ პირზე, რომელიც ან თავად, ან რომლის მამა და დედა მისდევენ ან მისდევდნენ „სხვების გასართობ ხელობას“. და ამ უკანასკნელთაგან არც ერთს არ შეუძლია ბოროტი განზრახვით, შეგნებულად მათი (ე.ი. სენატორის ქალიშვილის, შვილიშვილის და ა.შ.) დანიშვნა

ან ცოლად შერთვა.

§ 1. [კანონის] ამ თავით სენატორს ეკრძალება გააზატებული ქალის ცოლად შერთვა, ასევე იმ ქალისა, რომლის მამა და დედა „სხვების გასართობ ხელობას“ მისდევენ. ასევე, გააზატებულ მამაკაცს ეკრძალება სენატორის ქალიშვილის ცოლად მოყვანა.

§ 2. [ქორწინების] დაბრკოლებას არ წარმოადგენს ის, რომ პაპა და ბებია „სხვების გასართობ ხელობას“ მისდევენ.

§ 3. არ ექცევა ყურადღება იმას, იმყოფება თუ არა ქალიშვილი⁴ მამის ხელისუფლების ქვეშ. მაგრამ ოქტავიუსი ამბობს, რომ უნდა იგულისხმებოდეს კანონიერი მამა, ხოლო დედა კი იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ქორწინების გარეშე დაფეხმძიმდა.

§ 4. ასევე არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, ღვიძლი მამა თუ მშვილებელი.

§ 5. და იქნება თუ არა [ქორწინებისთვის] დაბრკოლება, თუ მშვილებელი მამა შვილად აყვანამდე „სხვების გასართობ ხელობას“ მისდევდა? ან თუ ღვიძლი მამა ქალიშვილის დაბადებამდე ამ საქმიანობას მისდევდა? ან თუ ამგვარად სახელგატეხილი კაცი ბავშვს შვილად აიყვანს და შემდეგ თავისი ხელისუფლებიდან გაათავისუფლებს, შეიძლება თუ არა დაქორწინება, როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც ვაჟს ცოლი მოჰყავს „სხვების გასართობი ხელობის“ მქონე ღვიძლი მამის გარდაცვალების შემდეგ? პომპონიუსი სწორად ფიქრობს, რომ ეს შემთხვევა საწინააღმდეგოა იმისა, რასაც კანონი გულისხმობს და რომ ეს [ბავშვი] არ უნდა მივაკუთვნოთ იმ პირებს, რომლებზედაც კანონშია საუბარი.

§ 6. თუ თავისუფალ პირად დაბადებული ქალის მამამ და დედამ [ქალიშვილის გათხოვების] შემდეგ „სხვების გასართობ ხელობას“ მოჰკიდეს ხელი, დიდი უსამართლობა იქნება, ამ ქალის გაშვება რომ გახდეს საჭირო, რადგან დაქორწინება პატიოსნად მოხდა და, შესაძლოა, მას უკვე ბავშვებიც გაუჩნდა.

§ 7. რასაკვირველია, თუ თავად მოჰკიდა ხელი [ამ ქალმა] „სხვების გასართობ ხელობას“, მაშინ ის ნებისმიერ შემთხვევაში

უნდა გაუშვან.

§ 8. სენატორებს არ მოჰყავთ ცოლად ის ქალები, რომელთა ცოლად შერთვა სხვა თავისუფალ პირებად დაბადებულებს ეკრძალებათ.

45. ულაიანე, „იულიუსის და პაპიუსის კანონის შესახებ“, მკ-3 ნიგმი

ამ კანონის თანახმად, თავის პატრონზე დაქორწინებულ გააზატებულ ქალს [განშორების შემდეგ] პატრონის თანხმობის გარეშე სხვაზე გათხოვება არ შეუძლია. პატრონში ვგულისხმობთ (როგორც ეს ჩვენი იმპერატორის და მისი ღვთაებრივი მამის რესკრიპტშია მოცემული) აგრეთვე იმ პირს, რომელმაც კანონის შესაბამისად მხევალი იყიდა იმ პირობით, რომ შემდეგ მას გააზატებდა; რადგან გააზატებული მხევლის პატრონად მყიდველი ითვლება.

§ 1. ხოლო [ასეთ] პატრონად არ ჩაითვლება ის პირი, რომელმაც დაიფიცა, რომ ის პატრონია.

§ 2. არც ის პირი უნდა ჩაითვალოს პატრონად, რომელსაც [მხევალი] თავისი ფულით არ უყიდა.

§ 3. ცხადია ასევე, საეჭვო არ არის, რომ თუ გამოცხადდა, რომ ოჯახის ვაჟიშვილი სამხედრო სამსახურშია და იგი სამხედრო პეკულიუმის [კუთვნილ] მხევალს გააზატებს, მას (ოჯახის ვაჟიშვილს) ეს (ე.ი. პატრონის) უფლება ენიჭება, რადგან [იმპერატორთა] კონსტიტუციების თანახმად იგი პატრონად განიხილება და ეს უფლება მამამისს არ ეკუთვნის.

§ 4. [კანონის] ეს თავი მხოლოდ გათხოვილ გააზატებულ ქალებს ეხება და [დანიშნულ] საცოლეებზე არ ვრცელდება. და ამიტომ, თუ გააზატებული საცოლე პატრონის თანხმობის გარეშე მას [უარით] შეამავალს (მაცნეს) გაუგზავნის, მას სხვაზე გათხოვების უფლება ექნება.

§ 5. შემდეგ კანონში ნათქვამია: „პატრონის თანხმობის გარეშე“, რაც უნდა გაგებულ იქნეს, როგორც იმ [პატრონის] თანხმობის გარეშე, რომელიც განქორწინებას დაეთანხმა, რის

გამოც ქალი იმ შემთხვევაშიც ექვემდებარება ამ კანონის მო-
თხოვნას, როცა იგი შეშლილს შორდება და მაშინაც კი, როდესაც
ქმარმა ამის შესახებ არ იცის. სინამდვილეში, ამ შემთხვევაში
უფრო სწორია ვთქვათ: „თანხმობის გარეშე“ („უკითხავად“),
ვიღრე: „არ ეთანხმება“.

§ 6. თუ აღმოჩნდება, რომ [გააზატებულ ქალზე დაქორ-
წინებული] პატრონი მტერთან ტყვედ ჩავარდა, მე ვიტყვოდი,
რომ ქალს დაქორწინება შეუძლია ზუსტად ისევე, [პატრონი]
გარდაცვლილი რომ იყოს. და ის [იურისტები], რომლებიც
იულიანეს მოსაზრებას ემხრობიან, ამბობენ, რომ [ასეთ ქალს]
ქორწინების უფლება არ ექნება, რადგან იულიანე მიიჩნევს, რომ
ამ გააზატებული ქალის ქორწინება [პატრონის] ტყვედ ყოფნის
პერიოდშიც გრძელდება იმ პატივისცემის გამო, რაც ქალმა
პატრონის მიმართ უნდა გამოიჩინოს. ცხადია, თუ პატრონი სხვა
სახის მონობაში მოექცა, მაშინ, ეჭვს არ იწვევს, რომ ქორწინება
შეწყდება.

46. ბაიუსი, „იულიუსის და პაპიუსის კანონის შესახებ“, 6A-8 ნიგნში

საკამათოა, ეხება თუ არა ეს წესი იმ შემთხვევას, როცა
პირს ცოლად საერთო ლიბერტი (გააზატებული) ქალი მოჰყავს.
იავოლენუსი ამაზე უარყოფით პასუხს იძლევა, რადგან, [მისი
აზრით], ქალი არ ითვლება (მხოლოდ) ერთი კაცის ლიბერტად,
როდესაც იგი [იმავდროულად] მეორე პირის ლიბერტიც არის.
სხვა იურისტები საწინააღმდეგო აზრის არიან, რადგან [მათი
აზრით], არ შეიძლება უარყოფით, რომ ლიბერტი ქალი ერთ პირს
ეკუთვნის, თუნდაც იგი [იმავდროულად] მეორე პირსაც ეკუთ-
ვნოდეს. და ეს მოსაზრება იურისტების უმრავლესობამ [სავ-
სებით] სწორად გაიზიარა.

47. პავლუსი, „იულიუსის და პაპიუსის კანონის შესახებ“, 6A-2 ნიგნში

სენატორის ქალიშვილს, რომელიც სხეულით ვაჭრობს ან
„[სხვების] გასართობ ხელობას“ მისდევს, ან რომელიც საჯარო

სასამართლოს მიერ არის მსჯავრდებული, დაუსჯელად შეუძლია გააზატებულზე გათხოვება, რადგან არ იცავენ იმ პირის პატივს, რომელიც ასეთი კავშირის დამყარებამდე „დაეცემა“.

48. ტარენციუს-კლემენსი, „იულიუსის და პაპიუსის კანონის შესახებ“, მე-8 ნიგნში

პატრონის ვაჟიშვილს, რომელმაც ცოლად მამის ლიბერტი (გააზატებული) ქალი შეირთო, ამ ქალზე იგივე უფლება ენიჭება, რაც თავად პატრონს, და [ამ] კანონის ნება მასზეც ვრცელდება. იგივე უნდა ითქვას იმ შემთხვევაშიც, როდესაც [ორი პატრონის მყოფ ქალს] ერთი პატრონის ვაჟიშვილი მეორის სიცოცხლეში მათს [საერთო] ლიბერტს (გააზატებულ ქალს) ცოლად შეირთავს.

§ 1. თუ პატრონი თავის სახელგატეხილ გააზატებულ ქალს ცოლად შეირთავს, სასურველია, რომ მას ამ კანონით გათვალისწინებული წყალობა არ მიენიჭოს, რადგან იგი კანონის საწინააღმდეგოდ დაქორწინდა.

§ 2. თუ [მამის მიერ ანდერძით] ერთი ვაჟიშვილისთვის მიკუთვნებულ გააზატებულ ქალს მეორე ვაჟიშვილი ცოლად შეირთავს, მართლაც, მას ქალზე არავითარი უფლება არა აქვს, რადგან, სენატის გადაწყვეტილებით, [ანდერძით] გადაცემულ ლიბერტებზე მთელი უფლება იმაზე გადადის, ვისაც ეს მამამ (ანდერძით) გადასცა.

49. მარცელუსი, „იულიუსის და პაპიუსის კანონის შესახებ“, მე-3 ნიგნში

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ უფრო დაბალი რანგის ადამიანებმა ცოლად შეირთონ ის ქალები, რომელთა ცოლად შერთვა უფრო მაღალი რანგის პირებს ღირსების გამო კანონით ეკრძალებათ. და პირიქით, უფრო მაღალი რანგის პირებს არ შეეძლოთ იმ ქალების ცოლად შერთვა, რომელთა ცოლად შერთვის უფლება უფრო დაბალი რანგის პირებს არა აქვთ.

50. იგივე, „იულიუსის და პაპიუსის კანონის შესახებ“, მე-3 ნიგნში

ამბობენ, რომ სულ ახლახანს დადგენილ იქნა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმე თავის გააზატებულ ქალს ცოლად

შეირთავს, რომელსაც შემდეგ ფიდეოკომისის საფუძველზე გაათავისუფლებს, ამ გააზატებულ ქალს უფლება აქვს, რომ პატრონის თანხმობის გარეშე [სხვაზე] გათხოვდეს. მეც ასე ვფიქრობ, რადგან ეს უფლება არ უნდა მიიღოს იმ პირმა, რომელმაც [ქალი] არა თავისი სურვილით, არამედ აუცილებლობის გამო გაათავისუფლა. მართლაც, მან ქალს უფრო მეტად ის თავისუფლება მიანიჭა, რომლის მინიჭებაც მის მოვალეობას შეადგენდა, ვიდრე მისთვის რამე წყალობა გაიღო.

51. ლიცინიუს რუფინუსი, „რეპულაჰი“, 1-ლ ნიგნჰი

მხევალი, რომელიც იმ მიზნით გაათავისუფლეს, რომ იგი გათხოვდეს, არ შეიძლება ცოლად შეირთოს ვინმემ სხვამ, გარდა იმ პირისა, რომელმაც იგი გაათავისუფლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პატრონი მასთან დაქორწინებაზე უარს იტყვის.

§ 1. მაგრამ თუ ოჯახის ვაჟიშვილი მამის ბრძანებით მხევალს გაათავისუფლებს იმ მიზნით, რომ იგი გათხოვდეს, იულიანე მიიჩნევს, რომ იგი ზუსტად ისეთ მდგომარეობაში იქნება, თითქოს იგი ვაჟიშვილის მიერ იქნა განთავისუფლებული და ამიტომაც მას ამ ქალის ცოლად შერთვა შეუძლია.

52. პავლუსი, „საბინუსისათვის“, 6-6 ნიგნჰი

სისხლის აღრევით დამყარებულ ქორწინებას არც მზითევი ახლავს. ამიტომ [ქმარს] ჩამოერთმევა ყველაფერი ის, რაც მან მიიღო, თუნდაც ნაყოფის სახით.

53. გაიუსი, „პროვინციული ელიქტის შესახებ“, 6-11 ნიგნჰი

არ შეიძლება ქორწინება არსებობდეს იმ პირთა შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან მშობლებს და ბავშვებს (ე.ი. არიან აღმავალი და დამავალი ხაზის ნათესაეები) უახლოესიდან (უფრო) შორეულ ხარისხამდე და ა.შ. უსასრულოდ.

54. სცეპოლა, „რეპულაჰი“, 1-ლ ნიგნჰი

და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, კანონიერი ქორწინებიდან მომდინარეობს ნათესაობა (კოგნატობა) თუ არა, რადგან უქორწინებო კავშირის შედეგად შექმნილი [ღვიძლი] დის ცოლად

შერთვაც ასევე აკრძალულია.

55. ბაიუსი, „პროვინციული ედიქტის შესახებ“, მკ-11 ნიგნო

ცოდვად ითვლება აგრეთვე იმ ქალის ცოლად შერთვაც, რომელიც შეილად აყვანის შედეგად ქალიშვილი ან შეილიშვილი გახდა, ამდენად, თუნდაც შეილად აყვანა ემანციპაციის შედეგად გაუქმდეს, ამ პირებზე ეს კანონი (აკრძალვა) მაინც გავრცელდება.

§ 1. მე არ შემიძლია ცოლად შევიერთო ჩემი მშვილებელი მამის ღედა, ან ღეიდა და არც მისი ვაჟიშვილის ქალიშვილი (ე.ი. მისი შეილიშვილი), რასაკვირველია, თუ მე მის ოჯახში ვიქნები. ხოლო თუ იგი მე თავისი ხელისუფლებიდან გამათავისუფლებს, მაშინ, ეჭვს გარეშეა, რომ ქორწინებისთვის რაიმე დაბრკოლება არ იარსებებს, რასაკვირველია იმის გამო, რომ ემანციპაციის შემდეგ მე გარეშე პირად ვითვლები.

56. ულაიანე, „დისპუტაციები“, მკ-3 ნიგნო

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ვინმე ქორწინების გარეშე კავშირშია დის ქალიშვილთან, როგორც ხასასთან (concubina), თუნდაც გააზატებულთან, იგი სისხლის აღრევას ჩადის.

57. მარციანე, „ინსტიტუციები“, მკ-2 ნიგნო

პირს, რომელიც პროვინციაში რაიმე [თანამდებობრივ] ფუნქციას ასრულებს, ეკრძალება [იმავე პრივილეგიაში] თავის ვაჟიშვილს ქორწინებაზე თანხმობის მიცემა.

§ 1. „მრუშობის შესახებ“ პაპინიანეს ნაშრომის მეორე წიგნზე მარციანე ასეთ შენიშვნას აკეთებს: იმპერატორებმა, ღვთაებრივმა მარკუსმა და ლუციუს ვერუსმა, გააზატებული მენსორის მეშვეობით ფლავია ტერტულას ასეთი რესკრიპტი გაუგზავნეს: „ჩვენ გვადელებს დროის ის ხანგრძლივი პერიოდი, რომლის განმავლობაში შენ სამართალში ჩაუხედავად დაქორწინებული იყავი ღედის მხრიდან შენს ბიძაზე, და რომ შენ შენმა ბებია დაგაქორწინა და [გვადელებს] შენი ბავშვების მდგომარეობა (რაოდენობა). ამის გამო, იმისათვის, რომ ყველაფერი ეს მოვაწესრიგოთ, ჩვენ ვამტკიცებთ თქვენი ბავშვების სტატუსს იმ ქორწინების მიხედვით,

რომელიც ორმოცი წლის წინ დამყარდა, ისე, თითქოს ისინი კანონიერად იყვნენ გაჩენილნი.

58. მარცხიანი, „რაგულაზი“, მ-4 ნიგნი

არსებობს ღვთაებრივი [ანტონინუს] პიუსის შემდეგი რესკრიპტი: „თუ გააზატებული ქალი სენატორს მოატყუებს, რომ იგი თავისუფალ პირად დაბადებულია და მას ცოლად გაჰყვება, პრეტორის ედიქტის მაგალითზე, [ამ შემთხვევაში] სარჩელი უნდა გასცენ, ვინაიდან მზითვეიდან მას არავითარი სარგებლის მიღება არ შეუძლია, რადგან [ამ შემთხვევაში] მზითვეი არ არსებობს.

59. პავლუსი, ნიგნი „ცალკაული [საკითხავი] გააზატავული პირების მიკუთვნების (adsignatio) შესახებ

სენატუსკონსულტი, რომლის თანახმად, მეურვეს არ შეუძლია, რომ თავის მეურვეობაში მყოფი არასრულწლოვანი (ობოლი) ქალიშვილი საკუთარ ვაჟიშვილზე დააქორწინოს ან იგი თავად შეირთოს ცოლად, [მეურვის] შვილიშვილზეც ვრცელდება.

60. იგივე, ნიგნი „ცალკაული [საკითხავი] ღვთაებრივების — ანტონინუსის და კომოდუსის — ბრძანებულების („ორაციო“) შესახებ“

[ისმის კითხვა]: ვრცელდება თუ არა [ამ] ბრძანებულების ნება იმ შემთხვევაზე, როდესაც პირი მეურვე არ არის, მაგრამ მეურვის პასუხისმგებლობა მას მაინც ეკისრება, როგორც, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი (ობოლი) მტრებს ტყვედ ჩაუვარდა ან თუ პირმა ყალბი საფუძვლების მოტანით თავი მეურვეობის მოვალეობებისგან გაითავისუფლა? [საკითხავი]: წმინდა კონსტიტუციების მიხედვით, ვრცელდება თუ არა მასზე პასუხისმგებლობა? და უნდა ითქვას, რომ სენატუსკონსულტი ამას ყველაფერს ასევე გულისხმობს. რადგან დამტკიცდა, რომ ასეთი პასუხისმგებლობა რიცხვით „სამ მეურვეობაზე“ იანგარიშება.

§ 1. მაგრამ თუ [მეურვეობის] პასუხისმგებლობა პირს სხვის გამო ეკისრება, ჩვენ ვნახავთ, რომ [ეს შემთხვევა] სენატუსკონსულტით ნაგულისხმევის ფარგლებს გარეთ არ რჩება. მაგალითად, თუ მაგისტრატს შეხვდება მეურვეობის პასუხის-

მგებლობა ან თუ ვინმე მეურვის ან მზრუნველის ნაცვლად აგებს პასუხს. რადგან ისინი „სამი პირის მეურვეობას“ არ მიეკუთვნებიან და ლოგიკურია, ამას რომ დავეთანხმდეთ.

§ 2. შესაბამისად ამისა, განა იგივე იქნება იმ შემთხვევაში, თუ საპატიო მეურვე დაინიშნა, რადგან ასეთი მეურვე არ მიეკუთვნება „სამი [მეურვის] რიცხვს“, [რომელიც მეოთხეს გამო-რიცხავს]. მაგრამ გონება საწინააღმდეგოს გეკარნახობს, რის გამოც დადგინდა, რომ საპატიო მეურვესაც, ჩვეულებრივ, მეურვეობაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს, თუ იგი დაუშვებს მეურვეობის ცუდად (არასწორად) წარმართვას.

§ 3. მაგრამ, არ უნდა იყოს საეჭვო, რომ ეს ბრძანებულება („ორაციო“) ვრცელდება იმ პირზე¹⁵, რომელიც მეურვედ დაინიშნა და რომელმაც სამეურვეო საქმიანობისაგან თავი შეიკავა, რადგან, წმინდა კონსტიტუციების თანახმად, მას ისევე ეკისრება ვალდებულება, როგორც იმ შემთხვევაში, მას რომ საქმეები წარმართა.

§ 4. შესაბამისად ამისა, ვრცელდება თუ არა ეს სენატუს-კონსულტი პირზე, თუ მას რამე საბაბით მეურვეობის მოვალეობებისგან განთავისუფლება სურს, თან ამის არგუმენტს არ წარმოადგენს, ამ საბაბით მას საქმეს გადაუდებენ და ამასობაში კი არასრულწლოვანი (ობოლი) ქალი სრულწლოვანი გახდება? საკითხავი ის არის, უნდა განთავისუფლდეს თუ არა ეს პირი მეურვეობის მოვალეობათაგან მას შემდეგ, რაც ობოლი ქალიშვილი სრულწლოვანი გახდება და [შესაბამისად ამისა] მეურვეობა შეწყდება? რადგან თუ მის არგუმენტებს მიიღებენ და მას მეურვეობისგან გაათავისუფლებენ, მაშინ მას ამ ქალიშვილის ცოლად შერთვა შეუძლია ისე, რომ იგი ამისთვის არ დაისჯება. მაგრამ, თუ მეურვეობის დასრულების შემდეგ მას მეურვის მოვალეობათაგან არ ათავისუფლებენ, მაშინ მას ამ ქალიშვილზე კანონიერად დაქორწინება არ შეუძლია. „პასუხების“ მეხუთე წიგნში პაპინიანე ამბობს, რომ მეურვეობის დასრულების შემდეგ მეურვეობისაგან განთავისუფლების არგუმენტები მიღებული აღარ უნდა იქნეს. და ამიტომაც [ასეთ პირს მეურვეობის] ვადის გასვლის

შემდეგ პასუხისმგებლობა დაეკისრება. მაგრამ ამ მოსაზრებას მე არავითარ შემთხვევაში არ ვეთანხმები, რადგან არასამართლიანია, რომ იმ გადავადების მიზეზით, რომელიც არა რაიმე განზრახვით, არამედ აუცილებლობის გამო მოხდა, [პირი] მოვალეობებისგან არ განთავისუფლდეს, და [მეურვეობისგან განთავისუფლების იგივე] არგუმენტები მიღებულ იქნეს და [განთავისუფლებულ მეურვესა და მის მეურვეობაში მყოფ ქალიშვილს შორის] ქორწინებას დაბრკოლება შეუქმნან.

§ 5. თუმცა ამ ბრძანებულებაში („ორაციო“) [მხოლოდ] ის არის ნათქვამი, რომ მეურვეს თავის მეურვეობაში მყოფი ობოლი ქალიშვილის ცოლად შერთვა არ შეუძლია, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მას [ამ ქალიშვილის] არც დანიშვნა შეუძლია. ვინაიდან, როდესაც რომელიმე ქალის ცოლად შერთვა არ შეუძლიათ, უმრავლეს შემთხვევაში, მისი არც დანიშვნის უფლება აქვთ, რადგან კანონიერად ნიშნავენ იმ ქალებს, რომელთა ცოლად შერთვაც შეუძლიათ.

§ 6. ამრიგად, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მეურვის ნაშვილები ვაჟიშვილი მეურვეობაში მყოფ ობოლ ქალიშვილს ცოლად შეირთავს და შემდეგ იგი [მშვილებელი] მამის ხელისუფლებიდან განთავისუფლდება? უნდა ვიფიქროთ, რომ სენატუსკონსულტი შვილად აყვანილ და [შემდეგ] გააზატებულ ვაჟიშვილს არ ეხება, რადგან გააზატების შემდეგ იგი მშვილებელ ოჯახთან ყოველგვარ კავშირს წყვეტს.

§ 7. [მეურვის] ღვიძლ ბავშვებზე, თუნდაც მან ისინი [შემდეგ] გააშვილოს, ეს სენატუსკონსულტი ვრცელდება.

§ 8. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მეურვემ გაასაჩივრა და შემდეგ მისი მემკვიდრე გარდაიცვალა? უნდა დაეკისროს თუ არა მას პასუხისმგებლობა წარსული დროისათვის? და თუ ვაჟიშვილი მემკვიდრე გახდა და შემდეგ გარდაიცვალა, ვრცელდება თუ არა მასზე ეს ბრძანებულება. ლოგიკურია, რომ ამას დადებითად ვუპასუხოთ, რადგან მან ანგარიში უნდა ჩააბაროს.

61. პაპინიანე, „შაკითხვაჲი“, 32-ე ნიგეში

უკანონო ქორწინებით დაწესებული მზითვეი ბეითალმანად ცხადდება (ხაზინას გადაეცემა) იმ აუცილებელი ხარჯების გამოკლებით, რომლითაც, ჩვეულებრივ, კანონის თანახმად მზითვეს ამცირებენ. ქმარმა უნდა გადაიხადოს [ის ოდენობა], რაც მას სამზითვო სარჩელის ძალით უნდა დაებრუნებინა.

62. იგივე, „პასუხაჲი“, 24-ე ნიგეში

თუ მამა მოისურვებს, რომ დედამ თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს, თუ ვისზე გათხოვდება [მათი] საერთო ქალიშვილი, დედას არ შეუძლია ამისათვის ქალიშვილს მეურვე დაუნიშნოს. ვინაიდან აქ არ იგულისხმება ის, რომ მამას მეურვის დანიშვნის განზრახვა ჰქონდა, რადგან დედა მან სწორედ იმიტომ არჩია, რომ ქალიშვილის ქორწინება მეურვეს არ განეხორციელებინა.

§ 1. უწესობაა, თუ ქალი ქმრის ლიბერტზე (გააზატებულზე) გათხოვდება.

§ 2. მეურვეს, რომელმაც მზრუნველს [მეურვეობის] ანგარიში ჩააბარა, მის მეურვეობაში მყოფი ობოლი ქალიშვილის ცოლად შერთვა არც [მეურვეობის რესტიტუციისთვის] დაწესებული ვადის გასვლამდე არ შეუძლია და არც იმ შემთხვევაში, თუ ქალიშვილი [ამასობაში] სხვა ქორწინების შედეგად დედა გახდა.

63. იგივე, „დეჟინიციიზი“, 1-ლ ნიგეში

კოპორტის თუ ცხენოსანი ჯარის პრეფექტმა ან ტრიბუნმა აკრძალვის (ინტერდიქტის) მიუხედავად ცოლად შეირთო ქალი იმ პროვინციიდან, რომელშიც ის თავის თანამდებობრივ ფუნქციებს ასრულებდა. [ამ შემთხვევაში] ქორწინება არ იარსებებს. ეს შემთხვევა უნდა შევადაროთ მეურვისა და მის მეურვეობაში მყოფი ობოლი ქალიშვილის ქორწინებას, რადგან [ორივე შემთხვევაში] ქორწინებას ხელისუფლების არსებობა კრძალავს. მაგრამ შეიძლება [თუ არა] იმ საკითხის გადაწყვეტაც, რომ, თუ პირი ქალწულზე დაქორწინდა, უნდა ჩამოერთვას თუ არა მას ის, რაც მას ანდერძით დაუტოვეს? ხოლო მეურვეზე დაქორწინებულ მეურვეობაში მყოფი ობოლი ქალიშვილის მაგალითზე ქალს შე-

უძლია ის გააკეთოს, რაც მას ანდერძით დაავალეს. ოღონდ, მზითვის სახით გაცემული თანხა აუცილებლად ქალის მემკვიდრეს უნდა დაუბრუნდეს.

64. კალისტრატუსი, „შაკითხვაჲი“, მკ-2 ნიგნში

სენატმა გადაწყვიტა, რომ გასახლება¹⁶ („relegatio“) უნდა მიესაჯოს იმ გააზატებულს, რომელიც თავისი პატრონის ქალიშვილის მეურვეა, თუ ეს ქალიშვილი მან თავად შეირთო, ან თავის ვაჟიშვილზე გაათხოვა.

§ 1. მე ვფიქრობ, რომ იმ სენატუსკონსულტების ნება, რომლებიც უკრძალავს მეურვეს ან მის ვაჟიშვილს მის მეურვეობაში მყოფი ობოლი ქალიშვილის ცოლად შერთვას, ვრცელდება აგრეთვე მეურვის გარეშე მემკვიდრეზე, რადგან ამგვარი ქორწინება იმიტომ იკრძალება, რომ მეურვეობაში მყოფი ქალიშვილი ქონებასთან დაკავშირებით არ მოატყუონ იმ პირებმა, რომლებსაც [შემდეგ] სამეურვეო საქმეთა წარმართვის შესახებ მისთვის ანგარიშის ჩაბარება ევალებათ.

§ 2. ხოლო ვაჟის მეურვეს არ ეკრძალება თავისი ქალიშვილი მასზე (თავის მეურვეობაში მყოფ ვაჟზე) გაათხოვოს.

65. პაპლუსი, „პასუხეჲი“, მკ-7 ნიგნში

ის პირები, რომლებიც თავიანთ მშობლიურ პროვინციაში სამხედრო სამსახურში არიან¹⁷, თუ ისინი იმავე პროვინციიდან ქალს ცოლად შეირთავენ, ითვლება, რომ ამით ისინი [იმპერატორების] მანდატებს („ბრძანებულებებს“) არ ეწინააღმდეგებიან.

§ 1. იგივე ავტორი (ე.ი. პაპლუსი) იქვე პასუხობს: „მე მიმაჩნია, რომ, თუნდაც პროვინციაში [საჯარო სამსახურში მყოფ პირს] ცოლი იქ [იმპერატორთა] მანდატების საწინააღმდეგოდ ჰყავდეს მოყვანილი, თანამდებობის დატოვების შემდეგ, თუ იგი იმავე [ცოლთან ქორწინების] სურვილს შეინარჩუნებს, ქორწინება კანონიერი გახდება, და ამიტომაც, ამის შემდეგ დაბადებული ბავშვები კანონიერი ქორწინების შედეგად გაჩენილები, [ე.ი.] კანონიერი ბავშვები იქნებიან.

66. „იზივი, „სანტანციიზი“, ვა-2 ნიგნოი

ქორწინება არ არსებობს, თუ მეურვე ან მზრუნველი თავისი მეურვეობის ქვეშ მყოფ ობოლ ქალიშვილს, რომელსაც ოცდაექვსი წელი არ შესრულებია, ცოლად შეირთავს ან ამ ქალიშვილს თავის ვაჟიშვილზე დააქორწინებს, თუ ქალიშვილი [თავად] მამის მიერ ან მისი ანდერძით არ არის დანიშნული. სხვა შემთხვევაში [ამის ჩამდენი] ორივე მხარე „სახელგატეხილად“ გამოცხადდება და ქალიშვილის ღირსების შესაბამისად ექსტრაორდინარული სასჯელით დაისჯება. და არა აქვს მნიშვნელობა, ვაჟიშვილი დამოუკიდებელი პირია თუ იგი მამის ხელისუფლებას ექვემდებარება.

§ 1. საკმაოდ ეწინააღმდეგება სამართალს ის, რომ გააზატებულმა ცოლად შეირთოს ობოლი ქალიშვილი, რომლის ქონებას, როგორც მზრუნველი, [ამ] გააზატებულის პატრონი მართავს.

67. ტრიფონიუსი, „ღისპუტაციიზი“, ვა-9 ნიგნოი

არამართო მეურვის სიცოცხლეში, არამედ მისი სიკვდილის შემდეგაც, მის ვაჟიშვილს ეკრძალება იმ ქალიშვილის ცოლად შერთვა, რომელსაც მეურვეობის თაობაზე მამამ ანგარიში უნდა ჩააბაროს. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, ვაჟიშვილი მიიღებს მამის მემკვიდრეობას, თუ მამის მემკვიდრეობის მიღებისაგან თავს შეიკავებს, ან სამკვიდროს ჩამორთმევის თუ მანამდე მამის ხელისუფლებიდან განთავისუფლების შედეგად იგი მემკვიდრე არ გახდება. რადგან, შეიძლება ისე მოხდეს, რომ მოტყუების გზით მისთვის მიცემული მამის ქონება მეურვის გამო უკან დააბრუნონ.

§ 1. შესაძლოა, ერთი რამ საკამათო იყოს: თუ პაპა ერთ-ერთი გააზატებული ვაჟიშვილის მიერ გაჩენილი შვილიშვილი ქალის მეურვეა, შეუძლია თუ არა მას ეს შვილიშვილი მის მეორე გააზატებულ თუ ჯერ კიდევ მამის ხელისუფლების ქვეშ მყოფი ვაჟიშვილისგან შექმნილ შვილიშვილ ვაჟზე გაათხოვოს? ხომ არ მოხსნის შვილიშვილი ქალის მიმართ პაპისათვის დამახასიათებელი ნაზი დამოკიდებულება, [პაპის მიერ შვილიშვილი ქალის] მოტყუების ეჭვის საფუძველს? და თუმცა ეს სენატუს-კონსულტი „მკაცრი სამართლის“¹⁸ კანონის შესაბამისად ყველა

[სახის] მეურვის წინააღმდეგ არის მიმართული, თუ ჩვენ შვილი-შვილი ქალის მიმართ პაპის უდიდეს სიყვარულს გავითვალისწინებთ, ამგვარი ქორწინება ნებადართული უნდა იყოს.

§ 2. თუ ქალიშვილის მეურვე ან მზრუნველი ოჯახის ვაჟიშვილია, მე ვფიქრობ, რომ მისი ცოლად შერთვა [ვაჟის] მამას მითუმეტეს არ შეუძლია, ეს ხომ არც მის ძმას შეუძლია, რომელიც იმავე მამის ხელისუფლების ქვეშ იმყოფება?

§ 3. მაგრამ განვიხილოთ შემდეგი საკითხი: თუ ტიცციუსის ვაჟიშვილმა ცოლად შენს მეურვეობაში მყოფი ქალიშვილი შეერთო, შემდეგ კი შენ თავად ტიცციუსი ან მისი ვაჟიშვილი შევილად აიყვანე, გაუქმდება თუ არა ქორწინება ისევე, როგორც ეს სიძის შვილად აყვანის შემთხვევაშია დადგენილი? არის თუ არა [ამ შემთხვევაში] ნებადართული შევილად აყვანა? რაც უფრო სწორი უნდა იყოს, თუნდაც საქმე ეხებოდეს მზრუნველს. მზრუნველმა თავისი მოვალეობების შესრულების პერიოდში შევილად უნდა აიყვანოს იმ ქალიშვილის ქმარი, რომელიც მისი მზრუნველობის ქვეშ იმყოფება, რადგან, როდესაც მეურვეობა უკვე დასრულებულია და როდესაც ქალიშვილი სხვა [უცხო] პირზეა გათხოვილი, მე ვფიქრობ, რომ საჭირო იქნება [მეურვისათვის] ქმრის შევილად აყვანის ხელის შესაშლელად იმის დამტკიცება, რომ ქორწინება მეურვეობის ანგარიშის ჩაბარების შესაფერხებლად არ დამყარებულა. და ქორწინების აკრძალვის [სწორედ] ამ საფუძველს ასახელებს ღვთაებრივი მარკუსის ბრძანებულება („ორაციო“).

§ 4. იმავე სენატუსკონსულტით აკრძალვა დაწესებულია აგრეთვე იმ მზრუნველისათვის, რომელიც ჯერ კიდევ ღელის მუცელში მყოფი [პოსტუმის] ქონების [მართვისათვის] იქნა დანიშნული, რადგან მეურვეობის თაობაზე ანგარიშის ჩაბარება მასაც ევალება. [ამ შემთხვევაში] ჩვენ მზრუნველობის ხანგრძლივობას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, რადგან ის ღრო, ღიდი თუ მცირე, რომლის განმავლობაში მეურვემ ან მზრუნველმა თავის მოვალეობა უნდა შეასრულოს, [რაიმე] განსხვავებას არ ქმნის.

§ 5. თუ ტიცციუსი ქალიშვილის მეურვეობას ან მზრუნველო-

ბას ეწევა, და ქალიშვილი კი ისე გარდაიცვალა, რომ [ტიციუსს მეურვეობის თუ მზრუნველობის თაობაზე] მისთვის ანგარიში ჯერ კიდევ არ ჰქონდა ჩაბარებული, და [ამასთან გარდაცვლილს] მემკვიდრედ ქალიშვილი დარჩა; კითხვა დამისვეს: შეუძლია თუ არა ტიციუსს ამ ქალიშვილის თავის ვაჟიშვილზე დაქორწინება? მე ვუპასუხე, რომ შეუძლია, რადგან ანგარიშგება მემკვიდრეზე გადადის და იგი უბრალო (ჩვეულებრივ) ვალად იქცევა. სხვა შემთხვევაში, ნებისმიერ მოვალეს ეკრძალება იმ [ქალიშვილის] ცოლად შერთვა ან საკუთარ ვაჟიშვილზე დაქორწინება, ვის მიმართაც მას რამე საფუძველზე რაღაც ვალდებულება გააჩნია.

§ 6. ხოლო თუ მეურვე თავის მეურვეობაში მყოფ ობოლ ქალიშვილს საკუთარი მამის მემკვიდრეობის მიღებაზე უარს ათქმევინებს, მან ამის თაობაზე [ქალიშვილს] ანგარიში უნდა ჩააბაროს. და შეიძლება ისე მოხდეს, რომ მეურვეს მსჯავრი დასდონ იმისათვის, რომ მან ქალიშვილს მამის მემკვიდრეობაზე უარი წინდაუხედავად ათქმევინა; მაგრამ თუ მან ეს სავსებით სწორად (გონივრულად) გააკეთა, მაშინ პრეტორის [იურისდიქციის] დახმარება იქნება გამოყენებული იმიტომ, რომ [ქალიშვილის] მამა ვალაუკალი გარდაიცვალა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ვინაიდან ამას სასამართლოში დამტკიცება სჭირდება, ამის გამო ქორწინებას დაბრკოლება ექმნება, რადგან ქორწინება იმ პირებსაც ეკრძალება, რომლებიც მეურვეობას კარგად და კეთილსინდისიერად ასრულებენ.

68. პავლუსი, ნიგნში „ცალკაული [საკითხები] ტურპილიუსის სენატუსკონსულტის შესახებ“

ხალხთა სამართლის მიხედვით, სისხლის აღრევას ჩაიდენს ის, ვინც ცოლად აღმავალი ან დამავალი ხარისხის ნათესავს შეირთავს. ხოლო თუ პირმა ცოლად გვერდითი [შტოს] ნათესავი შეირთო, რაც აკრძალულია, ან თუ იგი მოყვარეზე დაქორწინდა, რაც ქორწინების დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს, მაშინ მას დასჯიან, უფრო მსუბუქად, თუ მან ეს ღიად (საჯაროდ) გააკეთა და უფრო მკაცრად, თუ იგი ამას ფარულად ჩადის. საფუძველი ამ განსხვავებისა, რომელიც გვერდითი შტოს ნა-

თესავებზე არასწორად დაქორწინებულებთან დაკავშირებით არსებობს, იმაში მდგომარეობას, რომ ამის საჯაროდ (ლიად) ჩამდენნი უფრო მძიმე სასჯელისგან თავისუფლდებიან, როგორც პირები, რომლებმაც შეტდომა დაუშვეს, ხოლო ამის ფარულად გამკეთებელნი კი ისჯებიან, როგორც პირები, რომლებიც [კანონს] არ დაემორჩილნენ.

ტიტული III. სამზითვო სამართლის შესახებ

1. პავლუსი, „საბინუსისათვის“, 6A-14 ნიგნვი

მზითვის საფუძველი უცვლელია. ვინაიდან, იმ პირის დაპირებით, რომელიც მზითვეს იძლევა, მზითვის თაობაზე გარიგებას იმ პირობით ღებენ, რომ იგი მუდამ ქმრის ხელში იყოს.

2. იგივე, „ილიქტის შესახებ“, 6A-60 ნიგნვი

სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია ის, რომ ქალები უზრუნველყოფილნი იყვნენ მზითვით, რომლის მეშვეობით მათ გათხოვება შეუძლიათ.

3. ულპიანა, „ილიქტის შესახებ“, 63-A ნიგნვი

სახელწოდება „მზითვეი“ არ მიემართება იმ ქორწინებას, რომელთა არსებობა არ შეიძლება, რადგან არ შეიძლება მზითვეი არსებობდეს ქორწინების გარეშე. ასე რომ, [იქ], სადაც ქორწინება არ არის, არც მზითვეი არსებობს.

4. პავლუსი, „საბინუსისათვის“, 6A-6 ნიგნვი

თუ მზითვად მიცემულ ლიტონ საკუთრებას [ქორწინების პერიოდში] უზუფრუქტი დაემატება, ეს მზითვის ნამატად ითვლება და არა ახალ მზითვად, როგორც, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც [მიწის ნაკვეთი] მონატანი მიწით იზრდება.

5. ულპიანა, „საბინუსისათვის“, 6A-3 ნიგნვი

მზითვეს ეწოდება „პროფექტიცია“, როდესაც იგი მამიდან ან მშობლიდან მომდინარეობს და [წარმოქმნილია] მათი ქონებიდან

ან მათი მოქმედების შედეგად.

§ 1. ამრიგად, მზითვეი „პროფექტიცია“ იქნება, გინდ იგი მშობელმა მისცეს, გინდ – მისმა პროკურატორმა (რწმუნებულმა), გინდ – მისი ბრძანებით სხვა ვინმემ, ან პირმა, რომელიც იმავედროულად მის საქმეებს მართავდა, და [შემდეგ] ამას მშობელი დაამტკიცებს (დაამოწმებს).

§ 2. მარცელუსი „ლიგესტების“ მეექვსე წიგნში წერს, რომ, თუ პირი [ქალიშვილის] მამისთვის რამეს ჩუქების სურვილით მის ქალიშვილს მზითვეს მისცემს, ეს მზითვეი მაძიდან წარმოშობილი (ე.ი. „პროფექტიცია“) იქნება და ეს სწორია.

§ 3. ხოლო თუ მშობელი შეშლილი, მფლანგველი ან სხვა ნებისმიერი ამგვარი პირია, და მისი მზრუნველი [ქალიშვილისთვის] მას მზითვეს მისცემს, ჩვენ ასევე ვამბობთ, რომ ასეთი მზითვეიც „პროფექტიციაა“.

§ 4. ხოლო თუ, მაგალითად, პრეტორი ან პრეზესი დაადგენს, თუ რამდენი უნდა მიეცეს ქალიშვილს მზითვად მამის ქონებიდან, რომელიც ან მტრებმა დაატყვევეს, ან ყაჩაღებს ჩაუვარდათ ხელში, მაშინ ეს მზითვეიც „პროფექტიციად“ ჩაითვლება.

§ 5. თუ მამამ მზითვის დანიშვნის გამო მემკვიდრეობაზე უარი თქვა, მაგალითად, იმის გამო, რომ სიძე ანდერძით ქვემემკვიდრედ იყო დანიშნული ან მას კანონით შეეძლო მემკვიდრეობის მოთხოვნა, მაშინ, იულიანეს აზრით, მზითვეი „პროფექტიცია“ არ იქნება. და თუ მამამ მზითვის დანიშვნის მიზეზით ლეგატზე იმიტომ თქვა უარი, რათა ლეგატი მემკვიდრედ მყოფ სიძეს დარჩენოდა, მაშინ, იულიანეს მტკიცებით, ეს მზითვეი მამის ქონებიდან წარმოქმნილი არ იქნება, რადგან მამას თავისი არაფერი გაუცია (გადაუხდია), არამედ [მხოლოდ] არ შეიძინა.

§ 6. თუ მამამ მზითვეი გასცა არა როგორც მამამ, არამედ როგორც ფიდეიუსორმა¹⁹, ე.ი. იმის გამო, რომ მზითვის გაცემას იგი სხვას დაჰპირდა და სხვისი მოვალეობა აიღო, მაშინ, ნერაციუსის აზრით, მზითვეი „პროფექტიცია“ არ იქნება, თუნდაც მამას [მთავარი] მოვალისაგან იმის მიღება არ შეეძლოს, რაც მან

გადაიხადა.

§ 7. მაგრამ თუ მამა მზითევს დაჰპირდა და თავის ნაცვლად ფიდეიუსორი ან მოვალე წარადგინა, მაშინ, მე მიმაჩნია, რომ მზითევი „პროფექტიცია“ იქნება, რადგან საკმარისია, რომ მამა ვალდებული იყოს ან მოვალის, ან ფიდეიუსორის წინაშე.

§ 8. თუ ოჯახის ვაჟიშვილი სესხს აიღებს და კრედიტორს თავისი ქალიშვილისთვის მზითვის მიცემას დაავალებს, ან [თანხას] თავად აიღებს და [ქალიშვილს] მზითევს მისცემს, მაშინ, ნერაციუსის აზრით, მზითევი პაპისგან წარმოქმნილად ითვლება იმდენად, რამდენადაც მზითევი შეიღიშვილ ქალს პაპამ უნდა მისცეს, და რადგან ეს [სესხი] (ე.ი. ოჯახის ვაჟიშვილის მიერ აღებული სესხი) პაპის საქმისთვის [გამოყენებულად] განიხილება.

§ 9. თუ ვინმემ მამას განსაზღვრული თანხა აჩუქა, რათა მამას ეს ქალიშვილისთვის [მზითვად] მიეცა, მაშინ, როგორც ამას „დიგესტების“ მეჩვიდმეტე წიგნში იულიანე წერს, მზითევი „პროფექტიცია“ არ იქნება, რადგან მამა ვალდებულია, რომ [ნაჩუქარი თანხა] გასცეს, ან, თუ არ გასცა, იგი კონდიქციით აგებს პასუხს. [იულიანე] ამბობს, რომ ასეთივე წესი დედასთან დაკავშირებითაც მოქმედებს, თუ, მაგალითად, დედა ქმარს რამეს იმ პირობით აძლევს, რომ მან ქალიშვილის მზითვად სიძეს მისცეს. და არ ითვლება, რომ ცოლმა ქმარს ეს აჩუქა. იულიანე სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ ცივილური სამართლით [ამ შემთხვევაში] ნაჩუქრობა აკრძალული არ არის, რადგან ცოლმა [ქმარს] იმისთვის კი არ მისცა, რომ ეს [თანხა] მას ჰქონოდა, არამედ იმისთვის, რომ ქალიშვილს მზითვად სიძისთვის მიეცა. და თუ ქმარი [სიძეს] არ მისცემს, მაშინ იგი კონდიქციის ძალით აგებს პასუხს. იულიანე ამბობს, რომ ეს მზითევი არის „ადვენტიცია“, და ჩვენც [ამ ტერმინს] ასევე ვიყენებთ.

§ 10. თუ ოჯახის ვაჟიშვილი მზითვის მიცემის პირობას იძლევა და იგი მზითევს მას შემდეგ მისცემს, რაც იგი დამოუკიდებელი პირი ხდება, ეს მზითევი „პროფექტიცია“ იქნება, რადგან,

მან ეს მამის მემკვიდრეობის პასივის (ვალების) სახით კი არ გადაიხადა, არამედ სესხი თავად აიღო მაშინ, როდესაც იგი ოჯახის ვაჟიშვილი იყო და მას შემდეგ გადაიხადა, რაც ოჯახის მამა გახდა.

§ 11. თუ მამა თავისი ხელისუფლებიდან განთავისუფლებული ქალიშვილისათვის გასცემს მზითევს, არავინ ეჭვობს, რომ მზითევი მაინც „პროფექტიცია“ იქნება, რადგან მზითევს „პროფექტიციად“ აქცევს არა [მამის] ხელისუფლების უფლება, არამედ მშობლობა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მზითევს ისე მისცემს, როგორც მშობელი. სხვა შემთხვევაში, თუ მას ქალიშვილის მართებს და მისი მოთხოვნით მისცემს, მაშინ მზითევი „ადვენტიცია“ იქნება.

§ 12. „შეკითხვების“ მეათე წიგნში პაპინიანე ამბობს, რომ, თუ მამა, რომელიც თავისი ემანციპირებული (გააზატებული) ქალიშვილის მზრუნველია, ქალიშვილს მზითევს მისცემს, ეს უფრო მამის მიერ მიცემულად განიხილება, ვიდრე მზრუნველისა.

§ 13. „დიგესტების“ მეცხრამეტე წიგნში იულიანე წერს, რომ შვილად აყვანის („ადოფციო“) შემთხვევაშიც მამას თავად მის მიერ მიცემული მზითევი უკან უნდა დაუბრუნდეს.

§ 14. თუ ვინმე სხვისი ქალიშვილისთვის მზითვის მიცემის პირობას იძლევა, და შემდეგ [ქალიშვილის] მამა პროპოსორის²⁰ მემკვიდრე ხდება, მაშინ, იულიანეს აზრით, უნდა განვასხვავოთ. მამა ქორწინებამდე ხდება მემკვიდრე და აძლევს მზითევს თუ ქორწინების შემდეგ. თუ იგი ამას ქორწინებამდე აკეთებს, მაშინ მზითევი მისგან წარმოქმნილად განიხილება, რადგან მას შეუძლია შუამავალი (მაცნე) გაგზავნოს და მზითევი გააუქმოს, ხოლო თუ ეს ქორწინების შემდეგ ხდება, მაშინ მზითევი „პროფექტიცია“ არ იქნება.

6. პაპინიანე, „საპინუსისათვის“, 61-14 ნიგნში

ქალიშვილის დაკარგვის გამო მამის სანუგეშოდ კანონი მას დახმარებას უწევს იმით, რომ მას მისგან წარმოქმნილი „მზითევი“ მასვე უბრუნდება, რათა მან ქალიშვილის დაკარგვა და ფულადი ზარალი ერთდროულად არ განიცადოს.

§ 1. თუ მამა კეთილსინდისიერად ნაყიდ მიწის ნაკვეთს მზითვად გასცემს, მაშინ ეს [მზითვევი] თავად მისგან წარმოქმნილ მზითვად განიხილება.

§ 2. თუ მზითვის მიცემისას რომელიმე მხარე მოტყუვდება, მაშინ დახმარება ასაკით ოცდახუთ წელზე უფროსსაც უნდა გაუწიონ, რადგან სიკეთესა და სამართლიანობას არ შეესაბამება ის, რომ ერთმა მხარემ მეორე მხარის ზარალის ზარჯზე მოიგოს ან სხვისი მოგებით თავად ზარალი განიცადოს.

7. ულკიანა, „საბინუსისათვის“, 31-ე ნიშნში

სამართლიანობა მოითხოვს, რომ მზითვის ნაყოფი ქმარს მიეკუთვნოს; ვინაიდან ქორწინების ტვირთი მას აწევს, სამართლიანი იქნება, რომ ნაყოფიც მან მიიღოს.

§ 1. ქორწინების განმავლობაში მიღებული ნაყოფი მზითვევში არ შედის, მაგრამ თუ ნაყოფი ქორწინებამდეა მიღებული, მაშინ იგი მზითვად იქცევა, თუ მომავალ ქმარსა და მის საცოლეს შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული. რადგან მაშინ ნაყოფი [განიხილება] როგორც საჩუქარი და [მზითვეთან] ერთად [მიმცემს] უკან არ უბრუნდება.

§ 2. თუ მზითვად უზუფრუქტია მიცემული, მაშინ საკითხავია, [ქმარმა] ნაყოფი უნდა დააბრუნოს თუ არა? და ცელსუსი „დიგესტების“ მეათე წიგნში ამბობს, რომ [ამ შემთხვევაში] მნიშვნელოვანია ის, თუ რა ჰქონდათ მხედველობაში მხარეებს და თუ რაიმე სხვა [განზრახვა] არ აღმოჩნდა, მაშინ იგი მიიჩნევს, რომ ეს უფლება [მხოლოდ] თავად მზითვეს (ე.ი. უზუფრუქტს) ეხება და არა მიღებულ ნაყოფს.

§ 3. თუ მზითვად ნივთები გაიცემა, მე ვფიქრობ, რომ ისინი ქმრის ქონების შემადგენელი [ნაწილი] გახდება და მას უნდა მიეცეს თავის მფლობელობაზე [იმ] დროის შემატების უფლება, რომლის განმავლობაში მფლობელობას ცოლი ახორციელებდა. ნივთები ქმრის [კუთვნილება] ხდება იმ შემთხვევაში, თუ მათ მზითვად ქორწინების პერიოდში მისცემენ. მაგრამ, რა იქნება იმ შემთხვევაში, თუ ნივთები ქორწინებამდე მისცეს? თუ

ქალმა ნივთები იმ განზრახვით მისცა, რომ ისინი მაშინვე ქმრის ქონებაში გადასულიყო, მაშინ ასეც მოხდება. ხოლო თუ ქალმა იმ პირობით მისცა, რომ ეს [ნივთები] ქმრის კუთვნილება მაშინ გახდება, როდესაც ქორწინება მოხდება? ამიტომ, თუ, მაგალითად, ქორწინებაზე უარს შეუთვლიან და ქორწინება არ შედგება, და თუ ქალმა მზითვეი იმ პირობით მისცა, რომ „ნივთები მაშინვე ქმრის კუთვნილება გახდეს“, მაშინ ქორწინებაზე უარის შეთვლის შემთხვევაში, ქალმა ამ ნივთების კონდიციონება უნდა მოახდინოს (ე.ი. მას ექნება პირადი სარჩელი ნივთების უკან დასაბრუნებლად), ხოლო თუ ქალმა ნივთები იმ პირობით მისცა, რომ „[ნივთები ქმრის კუთვნილება] ქორწინების შემდეგ გახდეს“, მაშინ, ქორწინებაზე უარის შეთვლის შემთხვევაში, იგი მაშინვე ამ ნივთების ვინდიციონებას მოახდენს. მაგრამ თუ იგი ვინდიციონებას ქორწინებაზე უარის შეთვლამდე მოისურვებს, მაშინ მის წინააღმდეგ შეიძლება გამოიყენონ „[ბოროტი] განზრახვის შესაგებელი“ ან „საქმის ვითარებიდან გამოძინარე შესაგებელი“, რადგან, მზითვად გათვალისწინებული [ნივთების] ვინდიციონება არ უნდა მოხდეს.

8. კალისტრატუსი, „შაკითხვაჲნი“, 2-ე ნიგნში

ხოლო თუ ეს ცხადად არ გაკეთდება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნივთები მიცემულია ისე, რომ „მაშინვე საქმროს კუთვნილება გახდეს“ და თუ ქორწინება არ განხორციელდა, მათ უკან უბრუნებენ.

9. ულვიანე, „საბინუსისათვის“, 31-ე ნიგნში

თუ მე სეიას ნივთებს მივეცემ იმისათვის, რომ მან თავად, თავისი სახელით, ისინი მზითვად გასცეს, მაშინ ეს ნივთები მისი ხდება, თუნდაც მან ისინი მზითვად არ გასცეს, მაგრამ იგი [ჩემს წინაშე ამ შემთხვევაში] კონდიქციით აგებს პასუხს. თუ მე ეს ნივთები მას მზითვად მივეცი, და თანაც ქორწინებამდე, მაშინ მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რა პირობით მივეცი: „რომ მაშინვე მიმღების გახდეს“ თუ „ქორწინების შემდეგ“. თუ „მაშინვე“, მაშინ ქორწინებაზე უარის შეთვლის შემთხვევაში, მე კონდიციონება შემიძლია, ხოლო თუ „ქორწინების შემდეგ“, მაშინ – ვინდიციონება,

რადგან ნივთები მე მეკუთვნის. ამიტომაც, მეორე შემთხვევაში, თუ ქორწინება არ არის შესაძლებელი იმის გამო, რომ იგი [კანონით] აკრძალულია, ნივთები ჩემთან დარჩება.

§ 1. თუ მე ვინმეს ნივთებს გადავცემ იმისათვის, რომ მან ქორწინების შემთხვევაში მზითვად გამოიყენოს, და თუ შემდეგ მე ამ ქორწინებამდე მოვკვდები, მიეკუთვნება თუ არა ეს ნივთები მზითვეს, თუ ქორწინება შედგა? მე ვიტყვოდი, რომ ეს ნივთები არ შეიძლება გახდეს იმ პირის საკუთრება, რომელსაც ისინი მისცეს, რადგან ნაჩუქრობა ქორწინების დღეზეა დამოკიდებული. როდესაც ქორწინების პირობა დადგება, საკუთრების [უფლება] უკვე მემკვიდრეს ეკუთვნის, და უნდა ვალიაროთ, რომ ამ ნივთებზე საკუთრების ჩამორთმევა მასთან შეუთანხმებლად არ შეიძლება. მაგრამ უფრო სამართლიანია, რომ საქმე მზითვის სასარგებლოდ გადაწყდეს და მემკვიდრეს დაევალოს, რომ იგი გარდაცვლილის [ნებას] დაეთანხმოს. ხოლო თუ იგი ამ საქმეს გადადებს ან ადგილზე არ იმყოფება, მაშინ, მისი სურვილის წინააღმდეგ და ადგილზე არყოფნის შემთხვევაში (მის დაუსწრებლადაც), ამ ნივთებზე საკუთრება კანონის თანახმად ქმარს უნდა გადაეცეს, რათა ქალი უმზითვოდ არ დარჩეს.

§ 2. ხოლო მზითვის საფუძველზე მიცემულ [ნივთებად] უნდა ვიგულისხმოთ ის, რასაც მზითვად აძლევენ.

§ 3. ამრიგად, თუ [მზითვად] აძლევენ იმ ნივთებს, რომლებსაც ბერძნები „პარაფერნა“-ს (παραφερνα) უწოდებენ, ხოლო გალები – „პეკულიუმ“-ს, საკითხავია, ხდება თუ არა ეს ნივთები მაშინვე ქმრის კუთვნილება. მე ვფიქრობ, რომ თუ ქმარს იმ პირობით აძლევენ, რომ მაშინვე მას მიეკუთვნოს, მაშინ ის ქმარს მიეკუთვნება, და განქორწინების შემთხვევაში ცოლმა ვინდიცირება კი არ უნდა მოახდინოს, არამედ კონდიცირება. მან არც სამზითვო სარჩელი არ უნდა აღძრას, როგორც ამას ღვთაებრივი მარკუსი, ჩვენი იმპერატორი, და მამამისი ბრძანებენ. ასევე, თუ ქმარს აძლევენ ნივთების სიას („libelus“), რასაც რომში, როგორც ჩვენ ვხედავთ, ხშირად აკეთებენ, რადგან ქალი, ჩვეულებრივ,

ადგენს ხოლმე იმ ნივთების სიას, რომლებსაც ის, ჩვეულებრივ, ქმრის სახლში იყენებს და რომლებსაც მზითვად არ აძლევს; ამ სიას იგი ქმარს წარუდგენს ხელმოსაწერად [იმის დასამოწმებლად], რომ მან ეს [ნივთები] მიიღო. და ცოლი ქმრის ხელწერილს თავისთან ინახავს, როგორც [იმის საბუთს], რომ ის ნივთები, რომლებიც სიაშია შეტანილი, ქმრის სახლში მან შეიტანა. საკითხავია, ხდება თუ არა ეს ნივთები ქმრის კუთვნილება? და მე ვფიქრობ, რომ არ ხდება. არა იმიტომ, რომ [ნივთები ქმარს] არ გადაეცემა (რადგან, რა განსხვავებაა, [ნივთები] ქმრის სახლში მისი სურვილით შეაქვთ, თუ [ნივთებს] მას გადასაცემენ?), არამედ იმის გამო, რომ ქმრის და ცოლის განზრახვა, ჩემი აზრით, ის კი არ არის, რომ საკუთრება [ნივთებზე] ქმარს გადაეცეს, არამედ უფრო მეტად ის, რომ [ნივთების] ქმრის სახლში შემოტანა დადგინდეს, რათა იმ შემთხვევაში, თუ როდისმე განქორწინება მოხდა, ეს [ფაქტი] ვერ უარყონ, და ვინაიდან, უმრავლეს შემთხვევაში ნივთების დაცვის დაპირებას [ურთიერთშეთანხმებით] ქმარი იძლევა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნივთები ცოლის ხელშია. ამ ნივთებთან დაკავშირებით გასარკვევია, თუ რომელი სარჩელის წარდგენა შეუძლია ქალს იმ შემთხვევაში, როდესაც [ნივთებს] მას უკან არ უბრუნებენ – გასხვისებული ნივთების, დეპოზიტის თუ დავალების (მანდატის)? თუ ნივთების დაცვა ქმარს ევალება, მაშინ ქალს დეპოზიტის ან დავალების (მანდატის) [თაობაზე] სარჩელის წარდგენა შეუძლია. სხვა შემთხვევაში კი აღიძრება „გასხვისებული ნივთის სარჩელი“, თუ ქმარი ნივთებს გასხვისების განზრახვით იტაცებს, ან [ამ ნივთების] წარმოდგენის სარჩელი, თუ მას [ნივთების] გასხვისება არ უცდია.

10. იგივე, „საბინუსისათვის“, 34-ე ნიგნში

უმრავლეს შემთხვევაში ქმრისთვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ [მზითვად მიცემული] ნივთები არ იქნეს შეფასებული, რათა ამ ნივთების [დაკარგვის, დაზიანების] რისკი მასზე არ გავრცელდეს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი მზითვად პირუტყვს ან იმ ტანსაცმელს იღებს, რომელსაც ცოლი ხმარობს. ვინაიდან, თუ

ნივთები (ე.ი. ტანსაცმელი) შეფასებულია, და თუ ცოლმა ის გაცვიტა, ისე ზღვება, რომ ქმარმა [მზითვის დაბრუნების შემთხვევაში] [ტანსაცმლის] ფასი მაინც უნდა წარმოადგინოს. და რამდენადაც მზითვად შეუფასებელ ნივთებს იძლევიან, აძლენად მათი გაუმჯობესებაც და გაუარესებაც ცოლის [ანგარიშში] ითვლება.

§ 1. თუ შეუფასებელ მიწის ნაკვეთს რაიმე შეემატა, მაშინ ეს [შემატება] ცოლის მოგებას წარმოადგენს, ხოლო თუ რაიმე დააკლდა, ის ცოლის ზარალია.

§ 2. თუ [მზითვად მიცემულ] მონებს ბავშვები გაუჩნდათ, ეს [ბავშვები] ქმრის მოგება არ არის.

§ 3. მაგრამ [მზითვად მიცემული] პირუტყვის ნამატი ქმარს ეკუთვნის, რადგან იგი ნაყოფად ითვლება, მაგრამ იმგვარად, რომ ჯერ საჭიროა საკუთრების (ე.ი. პირუტყვის) შევსება და როდესაც დაღუპული პირუტყვის ადგილს ნამატი დაიჭერს, მაშინ დანარჩენი ნამატი ნაყოფის სახით ქმარს მიეკუთვნება, რადგან მზითვის ნაყოფი ქმარს ეკუთვნის.

§ 4. თუ მზითვად მიცემული ნივთები ქორწინებამდე შეფასებული, შეფასება განიხილება, როგორც [გარკვეული] პირობით შესრულებული და ეს პირობაა: „თუ [ამას] ქორწინება მოჰყვება“. ასე რომ, თუ შეფასებას ქორწინება მოჰყვება, მაშინ ნივთების შეფასება სრულდება და გაყიდვა ნამდვილი ხდება.

§ 5. ამასთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი კითხვა დაისვას: თუ შეფასებული მონები ქორწინებამდე მოკვდნენ, არის თუ არა ეს ცოლის ზარალი? და [ამის თაობაზე] ლოგიკური იქნება თუ შემდეგს ვიტყვით: ვინაიდან გაყიდვა პირობითია, ხოლო პირობის დადგომამდე სიკვდილი გაყიდვას აუქმებს, აქედან გამომდინარე ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ ზარალი ცოლმა უნდა განიცადოს, იმის გამო, რომ გაყიდვა ჯერ არ იყო შესრულებული, ვინაიდან [ეს] შეფასება გაყიდვას წარმოადგენს.

§ 6. თუ ნებისმიერად შეფასებულ ნივთებს მზითვად აძლევენ, მაგრამ შეთანხმდებიან, რომ ქმარმა ამ [ნივთების] ღირებულება

წარმოადგინოს, ან [თავად] ნივთები. და თუ ამას დაუმატებენ შემდეგს: „რომელიც ცოლს სურს“, მაშინ ქალი თავად ირჩევს, თუ რომლის მოთხოვნა ურჩევნია – ნივთების თუ მათი ღირებულებების, ხოლო თუ უმატებენ [ფორმულას] „რომელიც ქმარს სურს“, მაშინ არჩევანი ქმარზეა. ხოლო თუ არჩევანის შესახებ არაფერს უმატებენ, მაშინ ქმარი აირჩევს, თუ რა არის მისთვის უმჯობესი: ნივთების შეთავაზება თუ მათი ფასისა. ვინაიდან, როდესაც „ან ამას, ან იმას“ პირდებიან, მაშინ არჩევანი იმისა, თუ რომელი [ნივთი] წარმოადგინოს, მოვალეს ეკუთვნის. ხოლო თუ ნივთი აღარ არსებობს, მაშინ ქმარი ყველა შემთხვევაში [ნივთების] ღირებულებას წარადგენს.

11. პავლუსი, „საბინუსისათვის“, 9-7 ნიგნში

ცხადია, ქმარს გაუფუჭებული [ნივთის] დაბრუნებაც შეუძლია.

12. ულპიანე, „საბინუსისათვის“, 34-ი ნიგნში

თუ [მზითვად მიცემულ] ნივთებს ქორწინების შემდეგ შეაფასებენ და ცოლი [ნივთების ღირებულებაზე უფრო დაბალ] შეფასებას დაამტკიცებს, იმ მიზნით, რომ ქმარს აჩუქოს, ეს შეფასება არ იარსებებს იმის გამო, რომ ცოლს ქმრისთვის ჩუქების მოტივით ამ ნივთების მიყიდვა არ შეუძლია, რადგან ქმარსა და ცოლს შორის ნაჩუქრობას [სამართლებრივი] შედეგი არა აქვს. ასე რომ, ნივთები ისევ მზითვეში რჩება. ხოლო თუ ასეთი შეფასება ქორწინებამდე ხდება, მაშინ, უფრო სწორია, რომ ნაჩუქრობა ქორწინების დროს [შესრულებულად] ჩაითვალოს, და ამიტომაც მასაც ძალა არ აქვს.

§ 1. თუ ცოლი აცხადებს, რომ ნივთების შეფასებისას იგი მოატყუეს, როგორც, მაგალითად, მონასთან დაკავშირებით, თუ იგი იმაში მოატყუეს, რომ მონა მისცა და არა იმდენად იმაში, რომ მონა [რეალურ ღირებულებაზე] უფრო იაფად იქნა შეფასებული, მაშინ იგი მის უკან დაბრუნებას მოითხოვს. ხოლო თუ იგი შეფასებისას მონის ფასთან დაკავშირებით მოატყუეს, მაშინ ქმარი თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვეტს – [მონა] სამართლიანად შეაფასებინოს, თუ, უმჯობესია, რომ იგი და-

უბრუნოს. და ეს იმ შემთხვევაში, თუ მონა ცოცხალია. მაგრამ თუ იგი მოკვდა, მაშინ, მარცელუსის აზრით, ქმარმა, უმჯობესია, [მონის] ღირებულება გადაიხადოს, და [თანაც] არა რეალური ფასი, არამედ ის ღირებულება, რომლითაც ეს მონა იქნა შეფასებული, რადგან ქალი უნდა დაკმაყოფილდეს იმითაც, რომ მონა შეაფასეს. ვინაიდან, თუ იგი მონას უბრალოდ (ე.ი. შეუფასებლად) მისცემს, მაშინ, უეჭველია, რომ მონის სიკვდილის რისკი მას აწვება და არა ქმარს. იმავე აზრისაა მარცელუსი მოტყუებულ მცირეწლოვანთან დაკავშირებით. ასევე, თუ ცოლს სამართლიანი ფასით მყიდველი ჰყავს, მაშინ [ამ მონის] სამართლიანი ფასი უნდა იქნეს გადახდილი. მარცელუსის აზრით, ეს მხოლოდ მცირეწლოვან ქალს ეხება. ხოლო სცევოლა ქმართან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მან სამართლიანი ფასი უნდა გადაიხადოს [მხოლოდ] იმ შემთხვევაში, თუ მისი მხრიდან [ბოროტი] განზრახვა არსებობს. და მე ვფიქრობ, რომ უფრო სწორია ის, რასაც სცევოლა ამბობს.

§ 2. თუ ქალი [მომავალ] ქმარს, რომელიც მისი მოვალეა, შეუთანხმდება, რომ ის, რაც მას მართებს, მასვე მზითევში მიიღებს, მე ვფიქრობ, რომ [ამ შემთხვევაში] ქალს მზითვის [დაბრუნების] სარჩელის წარდგენა შეეძლება. ვინაიდან, ქმარი ძველი ვალისგან კანონით არ თავისუფლდება, მაგრამ შესაგებელი მას მაინც ექნება.

13. მოდესტინუსი, ნიგნში „ცალკეული [საკითხავი] მზითვის განსხვავებათა შესახებ“

თუ ცოლი განქორწინების შემდეგ იმავე ქმარს მანამდე დაუბრუნდა, ვიდრე ცოლს მზითვის [დაბრუნების] თაობაზე სტიპულაციიდან გამომდინარე სარჩელი ჰქონდა წარდგენილი, მტკიცედ უნდა ითქვას, რომ სანამ ქორწინება გრძელდება, [ქმარი] „ბოროტი განზრახვის შესაგებლით“ სტიპულაციიდან გამომდინარე სარჩელს ძალას უკარგავს.

14. ულპიანა, „ედიქტის შესახებ“, 34-ე ნიგნში

თუ ცოლმა შეფასებული ნივთი მზითვად მისცა, შემდეგ ამ

ნივთის გადაცემის ვადას გადააცილა და ნივთმა კი ბუნებაში არსებობა შეწყვიტა, მე ვფიქრობ, რომ [ამ შემთხვევაში] ქალს სარჩელი არ ექნება.

15. ჰომოციდიუმი, „საბინუსისათვის“, 31-14 ნიბნვი

ხოლო თუ [ნივთის გადაცემის ვადის გადაცილება] ცოლზე არ იყო დამოკიდებული, მაშინ იგი [ნივთის] ფასს ზუსტად ისე მიიღებს, (როგორც იმ შემთხვევაში, ნივთი რომ გადაეცა), რადგან ეს შემთხვევა მყიდველის რისკს შეადგენს.

16. ულპიანა, „საბინუსისათვის“, 34-ე ნიბნვი

როდესაც მზითვად შეფასებული ნივთია მიცემული, იმ შემთხვევაში, თუ იგი სასამართლო წესით იქნა ჩამორთმეული, ქმარი ცოლის წინააღმდეგ ყიდვიდან გამომდინარე სარჩელს წარადგენს. და ის, რასაც ქმარი ამ სარჩელის შედეგად მიიღებს, განქორწინების შემთხვევაში, მზითვის [თაობაზე] სარჩელის საფუძველზე [მან ცოლს] უნდა მისცეს. და ამიტომაც, თუ ქმარმა ორმაგი ღირებულება მიიღო, ისიც მან ცოლს უნდა დაუბრუნოს. ეს მოსაზრება სამართლიანია, რადგან ამ შემთხვევაში უბრალო გაყიდვა კი არა გვაქვს, არამედ [გაყიდვა] მზითვის [დადგენის] გამო; და ქმარმა ცოლის ზარალის ხარჯზე მოგება არ უნდა ნახოს. ვინაიდან, საკმარისია, რომ ქმარმა არ იზარალოს და არ არის საჭირო, რომ მან მოიგოს.

17. პაპლუსი, „საბინუსისათვის“, 31-7 ნიბნვი

მზითვად მიცემულ ნივთებზე ქმარმა პასუხი უნდა აგოს, როგორც [ბოროტი] განზრახვის (dolus), ასევე დაუდევრობის (culpa) შემთხვევაში, რადგან მზითვეი ქმარმა საკუთარი ინტერესის [გათვალისწინებით] მიიღო. მაგრამ იგი ასევე პასუხს აგებს იმ შემთხვევაში, [თუ მან ამ ნივთების დაცვასთან დაკავშირებით ისეთივე ყურადღება არ გამოიჩინა], როგორსაც იგი საკუთარ ნივთებთან დაკავშირებით ავლენს.

§ 1. თუ [მზითვად] შეფასებული ნივთებია მიცემული, ქორწინება კი არ შედგა, მაშინ გასარკვევია, თუ რისი [უკან დაბრუნება] უნდა მოითხოვონ: ნივთის თუ ღირებულების? მაგრამ

მხარეთა ნება იმას გვიჩვენებს, რომ შეფასებას ძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ მას ქორწინება მოჰყვა, რადგან ხელშეკრულების დადებისთვის სხვა საფუძველი არ არსებობს. ამიტომ, უნდა მოითხოვოს ნივთი და არა [მისი] ღირებულება.

18. პომპონიუსი, „საბინუსისათვის“, 61-14 ნიბნში

თუ შენ მზითვად [უკვე] შეფასებული მონები მიიღე და შეთანხმებულ იქნა, რომ „განქორწინების შემთხვევაში შენ [მონებს] იმავე შეფასების მიხედვით დაუბრუნებ“, ლაბონის აზრით, მონათა ბავშვები შენ დაგრჩება, რადგან [თავად] მონების რისკიც შენ გელო.

19. ულპიანა, „საბინუსისათვის“, 34-ე ნიბნში

თუნდაც მზითვეი ქმრის ბრძანებით სხვას მისცენ, ქმარს მზითვის თაობაზე ვალდებულებები მაინც ექნება.

20. პავლუსი, „საბინუსისათვის“, 61-7 ნიბნში

იულიანე წერს, რომ ძალა აქვს [შემდეგი ფორმულით დადებულ] სტიპულაციას: „როდესაც მოკვდები, მზითვად ამდენს [და ამდენს] მომცემ“. რადგან, ჩვეულებრივ, ისეთ შეთანხმებას დებენ, რომ [მზითვეი] „ქალის სიცოცხლეში არ იქნეს მიცემული“. მე ის აზრი გავიზიარე, რომ ეს ორი შემთხვევა ერთმანეთის მსგავსი არ არის; რადგან სხვა არის [მზითვის] მიღების გადავადება და [სულ] სხვაა [მზითვის მიცემის] თავიდანვე იმ ღროისათვის დაპირება, როდესაც ქორწინება აღარ უნდა არსებობდეს. ამავე აზრისანი არიან არისტონი, ნერაციუსი და პომპონიუსი.

21. ულპიანა, „საბინუსისათვის“, 35-ე ნიბნში

ცნობილია, რომ მზითვის თაობაზე დადებული სტიპულაცია შემდეგ პირობას შეიცავს: „თუ ქორწინება შედგება“. ასევე ცნობილია, რომ ამ სტიპულაციის საფუძველზე სარჩელის წარდგენა მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, („თუ ქორწინება არსებობს“), თუნდაც პირობა „თუ ქორწინება...“, წარმოთქმული არ იყოს. ამიტომ, თუ ქორწინებაზე უარს იტყვიან, სტიპულაციის პირობაც მოხსნილად ითვლება.

22. პავლუსი, „საბინუსისათვის“, 61-7 ნიბნში

და თუნდაც შემდგომში იმავე პირებს შორის ქორწინება შედგეს, სტიპულაცია არ აღდგება.

23. ულავიანა, „საბინუსისათვის“, 35-ე ნიბნვი

ხოლო იმის გამო, რომ [მზითვის თაობაზე] სტიჰულაციის დროს არ არის აუცილებელი ამ პირობის („თუ ქორწინება შედგება“) წარმოთქმა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც იმის წარმოთქმა საჭირო, თუ როდის მისცემენ მზითევს, [თუ ეს მიცემა ქორწინებამდე ხდება].

24. პომპონიუსი, „საბინუსისათვის“, 9-15 ნიბნვი

თუ გათხოვების მსურველი ოჯახის ქალიშვილი [მომავალ] ქმარს მზითევს იმ პეკულიუმიდან მისცემს, რომლის მართვაც [ამ ქალიშვილის] ხელშია, და შემდეგ, თუ ქალიშვილს პეკულიუმზე იგივე უფლება დარჩა და განქორწინება მოხდა, [ქმარი] მას მზითევს ისევე სწორად გადაუხდის, როგორც მისი პეკულიუმის ნებისმიერი სხვა მოვალე.

25. აპულუსი, „საბინუსისათვის“, 9-7 ნიბნვი

თუ გათხოვების მსურველმა ქალმა [მომავალ ქმართან], რომელსაც მისი მონა სტიხუსი მართებს, ასეთი შეთანხმება დადო: მონა სტიხუსის სანაცვლოდ, რომელიც შენ გმართებს, [ჩათვალე], რომ შენ მზითვად ათი [ოქრო] მოგეცი“, არსებული წესების შესაბამისად დაშვებულია ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის გადახდა, და [ამიტომ] ქმარი თავისუფლდება ვალისაგან და ათი [ოქრო] კი მზითვად ითვლება, რადგან შეთანხმებით მზითვის შეცვლაც არის შესაძლებელი.

26. პოდესტიანუსი, „რეგულატი“, 1-ლ ნიბნვი

ჩვენ ვაპობთ, რომ ქორწინების არსებობის დროს მზითვის შეცვლა [იმ შემთხვევაში] შეიძლება, თუ ეს ქალისთვის სასარგებლოა, თუ [მაგალითად], ფული იცვლება ნივთით, ან ნივთი – ფულით. და ეს [წესი] მიღებულია.

27. ულავიანა, „საბინუსისათვის“, 36-ე ნიბნვი

და თუ ასეთი შეცვლა მოხდა, მიწის ნაკვეთი თუ [სხვა] ნივთები მზითვად იქცევა.

28. აპულუსი, „საბინუსისათვის“, 9-7 ნიბნვი

ქორწინების შემდეგ მამას ქალიშვილის მდგომარეობის გაუარესება არ შეუძლია, რადგან ქალიშვილის თანხმობის გარეშე

მისთვის არც მზითვის დაბრუნებაა შესაძლებელი.

29. ულპინაე, „საბინუსისათვის“, 36-ე ნიგნონი

როდესაც მამა [თავისი] ქალიშვილისთვის [ქმარს] მზითევს ჰპირდება და [შემდეგ] ამ მზითევს ლეგატის სახით ტოვებს, საკითხავია, აქვს თუ არა ძალა ლეგატს იმ შემთხვევაში, თუ [მამამ] ლეგატი ქმარს დაუტოვა? და მე ვფიქრობ, რომ ასეთ ლეგატს ძალა არა აქვს, რადგან მაშინ, როდესაც მოვალე კრედიტორს ლეგატის სახით იმას უტოვებს, რაც მოვალეს კრედიტორის მართებს, ლეგატი არ არსებობს. ხოლო თუ მამამ ეს ლეგატი ქალიშვილს დაუტოვა, მაშინ ლეგატს ძალა ექნება, რადგან დაპირების საფუძველზე მზითვეი ქმარს ეკუთვნის, ლეგატი კი — ქალიშვილს. და თუ ქალიშვილის მტკიცებით მოანდერძეს (ე.ი. მამას) ის სურვილი ჰქონდა, რომ მისთვის ლეგატი გაეორმაგებინა, მაშინ მას ორივე ექნება: მზითვეი, რომელსაც ქმარი მიიღებს და ლეგატი — თვით ანდერძდანაკისრის საფუძველზე. ხოლო თუ მას ორიდან ერთ-ერთი სურს, მაშინ, თუ ქალი ლეგატს მოითხოვს, მემკვიდრე მის წინააღმდეგ [ბოროტი] განზრახვის შესაგებელს გამოიყენებს, და მემკვიდრეს მხოლოდ იმ შემთხვევაში აიძულებენ ქალისთვის ლეგატის გადახდას, თუ ქალი მემკვიდრეს ქმრის წინააღმდეგ ზარალის ანაზღაურების გარანტიას არ მისცემს იმ შემთხვევისთვის, თუ ქმარი [მზითვის ამოსაღებად] სარჩელს აღძრავს იმ დაპირების საფუძველზე, [რომელიც მას მოანდერძებ (მამამ) მისცა]. მაგრამ თუ სარჩელს ქმარი წარადგენს, მაშინ ზარალის ანაზღაურების გარანტია [მემკვიდრისთვის] აუცილებელი არ არის. მაგრამ თუ ქალი სარჩელს შემდგომში აღძრავს, იგი შესაგებელით იქნება აცილებული, რადგან მზითვეი ერთხელ [მას უკვე] მისცეს.

30. პავლუსი, „საბინუსისათვის“, 61-7 ნიგნონი

პირველი ქორწინების დროს მიცემული მზითვეი [იმავე პირებს შორის] მეორე ქორწინების მზითვად [ქცეულად] მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს განხილული, თუ მხარეებს ამის სურვილი ექნებათ. ამგვარ სურვილს კი ჩვენ ყოველთვის ვგულისხმობთ,

თუ არ დამტკიცდა, რომ სხვა რამ არ არის შეთანხმებული.

31. კომპონიუსი, „პასუხები“, გვ-4 ნიგნში

ხოლო თუ [ცოლ-ქმარს შორის] განქორწინება კი არა, არამედ ჩხუბი მოხდა, მაშინ მზითვეი იმავე ქორწინებაში რჩება.

32. კომპონიუსი, „საბინუსისათვის“, გვ-16 ნიგნში

თუ ქმარი ცოლის თანხმობით გაყიდის მზითვის შემადგენელ მიწის ნაკვეთში მდებარე ქვისამტეხლოდან ქვას ან ხეებს, რომლებიც ნაყოფს არ წარმოადგენენ, ან [ასეთივე მიწაზე] აღმართულ შენობას, ამ გაყიდვიდან მიღებული ფული მზითვეს ეკუთვნის.

33. ულპიანა, „საბინუსისათვის“, გვ-6 ნიგნში

თუ ის, ვინც მზითვეს დაპირდა, გარეშე პირია, და ეს პირი გაკოტრდა, მაშინ ქმარი პასუხს აგებს იმისათვის, თუ რატომ არ იზრუნა მან სარჩელზე, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ [მზითვის] დაპირება არა ნებაყოფლობით, არამედ იძულებით იქნა მიცემული. მართლაც, თუ გარეშე პირმა მზითვეი მისცა, მაშინ ქმარს უნდა აპატიონ ის, რომ იგი ამ პირს გადახდას არ აძალებდა. თუ სარჩელზე იზრუნებდა, მაშინ მიუსჯიდნენ იმ ოდენობამდე გადახდას, რამდენის შესაძლებლობაც ექნებოდა. რადგან ღვთაებრივი პიუსის რესკრიპტი [ამის თაობაზე] შემდეგს გადმოგვცემს: „იმ პირებს, რომელთა წინააღმდეგ მათი გულმოწყალების გამო სარჩელია წარდგენილი, იმდენის გადახდა უნდა მიუსაჯონ, რამდენის გადახდაც მათ შეუძლიათ“. ხოლო თუ მზითვეს მამა ან თავად ცოლი დაპირდა, და ამის შესახებ „დიგესტების“ მეთექვსმეტე წიგნში იულიანეც ასე წერს, რომ თუ მზითვეს მამა დაპირდა, მაშინ რისკი ქმარს აწევს, რაც მისაღები არ არის. ასე რომ, რისკი ცოლს უნდა დაედოს. რადგან არც ერთი მოსამართლე კეთილგანწყობით არ მოუსმენს ცოლს, რომელიც ჩივის იმის თაობაზე, თუ რატომ არ აიძულა ქმარმა დაპირებული მზითვის გადახდა მამას, ან (უფრო ნაკლებად) თავად მას. ამრიგად, საბინუსის მოსაზრება სწორია, როდესაც იგი ამბობს, რომ მამის ან ცოლის მიერ დაპირებული მზითვეი ქმრის რისკს არ წარმოადგენს (არამედ ცოლის) და

[ცოლის] მოვალის დაპირებული მზითვეი კი – ქმრის. ხოლო მესამე პირის მიერ დაპირებული მზითვეი კი იმ [მეუღლის] რისკს წარმოადგენს, რომელმაც მოგება ნახა. ხოლო ჩვენ ვგულისხმობთ, რომ იძენს [ყოველთვის] ცოლი, რომელსაც [მთელი] მოგება ეკუთვნის.

34. იგივე, „საბინუსისათვის“, 35-ე ნიგნო

თუ დედამ [თავის] ქალიშვილს სარგებლობის უფლებით ოქროულობა გადასცა, მამამ კი ეს ოქროულობა [მომავალ] ქმარს მზითვად მისცა, [ხოლო] შემდეგ კი დედა გარდაიცვალა; და თუ ეს ოქროულობა ქმრის მიერ ცოლის უკითხავად და მისი სურვილი საწინააღმდეგოდ იქნა მზითვად გაცემული, მაშინ იგი დედის მემკვიდრეს დარჩება და მას ოქროულობის ვინდცილება შეუძლია და ამის გამო მიჩნეული იყო, რომ [მამამ] ქმარს მზითვად [დაპირებულთან შედარებით] [სწორედ] ამდენით ნაკლები მისცა; იმის გამო, რომ ნივთი ჩამორთმეულია, ქმარს სიმამრის წინააღმდეგ სარჩელი ეკუთვნის.

35. იგივე, „საბინუსისათვის“, 45-ე ნიგნო

თუ [ქალიშვილის] მამის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ დაპირებულ მზითვეს ქმარი „ნოვაციის“²¹ მიზნით [სტიპულაციით] სხვას დაჰპირდება, მაშინ [მზითვის] რისკი, რომელიც მანამდე ცოლზე იყო, ქმარზე გადადის.

36. იგივე, „საბინუსისათვის“, 48-ე ნიგნო

ქალის მოვალე ამ ქალის ბრძანებით [ქალის მომავალ] ქმარს თანხას დაჰპირდა. შემდეგ ქმარმა ეს თანხა მიიღო და ცოლის ბრძანებით მოვალე ვალისაგან გაათავისუფლა. და ცოლმა ნივთი (ეს თანხა) დაკარგა. [საკითხავია:] რად უნდა ჩაითვალოს ეს [გადახდა]? მოვალის ვალდებულების საგანი მზითვეია თუ რაიმე სხვა? და ითვლება, რომ საუბარია იმ მოვალეზე, რომელიც მზითვის გადახდას დაჰპირდა. კიდევ ერთი რამ არის გასარკვევი: ეს [ყველაფერი], ქორწინებამდე მოხდა თუ ქორწინების შემდეგ? ვინაიდან ითვლება, რომ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, თუ ეს ქორწინებამდე მოხდა, როდესაც მზითვეი უკვე დაწესებული იყო, მაშინ ქმარი ამ

თანხის მიღებით მზითვეს კარგავს. ხოლო თუ ეს ქორწინებადღე მოხდა, მაშინ მზითვეი დაწესებულად არ ითვლება.

37. პავლუსი, „საბინუსისათვის“, 9A-12 ნიგნვი

ვინაიდან ცოლი [მოვალის წინააღმდეგ] სარჩელს მხოლოდ იმ შემთხვევაში კარგავს, თუ ამას ქორწინება მოჰყვა, რადგან თუ ქორწინება არ შედგა, მაშინ მოვალე ცოლის წინაშე ვალდებული რჩება.

38. ულაიანა, „საბინუსისათვის“, 48-ე ნიგნვი

ახლა გასარკვევია, ეკისრება თუ არა ცოლს ვალდებულება ქმრის წინაშე, რომელსაც მან [თავისი მოვალისაგან თანხის] მიღება უბრძანა? მე ვფიქრობ, რომ მას ვალდებულება ეკისრება დავალების (მანდატის) სარჩელით. და თავად ეს ვალდებულება, რომელიც ცოლს დავალების სარჩელით ეკისრება, მზითვად იქცევა. და [ეს სავესბით] ლოგიკურია, რადგან თუ ცოლი მზითვის დასაბრუნებლად სარჩელის აღძვრას მოინდომებს, მას თავად მოუხდება [ქმრისთვის მიცემული] საკუთარი ბრძანების კომპენსირება.

39. იგივი, „ედიქტის შესახებ“, 35-ე ნიგნვი

თუ მხვეალი მონას რამეს, როგორც მზითვეს, ისე მისცემს. და შემდეგ, მათი თანაცხოვრების პერიოდში, ორივე თავისუფლებას მიიღებს ისე, რომ პეკულიუმს მათ არ წაართმევენ, და მათი თანაცხოვრება კი გაგრძელდა, მაშინ ეს საქმე შემდეგნაირად უნდა მოგვარდეს: თუ მონობის პერიოდში „თითქოს მზითვად“ მიცემულ სხეულებრივ ნივთთაგან რომელიმე არსებობს, ეს ნივთები „უსიტყვოდ“ მზითვად ქვეულად ითვლება და ამიტომ ცოლს ისინი უნდა შეუფასონ.

§ 1. თუ ქალი საჭურისზე გათხოვდა, მაშინ, ვფიქრობ, გასარჩევია, ქმარი კასტრატია თუ არა, რადგან თუ იგი კასტრატია, მაშინ უნდა ითქვას, რომ მზითვეი არ არსებობს, ხოლო თუ კასტრატი არ არის, მაშინ მზითვეიც არსებობს და სარჩელიც მზითვის თაობაზე, რადგან [ამ შემთხვევაში] ქორწინება არსებობს.

40. იგივი, „ედიქტის შესახებ“, 34-ე ნიგნვი

ღვთაებრივმა სევერუსმა პონციუს ლუკრიანეს შემდეგი რეს-

კრიპტი გაუგზავნა: თუ ცოლი, რომელსაც მზითვე მიცემული აქვს, განქორწინების შემდეგ ქმარს უბრუნდება ისე, რომ მას ქორწინების ხელშეკრულება არ გაუუქმებია, ეჭვს გარეშეა, რომ იმ პირმა, ვისთანაც ამ საქმეს განსახილველად წარადგენენ, იგი ცოლის სურვილის შესაბამისად უნდა გადაწყვიტოს, რომელსაც, უეჭველია, რომ [პირველ] ქორწინებაში [ქმართან] უმზითვოდ დაბრუნების სურვილი არ ჰქონია და [საქმე] ისე უნდა შესრულდეს, თითქოს იგივე მზითვეი განახლებულ იქნა.

41. პავლუსი, „ედიქტის შესახებ“, 35-ე ნიშნში

მზითვის დაპირება ვალდებულებას ყველას აკისრებს, სქესის და მდგომარეობის მიუხედავად.

§ 1. ხოლო თუ ამას ქორწინება არ მოჰყვა, მაშინ სტიპულაციიდან გამომდინარე სარჩელის აღძვრა არ შეიძლება, რადგან მხედველობაში უფრო საქმე უნდა იქნეს მიღებული, ვიდრე სიტყვა.

§ 2. მზითვეი წესდება აგრეთვე „აქცეპტილაციოს“²² („ვალის დაფარვის“) მეშვეობით, როდესაც მოვალე ქმარს მზითვის დაწესების გზით ვალისგან ათავისუფლებს.

§ 3. თუ ცოლის მოვალე (განსაზღვრული პირობით) [ცოლისთვის] მზითვის მიცემის ვალდებულებას იღებს, და შემდეგ, ვიდრე ქმარი [მზითვის] მიღებას შეძლებს, იგი კოტრდება, უმჯობესია, რომ რისკი ცოლს დაედოს, რადგან ქმარი „ვალის დაფარვის მომთხოვნად“ არ ითვლება იმ პერიოდში, როდესაც მას მისი მიღება არ შეეძლო. ხოლო თუ მოვალე უკვე მაშინ იყო გაკოტრებული, როდესაც მან პირობით მზითვის მიცემის ვალდებულება იკისრა, მაშინ რისკი ქმარზე იქნება, რომელიც იმ მდგომარეობის მცოდნედ ითვლება, რომელიც ვალდებულების აღების დროს არსებობდა.

§ 4. თუ ქალის (ცოლის) მოვალე მას მზითვეს დაჰპირდა, [შემდეგ გარდაიცვალა] და თავის მემკვიდრედ ეს ქალი დატოვა, ლაბონის სიტყვით, ეს შემთხვევა ისე უნდა განვიხილოთ, თითქოს მზითვის ვალდებულება თავად ქალმა იკისრა. ამ მოსაზრებას იულიანეც ეთანხმება. მართლაც, ამბობს იგი, არ იქნება სამარ-

თლიანი, რომ ქმარს მიუუსაჯოთ ქალისთვის იმ თანხის გადახდა, რაც თავად ამ ქალის ვალია. და საკმარისი იქნება, რომ ქმარმა [ცოლი] „აქცეპტილაციოს“ მეშვეობით [ვალისგან] გაათავისუფლოს.

42. ბაიუსი, „პროვინციის ედიქტის შესახებ“, 30-11 ნიგნო

მზითვად მიცემული ის ნივთები, რომლებიც წონით, რაოდენობით და ზომით განისაზღვრება, ქმრის რისკს წარმოადგენს, რადგან მათ იმ მიზნით აძლევენ, რომ ქმარმა ისინი თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს, და განქორწინების შემთხვევაში თავად მან ან მისმა შემკვიდრემ იმავე სახისა და თვისების (ხარისხის) სხვა ნივთები დააბრუნოს.

43. ულპიანე, „დისპუტაციები“, 43-ე ნიგნო

თუმცა მზითევი, ჩვეულებრივ, „აქცეპტილაციოს“ მეშვეობით წესდება, მაგრამ, თუ „ვალის მიღების განცხადება“ ქორწინებამდე გაკეთდა, ხოლო ამას კი ქორწინება არ მოჰყვა, სცევოლას აზრით, ქორწინების მიზეზით „ვალის მიღების განცხადება“ გაკეთებულად არ ითვლება, თუ მას ქორწინება არ მოჰყვა და ამიტომ ძველი ვალდებულება ძალაში რჩება, რაც [სავსებით] სწორია.

§ 1. ხოლო როდესაც გარეშე პირი ვალისგან ათავისუფლებს თავის მოვალეს, რათა [ამ თანხით] მზითევი დაწესდეს, და თუ შემდეგ ქორწინება არ შედგა, [მაშინ ამას] ვალისგან განთავისუფლება არ მოჰყვება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან მოვალე ისე გაათავისუფლა, რომ ეს თანხა მთლიანად ქალს აჩუქა. და ამ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ [ეს თანხა] „უმოკლესი გზით“ ქალმა მიიღო და [შემდეგ იგი მის მომავალ] ქმარს გადაეცა. თუმცა, ცოლს თავისუფალი პირის მეშვეობით კონდიქციის შეძენა არ შეუძლია. ცხადია, თუ ქორწინება შედგა, განქორწინების შემთხვევაში ქალს შეუძლია, რომ მზითევი გამოითხოვოს; [ოღონდ] თუ გარეშე პირს ვალის მიღების თაობაზე განცხადება იმ პირობით არ აქვს გაკეთებული, რომ განქორწინების შემთხვევაში კონდიქცია თავად მას (ე.ი. გარეშე პირს) მიეკუთვნოს, რადგან ამ [უკანასკნელ] შემთხვევაში ცოლს სარჩელი არ ექნება. აღნიშ-

ნულის შესაბამისად, როდესაც მზითვეი „აქცეპტილაციოს“ მეშვეობით არის დაწესებული [მოვალე ქმრის ვალისგან განთავისუფლების შედეგად], და როდესაც ამას შემდეგ ქორწინება მოჰყვება, მზითვის გამოთხოვის [სარჩელს] ასეთი შედეგი ექნება; თუ ის ვალდებულება, რომლისგანაც პირი (მოვალე ქმარი) განთავისუფლდა უპირობო იყო, იგი თავის პირვანდელ მდგომარეობაში კი არ უნდა აღადგინონ, არამედ მზითვეი თავის დროზე უნდა იქნას გადახდილი. ხოლო თუ ვალდებულება [გარკვეული] ვადით არის დადებული, და ვალდებულების ვადა განქორწინებამდე არ დამდგარა, მაშინ ეს ვალდებულება მის უწინდელ ვადაში უნდა იქნას აღდგენილი. და თუ ვალს გარანტია ახლავს, ეს გარანტიაც უნდა განახლდეს. მსგავსად ამისა, თუ მზითვად გადაქცეული ვალდებულება პირობით არის დადებული, და ვალდებულების პირობის დადგომამდე განქორწინება მოხდება, მაშინ, უფრო სწორი იქნება, რომ ვალდებულება იმავე პირობით იქნას აღდგენილი. მაგრამ, თუ პირობა ქორწინების პერიოდში დადგება, მაშინ [თანხის] ამოღების დრო განქორწინების დღიდან დაითვლება.

44. იულიანე, „დიგესტაჰი“, 34-16 ნიგნში

თუ მამა თავისი ქალიშვილისთვის მზითვის მიცემის პირობას იძლევა, და [შემდეგ] ქორწინებამდე ქალიშვილს თავისი ხელისუფლებიდან ათავისუფლებს, დაპირება (ვალდებულება) არ უქმდება, რადგან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მამა ქორწინებამდე კვდება, მისი ბემკვიდრები ამ დაპირების ძალით მანც ვალდებულები რჩებიან.

§ 1. თუ ქალი, რომლის მოვალე ოჯახის ვაჟიშვილია, [ამ ვაჟის] მამას მზითვეს შემდეგი სიტყვებით ჰპირდება: „შენ მზითვად გაძლევ იმას, რაც შენ ან შენს ვაჟიშვილს ჩემი მართებს“, მას [ამ დაპირებით] ვალდებულება არ ეკისრება, მაგრამ ამას ის შედეგი აქვს, რომ მზითვეში (მზითვის შემადგენლობაში) შევა ის, რის ამოღებასაც ეს ქალი მამის წინააღმდეგ [მისი ვაჟიშვილის] პეკულიუმის თაობაზე წარდგენილი სარჩელით შეძლებს. მარცელუსი [ამბობს]: „ამრიგად, თუ ამის შემდეგ [ქალი] გინდ მამის,

გინდ ვაჟიშვილის წინააღმდეგ სარჩელს აღძრავს, იგი [მზითვის შექმნისთვის] დადებული ხელშეკრულების (პაქტის) შესაგებლით იქნება აცილებული, ხოლო თუ იგი სასამართლოს მზითვის [დაბრუნების თაობაზე] სარჩელით მიმართავს, მაშინ მიიღებს იმას, რაც მზითვის დაპირების დროს [ვაჟიშვილის] პეკულიუმს შეადგენდა. ყოველ შემთხვევაში, თუ მზითვის დაპირება ქორწინების შემდეგ მოხდა, იმ პერიოდის პეკულიუმში უნდა შეფასდეს, რომელიც ქორწინების დროს იყო.

45. ტრიჟონინუსი, „დისკუტაციები“, 62-8 ნივთი

თუ ქალი ოჯახის ვაჟიშვილზე გათხოვებას აპირებს, რომელიც მისი მოვალეა, და [მზითვად] მხოლოდ პეკულიუმის თაობაზე სარჩელს ჰპირდება, არკვევენ იმას, რაც ამ სარჩელის საფუძველზე ქალს უნდა გადაუხადონ იმ დროისთვის, როცა ქორწინება მოხდება.

§ 1. მაგრამ, თუ ქალი სხვაზე აპირებს გათხოვებას და ოჯახის ვაჟიშვილს, რომელიც მისი მოვალეა, უბრძანებს, რომ მზითვად პეკულიუმის მიცემას დაპირდეს, მაშინ არკვევენ იმ დროს, როდესაც მზითვის მიცემის დაპირება მოხდა, რათა პეკულიუმში [ამ დროისთვის] იქნას შეფასებული.

46. იულიანა, „დიგესტიები“, 62-16 ნივთი

როგორც მონა, რომელიც მონათმფლობლის (მონის მესაკუთრის) უკითხავად სტიპულაციას ახდენს, [სტიპულაციის შედეგს] მონათმფლობელს შეუძენს, ზუსტად ასევე, მონა, რომლის წინაშე მზითვის მიცემის ვალდებულებას კისრულობენ, რომლის სტიპულაციასაც იგი მონათმფლობელის სახელით ახდენს, ვალდებულებას მონათმფლობელს შეუძენს. მაგრამ, თუ, მაგალითად, ამ შემთხვევაში მონას [მზითვის მიცემის] დაპირებას ქალის მოვალე აძლევს, მონათმფლობელს (მონის მესაკუთრეს) არც რისკი უნდა დაედოს და მან არც დაუდევრობისთვის უნდა აგოს პასუხი. მზითვეი წესდება აგრეთვე სამზითვო ნივთების მონაზე ან ოჯახის ვაჟიშვილზე გადაცემით (traditio) ისე, რომ მონის მესაკუთრეს ან მამას არც რისკი ედება და არც დაუდევრობისთვის

პასუხისმგებლობა [ეკისრება]. ამრიგად, მე ვამბობ, რომ მზითვის რისკი ქალს ეკუთვნის მანამ, სანამ მონის შესაკუთრე ან მამა [მონის ან ვაჟიშვილს] დაპირებას ან ნაჩუქრობას არ დაამტკიცებს. ამიტომ, ქალს შეუძლია, ქორწინების პერიოდშიც კი, კონდიქციის მეშვეობით მოითხოვოს იმ ნივთების დაბრუნება, რომლებიც მან ამგვარად გადასცა. მას შეეძლება აგრეთვე წარადგინოს „განუსაზღვრელი კონდიქცია“, რათა ამ დაპირებისგან განთავისუფლდეს.

§ 2. თუ ქალი, რომელიც თავის მოვალეზე აპირებს გათხოვებას, მზითვეს ასეთი სიტყვებით ჰპირდება: „მე შენ მზითვად მოგცემ იმას, რაც შენ ჩემი გმართებს ან სემპრონიუსის მიწის ნაკვეთს“, მაშინ მზითვეი იქნება ის, რასაც ქალი მოისურვებს და თუ ქალს ქმრისთვის მზითვეში მისაცემად ის ურჩევნია, რაც ქმარს მისი მართებს, და თუ ქმარი მიწის ნაკვეთს მოითხოვს, ქალს თავის დაცვა შესაგებლად შეუძლია. ხოლო თუ ქალმა მზითვად მიწის ნაკვეთი მისცა, მაშინ იგი ქმრისგან ფულს ამოიღებს.

§ 3. თუ მამა, რომელიც შეცდომით მიიჩნევს, რომ მას თავისი ქალიშვილის ვალი აქვს, მას მზითვეს დაპირდება, მამას ვალდებულება დაეკისრება.

47. იგივე, „ლიბასტაგი“, მკ-18 ნიბნში

თუ ქორწინებამდე მზითვად მიცემული მონა ასევე ქორწინებამდე ნაჩუქრობით ან ლეგატით რამეს შეიძენს, მზითვეი გაიზრდება ისევე, როგორც იზრდება ნაყოფით ის მიწის ნაკვეთი, რომელიც [ქმარს] ქორწინებამდე გადაეცა.

48. იგივე, „ურსანიუს უაროქსინასთვის“, მკ-2 ნიბნში

სტიპულაცია ასეთი სიტყვებით მოხდა: „მპირდები, რომ უახლოეს წელიწადში მზითვად ათ [ოქროს] მომცემ“. კითხვა დაისვა: როდიდან უნდა დაიწყონ წელიწადის ათვლა? სტიპულაციის დადების დღიდან თუ იმ დღიდან, როდესაც მზითვეი შეიძლება, რომ არსებობდეს, ე.ი. ქორწინების დღიდან? და ამაზე შემდეგნაირად უპასუხეს: წლის ათვლა ქორწინების დღიდან უნდა დაიწყოს. რადგან, თუ ჩვენ ამ საკითხს სხვაგვარად გადავწყვეტთ, და თუ ქორწინება იმ წლის განმავლობაში არ

შედგა, არ ჩაითვალოს შესაძლებლად, რომ მზითევი ამ ვალდებულების ძალით გადაახდევინონ.

§ 1. სიმამრი თავის სიძეს ლევატს შემდეგი სიტყვებით უტოვებს: „ჩემმა მემკვიდრემ ლუციუს ტიციუსს ჩემი ქალიშვილის სახელით ასი [ოქრო] მისცეს“. სიძემ ეს თანხა უნდა მოითხოვოს. როდესაც [ამ თანხას] ამოიღებს და მიიღებს, იგი (ე.ი. თანხა) ლევატად ჩაითვლება. მაგრამ განქორწინების შემთხვევაში, პროკულუსი პასუხობს, რომ ცოლმა მზითვის თაობაზე სარჩელით იგი უნდა დაიბრუნოს. და მოუხდავად ამისა, იგი (თანხა) მზითვის ნაწილს შეადგენს. იულიანე შენიშნავს, რომ ამგვარ სარჩელზე ქალს უარი არ უნდა უთხრან, თუ იგი ამ სარჩელის წარდგენას მოისურვებს.

49. იგივე, „მინციუსის შინაგანა“, 61-5 ნიგნში

ქმარი იმ პირისგან, რომელსაც მისი ცოლისთვის მზითვის მიცემა სურდა, გარკვეული თანხის სტიპულირებას ახდენს. შემდეგ ამ თანხას მიიღებს და ამ პირს ვალდებულებისგან ათავისუფლებს. ისმოდა კითხვა: არის თუ არა ეს თანხა მზითევი? პასუხი [ასეთია]: თუ ქმარმა ვალდებულებისგან არ გაათავისუფლა ის პირი, რომელიც მზითევს დაპირდა, და ამ პირობის მიმცემი გაკოტრდა, საკითხავია, ხომ არ არის ქმრის ბრალი, რომ ეს ფული არ იქნა ამოღებული? მაგრამ იმის გამო, რომ ქმარმა მოვალე ვალდებულებისგან გაათავისუფლა, ყველა შემთხვევაში რისკი მას ედება. მსგავსად იმისა, თითქოს მან თანხა მიიღო და იგივე თანხა პრომისორს აჩუქა.

50. აფრიკანუსი, „შაკითხვაები“, 61-8 ნიგნში

ცოლს მზითევში მიწის ნაკვეთი ჰქონდა; იგი ქმარს გაშორდა და როდესაც იმავე ქმარს დაუბრუნდა, მასთან ისეთი შეთანხმება (პაქტი) დადო, რომ ქმარს მზითვად ათი [ოქრო] აელო და მიწის ნაკვეთი კი მისთვის დაებრუნებინა. ქმარს ათი [ოქრო] მისცა, და ქორწინების პერიოდში გარდაიცვალა მანამდე, ვიდრე მიწის ნაკვეთი მას დაუბრუნდებოდა. აქ კეთილსინდისიერებასთან გვაქვს საქმე. და შეთანხმება მოითხოვს, რომ ქმრის მიერ მიწის ნაკვეთი დაბრუნებულ იქნას, რომელიც [ფულის მიღების შემდეგ]

საფუძვლის გარეშე ქმრის ხელში აღმოჩნდა.

§ 1. და ეს უფრო ცხადად გამოჩნდება გირაოს სარჩელთან დაკავშირებით. მაგალითად, თუ მე შენ გირაოდ კორნელიუსის მიწის ნაკვეთი გადმოგეცი, შემდეგ კი შეთანხმების თანახმად ტიციუსის მიწის ნაკვეთი გადმოგეცი, რათა კორნელიუსის მიწის ნაკვეთი ჩემთვის დაგებრუნებინა. ვფიქრობ, ნაკლებად საეჭვო უნდა იყოს, რომ მე მაშინვე შემეძლება შენ წინააღმდეგ გირაოს საფუძველზე სარჩელის სწორად აღძვრა კორნელიუსის მიწის ნაკვეთის დასაბრუნებლად.

51. ულპიანა, „ასუსხაზი“, 2-ე ნიშნული

თუ მამამ თავისი ხელისუფლებიდან გათავისუფლებულ ქალიშვილს ნივთები აჩუქა და შემდეგ [ეს ნივთები] მისივე სურვილით ქალიშვილისთვის მზითვად იქნა მიცემული, ეს მზითვეი არა მამის, არამედ ქალიშვილის მიცემულად ჩაითვლება.

52. მარციანა, „რეპულაზი“, 3-ე ნიშნული

თუ მზითვად მიწის ნაკვეთია მიცემული, გინდ შეფასებული და გინდ შეუფასებელი, და თუნდაც ცოლს ქმრისთვის ორმაგის გადახდის დაპირების აუცილებლობა არ ჰქონდა, და [მანც] დაჰპირდა, იმის გამო, რომ მზითვეს თავად მიწის ნაკვეთი წარმოადგენს, ცოლმა მზითვის თაობაზე სარჩელით ქმრისგან რაც არ უნდა მოითხოვოს, ქმარმა ეს ნებისმიერ დროს ცოლს უნდა დაუბრუნოს.

53. ნარაციუსი, „პარამენტიუსურცლაზი“, 3-ე ნიშნული

თუ ქმარს ცოლისთვის [რამეს] ჩუქება სურს და ცოლის მოვალე, რომელიც გადახდაუნარო იყო, მას მზითვეს დაპირდება, ქმარს ამ მზითვეზე მხოლოდ იმ ოდენობით ედება რისკი, რა ოდენობითაც მოვალე გადახდაუნარიანი იყო. და თუ მოვალის გადახდაუნარიანობა რამე ოდენობით გაიზარდა, ქმრის რისკიც თანხის იმ ოდენობამდე გაიზარდება, რა ოდენობითაც მოვალის გადახდაუნარიანობამ მოიმატა. და რისკი იგივე რჩება, თუნდაც მოვალე, პირიქით, უფრო გალარიბდეს, რადგან იმ დროისთვის, როდესაც მოვალე მზითვეს დაჰპირდა, ქმარს ცოლისთვის მხოლოდ

იმ ოდენობის საჩუქარი ჰქონდა გაკეთებული, რა ოდენობის თანხის გადახდის უნარიც ჰქონდა და როდესაც მოვალე გადახდაუნარიანი გახდა, საჩუქრის საფუძველი არ შეცვლილა, რადგან მხარეები იმავე მდგომარეობაში დარჩებოდნენ, რა მდგომარეობაშიც ადრე იყვნენ, თუ მზითვის დაპირების დროისთვის მოვალე გამდიდრდებოდა.

54. ბაიუსი, „ქალაქის კრატორის ელიქტრისათვის“, ტიტულში „პრედიკატორის შიდასახე“

ნივთები, რომლებიც მზითვის ფულით არის შეძენილი, მზითვის [შემადგენელ] ნივთებად ითვლება.

55. პავლუსი, „პლავციუსისათვის“, 1-ლ ნიგნო

როდესაც [მოვალე ვალის სანაცვლოდ] მზითვის დაპირებას იძლევა, მისი სახელით ვალდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით დანიშნულ ფიდეიუსორს ეკისრება.

56. იგივე, „პლავციუსისათვის“, 2-6 ნიგნო

თუ მოვალეს, რომელსაც [ვინმე] ქალის მონა სტიხუსი მართებს, ეს ქალი საკუთარი მზითვის გადახდას დაავალებს, და ვიდრე მოვალე გადაიხდის, მონა სტიხუსი მოკვდება, და თუ მოვალე გადახდას არ აფერხებდა (აყოვნებდა) და თან ქმარსაც [მისაღები მზითვის] მოთხოვნაც არ დაუყოვნებია, მაშინ სტიხუსის სიკვდილი ცოლის რისკია. და თუნდაც (ვალის) ამოღება ქმარმა დააყოვნოს, მაგრამ თუ ამასთან მონა სტიხუსი მასთან კვდება, მზითვის თაობაზე სარჩელით მას (ქმარს) პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

§ 1. მზითვეი იქ უნდა იყოს, სადაც ქორწინების ტვირთია.

§ 2. მამის სიკვდილის შემდეგ ქორწინების ტვირთი მაშინვე ვაჟიშვილზე გადადის — როგორც ბავშვები, ასევე ცოლი.

§ 3. როდესაც ამბობენ, რომ „[თავად] კანონის თანახმად, აუცილებელი ხარჯები მზითვეს ამცირებს“, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ, მაგალითად, მზითვად მიცემული მიწის ნაკვეთის რომელიმე ნაწილი მზითვად აღარ განიხილება, არამედ იმას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხარჯები არ ანაზღაურდება, მიწის

ნაკვეთის ნაწილს ან მთლიანად მიწის ნაკვეთს დაუკავებენ. მაგრამ თუ საშვითო მიწის ნაკვეთზე სხვადასხვა ღროს (ნაწილ-ნაწილ) იმდენი ხარჯი იქნა გაწეული, რაც მთლიანად მიწის ნაკვეთის [ღირებულებას] შეადგენს, ჩვენი სცევოლას სიტყვით, ეს მიწის ნაკვეთი მზითვად აღარ იქნება განხილული, თუ ცოლი თავისი ნებით ერთი წლის განმავლობაში ქმარს ხარჯების [გადახდას] არ შესთავაზებს. თუ მზითვეი ფულისა და მიწის ნაკვეთისგან შედგება და მიწის ნაკვეთზე აუცილებელი ხარჯები იქნება გაწეული, ნერვას აზრით, მზითვის ფულადი ნაწილი შემცირდება. [საკითხავია], რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ამ ხარჯებს ცოლი ქმარს გადაუხდის? მზითვეი გაიზრდება, თუ თავდაპირველი მდგომარეობის მქონედ იქნება განხილული? ჩვენი სცევოლას მიხედვით, ეს მოსაზრება უფრო ნაკლებად სამართლიანი ჩანს, თუ მზითვეი მხოლოდ მიწის ნაკვეთისგან შედგება, რადგან თუ მიწის ნაკვეთი მზითვად აღარ იქნება განხილული, მაშინ [ქმარი] მის გასხვისებას შეძლებს; მეორე მხრივ, როგორ შეიძლება, რომ ხარჯებისთვის მიცემული ფული მზითვეი გახდეს? და ჩაითვალოს, რომ მზითვეი უკვე [მხოლოდ] ამ ფულისგან შედგება? უმჯობესია [ვთქვათ], რომ მიწის ნაკვეთი ისევ მზითვეი ხდება, ხოლო ამ ღროს მიწის ნაკვეთის გასხვისება არ შეიძლება.

57. იავოლენუსი, „ალავციუსის შინახე“, 1-ლ ნიგნში

თუ ქალი ოჯახის ვაჟიშვილზე დაქორწინებას აპირებს და მამამთილს მზითვეს შემდეგი სიტყვებით ჰპირდება: „რაც შენს ვაჟიშვილს ჩემი მართებს, იმას შენ მზითვად გაძლევ“, მაშინ, ჩემი აზრით, გასარკვევია, თუ რას ეხება ქალის დაპირება — ვაჟის ვალდებულებას [მის წინაშე], თუ იმ სარჩელს, რომელიც ქალს აქვს მამის წინააღმდეგ ამავე ვალდებულებიდან გამომდინარე, რადგან, თუ დაპირებაში იმას გულისხმობს, რაც ვაჟიშვილმა მას უნდა გადაუხადოს, მაშინ მზითვეი ამ დაპირებით მთლიანად იმ ფულით (თანხით) იქნება შედგენილი, რა თანხის ვალიც ვაჟიშვილს გააჩნია. ხოლო თუ დაპირება ეხება იმ სარჩელს, რომელიც ქალს მამის წინააღმდეგ აქვს ჰეკულიუმის ან [სხვა]

ნივთის თაობაზე, მაშინ უნდა შეფასდეს, თუ რა ოდენობის იქნებოდა დაპირების დროს [მამის ეს ვალდებულება] და მზითვად ჩაითვლება ის თანხა, რა ოდენობის თანხის გადახდაც მამას მზითვის დაპირების დროისთვის ვაჟიშვილის სახელით უნდა მიესაჯოს. მაგრამ, თუ აშკარად არ ჩანს, თუ რომელ ვალდებულებას გულისხმობს ცოლი, მაშინ უფრო სწორი იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ ცოლს მხედველობაში ვაჟიშვილის ვალი ჰქონდა, თუ საწინააღმდეგო [აზრი] უფრო აშკარად არ დამტკიცდა.

58. ცაქსუსი, „ლიჯისტაჟი“, მკ-19 ნიგნვი

თუ შენ ნიშნობამდე ტიციუსს სეიასათვის მზითვის მიცემას დაპირდი და მან (სეიამ) ტიციუსზე დაქორწინება არ მოისურვა, მაგრამ შემდეგ მასზე მაინც გათხოვდა, მაშინ შენ მზითვეი უნდა გადაიხადო, თუ დროის ამ შუალედში სხვა ქორწინება არ მოხდა.

§ 1. თუ ქალს ტიციუსი [სტიპულაციით] მხევალ პამფილას დაჰპირდა, შემდეგ ამ ქალმა ტიციუსზე გათხოვება დააპირა და ტიციუსს დაჰპირდა, რომ მზითვად მიიღებდა (ჩათვლიდა) იმას, რაც ტიციუსს მისი მართებდა (ე.ი. მხევალ პამფილას). [აქ კითხვა დაისმის]: მიუხედავად იმისა, რომ პამფილა ქმარს არ ეკუთვნის ჩაითვლება თუ არა მაინც თავად პამფილა მზითვად და იქნება თუ არა ის ცოლის რისკზე? ან უნდა დაუბრუნდეს თუ არა ცოლს ის ბავშვები, რომლებსაც პამფილა გააჩენს? რადგან, თუ პირველმა სტიპულაციამ თავისი პირვანდელი მდგომარეობა შეინარჩუნა, მაშინ ცოლს პამფილას ბავშვები არ დაუბრუნდება, თუ, მაგალითად, არ გაირკვევა, რომ მზითვის დაწესების დროს ქმარი ფლობდა იმ ნივთს, რაც მას ცოლის მართებდა, ვინაიდან, ამ შემთხვევაში თავად ეს ნივთი (ე.ი. მზითვეი) ქმრის მიერ [უკვე] მიღებულად შეიძლება ჩაითვალოს. ან თუ ქმარი ამ ნივთს არ ფლობდა, მაშინ, უმჯობესია, ვთქვათ, რომ ქმარი [მზითვის დაწესებით] ვალდებულებისგან განთავისუფლდა, ვიდრე ჩაითვალოს ის, რომ თავად ნივთი [მზითვეი] მან ამგვარად მიიღო. ამიტომაც, [ამ შემთხვევაში] მხევლის ბავშვები ცოლს არ უნდა დაუბრუნდეს.

59. მარცალუსი, „ლიგესტაგი“, მა-7 ნიგნოი

თუ ქალი მზითევს შემდეგი სიტყვებით ჰპირდება: „ათ [ოქროს] მზითვად მოგცემ შენ ან [მივცემ] ტიცეუსს“; ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ქალს მზითვის მიცემა ტიცეუსისთვისაც შეუძლია, მაგრამ მზითვეზე პასუხისმგებლობა [ყოველთვის] ქმარს ეკისრება, როგორც იმ შემთხვევაში, ტიცეუსისთვის მზითვეი მისი ბრძანებით რომ ყოფილიყო მიცემული. და ეს არ არის გასაკვირი, რადგან ქალს, რომელსაც განზრახული აქვს, რომ ქმარს მზითევს დაჰპირდეს, ქმრის დავალებით შეუძლია, რომ ეს დაპირება სხვასაც მისცეს, მიუხედავად მიღებული წესისა, რომლის თანახმად. ცოლს არ შეუძლია, რომ მზითვის თაობაზე ვალდებულება ქმრის გარდა სხვა პირის მიმართ იკისროს, ვინაიდან ამ შემთხვევაში მზითევს ქმარი შეიძენს, და არ უნდა ვიფიქროთ, რომ ქალს მზითვის თაობაზე ამგვარი დაპირება ჰქონდა მიცემული, რადგან იგი ტიცეუსთან ჯორწინებაზეც ფიქრობდა.

§ 1. მთელს სამკვიდროზე დანიშნული მემკვიდრე, რომელსაც ქალისთვის (ცოლისთვის) მემკვიდრეობის სამი მეოთხედის დაბრუნება აქვს დავალებული, ამ ქალის ბრძანებით ქმარს მზითვად დაპირდა იმას, რაც მას ამ ქალის მართებდა. მე ვფიქრობთ, რომ მას ვალდებულება დაეკისრება. მართლაც, მას ცოლის (ქალის) წინაშე [ანდერძით] ეს ვალდებულება ეკისრება, რომ სამკვიდრო დაუბრუნოს. როგორც ამ სამკვიდროს აქტივი, ასევე პასივი. და მას არ შეუძლია [ეს უფლებები] ვინმე სხვას გადასცეს გარდა იმ პირისა, ვისთვის გადაცემაც მას ფიდეიკომისით აქვს დავალებული. ვინმე იტყვის, რომ მის წინააღმდეგ ქმარს შეიძლება მიეცეს „განუსაზღვრელი სარჩელი“, რათა მას ფიდეიკომისის ღირებულება გადაახდევინონ. მე არ შემიძლია, რომ ამ მოსაზრებას დავეთანხმო, რადგან სამართლიანობა მოითხოვს, რომ ცოლის მოვალეს ვალდებულება ისე დაეკისროს, რომ ქმარმა შეძლოს თავად იმის მიღება, რაც მისი მართებთ. ხოლო ცოლი [ამის გამო] უმზითვოდ [დარჩენილად] რომ არ ჩაითვალოს, საჭიროა ითქვას, რომ ტრეპელიუსის [სენატუსკონსულტით] მემკვიდრეს ევალება თავად

ცოლს დაუბრუნოს სამკვიდროს ის ნაწილი, რომელიც მას დაუტოვეს, რათა მან იგი თავის ქმარს მზითვად მისცეს. ვინაიდან ფიდუოკომისიცი და მასთან დაკავშირებული მოვალეობები ცოლს ეხება, რადგან [ამ წესის] დიდი სიმკაცრის და ამ შემთხვევის განსაკუთრებულობის გამო ცოლი დელეგირების მეშვეობით ბევრს ვერაფერს მიაღწევს.

§ 2. იმ ქალის მზითვად, რომელიც შენ თავისუფალ პირად მიიჩნევ, ათი [ოქრო] გაეცი. ამ შემთხვევაში კონდიქცია გექნება, რომელიც იმ შემთხვევაში შეიძლება გქოდეს, თუ შენ [მზითვის მიცემის დაპირება] თავისუფალ ქალს მიეცი, და თუ ამას ქორწინებაც არ მოჰყოლია. თუ ეს ქალი გააზატების შემდეგ გათხოვდება, მაშინ მზითვეი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება [დაწესებული], თუ შენ იმ განზრახვით მიეცი, რომ ქორწინების შემთხვევაში [ეს თანხა] მზითვეი გამხდარიყო. თუ შენ აპირებ, რომ [ეს თანხა] ამ ქალს აჩუქო, მაშინ [ამ თანხის მოთხოვნის] სარჩელი ქალის ბატონს ექნება, როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც ქალისთვის (ცოლისთვის) [რამე თანხის] ჩუქების მსურველი ცოლის ბრძანებით [ამ თანხას] მის ქმარს აჩუქებს.

60. ცალსუსი, „დიგანსტიკი“, მკ-11 ნიგნში

კითხვას ვსვამ: რა ოდენობის თანხაზე უნდა მისცეს თანხმობა მზრუნველმა მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი ქალიშვილის მიერ მზითვის თაობაზე მიცემულ დაპირებას? ვპასუხობ: ეს უნდა გაკეთდეს გონიერების ფარგლებში, ცოლის და ქმრის შესაძლებლობისა და ღირსების შესაბამისად.

61. ტარანციუს კლემენსი, „იულიუსის და პავიუსის კანონის შესახებ“, მკ-3 ნიგნში

თუ მზრუნველი, გინდ საერთო და გინდ საგანგებოდ მზითვის მისაცემად დანიშნული, იმაზე მეტი ღირებულების მზითვეს დაჰპირდება, ვიდრე ქალის ქონება ღირს, მაშინ თავად კანონის თანახმად დაპირებას ძალა არა აქვს, რადგან კანონით არ იქნება დამტკიცებული [მზრუნველის მიერ] ბოროტი განზრახვით გაცემული განკარგულება; მაგრამ საკითხავია, ვალდებულება მთელი მოცულობით უქმდება

თუ მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მზრუნველის დაპირება აჭარბებს იმ დაპირებას, რომელიც მას წესით უნდა მიეცა. და უფრო მისაღები იქნება, თუ ვიტყვით, რომ გაუქმდეს მხოლოდ ის, რაც [ქალის ქონების ღირებულებას] აჭარბებს.

§ 1. ხოლო ამ მზრუნველმა მზითვად გათვალისწინებული ნივთები უნდა გასცეს. მაგრამ მას არ შეუძლია ეს ნივთები ნებისმიერ პირს მიჰყიდოს და მიღებული თანხა მზითვეში მისცეს. მაგრამ შეიძლება ეჭვი გაჩნდეს: არის თუ არა ეს სწორი? რადგან, თუ ქალს მზითვად ფულის მიცემის გარეშე, სხვაგვარად პატიოსნად დაქორწინება არ შეუძლია, მაშინ ეს ხომ [ცხოვრებაში] მას ხელს შეუწყობს? მაგრამ ხშირად შეუძლიათ, რომ მზითვად მიცემული ნივთები გაასხვისონ და [მიღებული] ფული მზითვად აქციონ. მაგრამ ამ საკითხის გადასაწყვეტად [უნდა გაირკვეს შემდეგი]: თუ ქმარს მზითვად ნივთების მიღება ურჩევნია, მაშინ გასარკვევი არაფერია. ხოლო თუ ქმარი დაქორწინებაზე სხვაგვარად არ თანხმდება, თუ მას მზითვად ფულს არ მისცემენ, მაშინ მზრუნველის მოვალეობაა, რომ იმავე მოსამართლესთან მივიდეს, რომელმაც იგი [მზრუნველად] დანიშნა, რათა მოსამართლემ საქმის [თავიდან] გაცნობის შემდეგ მას მზითვის დასაწესებლად ამ ნივთების ქმრის დაუსწრებლად საჯაროდ გაყიდვის ნებართვა მისცეს.

62. მოღუესტიწუსი, „პასუხაჰი“, მკ-5 ნიგნჰი

ტიციამ, რომელიც ჯერ კიდევ ოცდახუთი წლის არ იყო, დედის მემკვიდრეობის მეოთხედი, რომელიც მას ძმასთან ერთად ეკუთვნოდა, გაცვალა და ამის სანაცვლოდ, ურთიერთნასყიდობის მეშვეობით, მიწის ნაკვეთი მიიღო. და ეს მიწის ნაკვეთი სხვა ნივთებთან ერთად მზითვად მისცა. მე კითხვას ვსვამ: თუ მოხდება ძველი მდგომარეობის აღდგენა და [ტიცია] თავის მეოთხედს მიიღებს და მიწის ნაკვეთს დააბრუნებს, მაშინ ქმარმა რა უნდა ქნას? დაკმაყოფილდეს უნდა თუ არა იგი მზითვად მიცემული ნივთებით? მე კიდევ ერთ კითხვას ვსვამ: თუ ტიცია მოკვდება და მისი მემკვიდრეები მისი სახელით ძველი მდგომარეობის აღდგენას მოითხოვენ, და ზოგი მათგანი [სამკვიდროს] მეოთხედ ნაწილს

მოითხოვს და ზოგიც – მიწის ნაკვეთს, უნდა დააბრუნოს თუ არა ქმარმა მიწის ნაკვეთი და მზითვის შემადგენილი სხვა ნივთების შენარჩუნებით დაკმაყოფილდეს? მოდესტინუსი პასუხობს: არ არსებობს რამე მიზეზი, რომ ქმარს მზითვეი ჩამოერთვას. მაგრამ ქალისა და მის მემკვიდრეების [სასარგებლოდ] მას უნდა მიუსაჯონ უბრალოდ მიწის ნაკვეთის ღირებულების გადახდა იმდროინდელი შეფასების მიხედვით, როდესაც ის მზითვად იქნა მიცემული.

63. იგივე, ნიგნში „ცალკაული [საკითხავი] აღმოჩენვის შესახებ“

როდესაც გარეშე პირი სტიპულაციას ახორციელებს, რომ მზითვეი მას დაუბრუნონ, ეს სტიპულაცია განქორწინების შემთხვევაში მაშინვე შესრულდება. და სარჩელი, რომელიც სტიპულატორმა მიიღო არ იკარგება იმ შემთხვევაშიც, თუ [განქორწინების შემდეგ იგივე პირები] ისევ დაქორწინდებიან. ამრიგად, მზითვეი უნდა დაწესდეს სტიპულატორთან ხელახალი შეთანხმებით, რათა მომდევნო ქორწინების შემთხვევაში ქალი უმზითვოდ არ დარჩეს, ოღონდ ისე, რომ [ახალი] მზითვეი თავად ამ ქალის ქონებიდან არ უნდა იყოს წარმოქმნილი, არამედ მზითვის დაბრუნების დაპირება ქალის ნებართვით მესამე პირის სტიპულაციით უნდა მოხდეს, რადგან ამ შემთხვევაში მისი (მესამე პირის) თანხმობა საჭირო არ არის.

64. იავოლენუსი, „კასიუსის შესახებ“, მ-4 ნიგნში

თუ განქორწინების შემდეგ ქმარს მზითვის თაობაზე არაფერი მოუქმედია და ცოლი სხვაზე გათხოვების შემდეგ ისევ პირველ ქმარს დაუბრუნდა, მაშინ მას მზითვეი „უსიტყვოდ“ პირვანდელ მდგომარეობაში აღუდგება.

65. პომპონიუსი, „კრინტუს მუციუსის შესახებ“, მ-5 ნიგნში

თუ მზითვად მიცემულმა მონამ ლევატით ან მემკვიდრეობით ისეთი რამე შეიძინა, რაც მოანდერძის სურვილით ქმარს არ უნდა მიეკუთვნოს, ეს ნივთი განქორწინების შემთხვევაში ცოლს უნდა დაუბრუნდეს.

66. იპივი, „კვინტუს ვუციუსის შინახეზ“, 61-8 ნიგნონი

თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მე მზითვად მაძლევს უზუფრუქტს იმავე მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც საკუთრების [უფლება] ქალს არ ჰქონდა, მაშინ განქორწინების შემთხვევაში ქალისთვის [უზუფრუქტის] უფლების დაბრუნებასთან დაკავშირებით სიძნელეები წარმოიქმნება. რადგან, როგორც ვთქვით, უზუფრუქტუარიუსმა უზუფრუქტი მხოლოდ მიწის მესაკუთრეს შეიძლება დაუთმოს. და თუ მან უზუფრუქტი დაუთმო გარეშე პირს, ე.ი. იმას, ვინც [ამ მიწის ნაკვეთის] მესაკუთრე არ არის, მაშინ ამ პირს არაფერი გადაეცემა, ხოლო უზუფრუქტი კი მესაკუთრეს უბრუნდება. ამიტომ ზოგიერთებმა [სავსებით] სწორად მიიჩნიეს, რომ ამ საქმის გამოსასწორებლად შემდეგი [წესის] შემოღება იყო საჭირო: [ამ შემთხვევაში] ქმარმა ეს უზუფრუქტი ან ცოლს უნდა მიაქირავოს (იჯარით მისცეს) ან ერთ მონეტად (ე.ი. ფიქციურად) გაყიდოს, რათა თავად [უზუფრუქტის] უფლება ქმარს დარჩეს, ხოლო ნაყოფი კი ცოლს მიეკუთვნოს.

67. პროკულუსი, „პაპისტოლანი“, 61-7 ნიგნონი

პროკულუსი თავის ვაჟ შეილიშვილს ესაღმება. მხეველს, რომელიც გათხოვდა და რომელმაც ქმარს მზითვად ფული გადასცა, გინდ მან იცოდეს, რომ იგი მხეველია და გინდაც — არა, არ შეუძლია, რომ ეს ფული ქმარს მიაკუთვნოს. და ეს ფული მაინც იმ პირის კუთვნილებად დარჩება, რომელსაც ის ეკუთვნოდა მანამდე, სანამ მას ამგვარი წესით ქმარს არ გადასცემდნენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, მაგალითად, ეს ფული ქმარს ხანდაზმულობით აქვს შეძენილი. და ქალს არც მას შემდეგ შეეძლება ფულის [გადაცემის] საფუძვლის შეცვლა, რაც იგი იმავე ქმართან ყოფნისას მონობიდან განთავისუფლდება. ამრიგად, განქორწინების შემდეგაც კი, ქალს არც სამზითვო სარჩელით და არც კონდიქციით, ამ ფულის კანონიერად დაბრუნება არ შეუძლია. მაგრამ ის პირი, რომელსაც ეს ფული ეკუთვნის, ამ ფულის ვინდიცირებას მართლზომიერად შეძლებს. ხოლო თუ ქმარმა ეს ფული მფლობელობის ხანდაზმულობით შეიძინა, მას შემდეგ, რაც იგი ფულს,

როგორც თავისას, ისე ფლობდა და, რასაკვირველია, ქალს თავისუფალ პირად თვლიდა, მაშინ, მე უფრო სწორად მივიჩნევდი, რომ ეს ფული ქმარმა მიიღოს, ყოველ შემთხვევაში მაშინ, თუ მან [ეს ფული] ხანდაზმულობით ქორწინებამდე შეიძინა. იმავე მოსაზრებისა ვარ იმასთან დაკავშირებით, რაც ქმარმა ამ ფულით შეიძინა მანამდე, სანამ ეს ფული მზითვეი გახდებოდა, ოღონდ იმ პირობით, რომ ქმარი ამ ფულს არ ფლობს ან თუ ეს მფლობელობა არ შეწყვეტილა ბოროტი განზრახვით ჩადენილი მოქმედების გამო.

68. პაპინიანა, „პაპითხვაჲი“, მკ-10 ნიგნვი

მზითვის დაპირებას ნაკლები ძალა არ ექნება იმ მიზეზით, რომ თავიდან დაქორწინება მამის უკითხავად მოხდა, თუ მამა თანხმობას შემდეგ მისცემს, რადგან ყოველგვარი მზითვის დაპირების „უსიტყვო“ პირობას, მომავალი ქორწინება წარმოადგენს. რადგან, თუ თორმეტ წლამდე ასაკის ქალიშვილი ისე დაქორწინდა, თითქოს მას უკვე თორმეტი წელი შეუსრულდა, მაშინ ქმარს არ შეუძლია მზითვეი მოთხოვოს იმ პირს, რომელიც ამას დაპირდა მანამდე, სანამ ქალიშვილი იმავე ქმართან ცხოვრებისას უფროსი ასაკის არ გახდება. მართლაც, როდესაც, ჩვეულებრივ, ამბობენ, რომ მზითვის დაპირება მხოლოდ პირველ ქორწინებასთან არის დაკავშირებული და რომ ვალდებულება არ გრძელდება, თუ ქალი გათხოვდება იმ პირზე, რომელსაც მზითვეს დაპირდნენ მას შემდეგ, რაც იგი სხვაზე დაქორწინდება [და გაშორდება], ამაში ის შემთხვევა უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც „შუალედური ქორწინებები“ ხდება (ე.ი. როდესაც მზითვის დაპირებასა და ქორწინებას შორის სხვა ქორწინებები ხდება. ნ.ს.).

69. იგივე, „პასუხეჲი“, მკ-4 ნიგნვი

თუ განქორწინების შემდეგ ცოლი იმ მიწის ნაკვეთს, რომელიც მზითვად იყო დაპირებული, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს ისე, რომ ეს ქმარმა იცის, მაშინ ითვლება, რომ [მხარეებს შორის] უსიტყვო შეთანხმება არსებობს იმის თაობაზე, რომ მზითვად დაპირებული მიწის ნაკვეთი არ მოითხოვონ. და თუ ქმარი მიწის ნაკვეთს მოითხოვს, მაშინ ცოლი მას პაქტიდან

(შეთანხმებიდან) გამომდინარე შესაგებელით აიცხლებს.

§ 1. თუ ქალი [სასამართლოში] აჩვენებს, რომ იგი [ქმარს] მზითვად დაჰპირდა იმ ფულს, რომელიც მისი სეიუსს მართებს იმ პროცენტებით, რომელსაც იგი მომავალში მიიღებდა, მაშინ გონივრული იქნება, რომ ის პროცენტიც, რომლებიც ქორწინების შემდეგ იქნა მიღებული, მზითევს მიაკუთვნონ.

§ 2. თუ ქალმა განქორწინების შემდეგ სტიპულირება მოახდინა, რომ მზითვეი მას პროცენტებთან ერთად დაუბრუნონ; შემდეგ იგი პირველ ქმარს დაუბრუნდა, [ამ შემთხვევისთვის] დადგინდა, რომ მეორე ქორწინების დღიდან ქალს პროცენტის მიღება აღარ შეუძლია. მართლაც, ამ შემთხვევაში ქალს არც სასესხო კაპიტალის ამოღება შეუძლია, მაგრამ ქმარმა ქალს [განქორწინების პერიოდის] დროის ინტერვალში [მიღებული] პროცენტი უნდა გადაუხადოს.

§ 3. თუ ქალი სახლში არმყოფ ქმარზე გათხოვდა და ამ დროის განმავლობაში ქმრის ქონებიდან არაფერი აიღო, საძრახისი იქნება, რომ დაბრუნებულმა ქმარმა დაპირებული მზითვიდან [მიღებული] პროცენტი მოითხოვოს.

§ 4. [თუ] სიმამრი სიძეს სტიპულაციის მეშვეობით დაჰპირდა, რომ მზითევს „სიმამრის შეხედულებით განსაზღვრულ დღეს მისცემდა“ ისე, რომ [სამზითვო] ნივთები და მათი რაოდენობა არ დაუსახელებია. [ამ შემთხვევაში] დადგენილია, რომ [სტიპულაციიდან სიტყვები] „სიმამრის შეხედულებისამებრ“ რომც ამოვიღოთ, სტიპულაციას ძალა მაინც ექნება. და ითვლება, რომ ეს არ არის იმ შემთხვევის მსგავსი, როდესაც იმის შედეგად, რომ მიწის ნაკვეთი მითითებული არ არის, მიწის ნაკვეთის ლეგატი ან სტიპულაცია უქმდება, რადგან მზითვის დაწესების წესსა და „უცნობ“ (მიუთითებელ) ნივთს შორის დიდი განსხვავება არსებობს, ვინაიდან მზითვის ოდენობა მამის შესაძლებლობისა და ქმრის ღირსების შესაბამისად შეიძლება დადგინდეს.

§ 5. როდესაც ქალიშვილი მამის სურვილის შესაბამისად მეურვის ვაჟიშვილზე კანონიერად ქორწინდება, მეურვეს [სავსებით]

კანონიერად შეუძლია, რომ მას მზითევი შესაძლებლობისა და წარმომავლობის ღირსების შესაბამისად დაუწესოს.

§ 6. პატრონს, რომელიც [მის მიერ] გააზატებულ ქალიშვილს მზითევს დაჰპირდა, ამ უკანასკნელის უმადურობის საბაბით მზითვის შენარჩუნება არ შეუძლია.

§ 7. თუ განქორწინების შემდეგ [წინასწარ] შეფასებული სამზითვო ნივთების დაბრუნება გადაწყდა, მაშინ [შეფასებით დადგენილი] თანხა ცხადდება და გაყიდვის ხელშეკრულებას არ დებენ. და ამიტომ ამ ნივთების სასამართლო წესით ჩამორთმევის შემთხვევაში, თუ ქალს ისინი კეთილსინდისიერად აქვს მიცემული, მაშინ ქმარს არავითარი სარჩელი არ ექნება. საწინააღმდეგო შემთხვევაში (ე.ი. თუ ქალმა ნივთები არაკეთილსინდისიერად მისცა), ქალს პასუხისმგებლობა ეკისრება.

§ 8. წინასწარ შეფასებული და [ქმრისთვის] გადაცემული სამზითვო ნივთები, თუნდაც ამ ნივთებით ცოლი სარგებლობდეს, ქმრის საკუთრებაში გადასულად ითვლება.

§ 9. დადგენილია, რომ მზითვად მიცემული მხეველის ბავშვები მზითვის [შემადგენელი] ნაწილია და ამიტომაც ქმარს არ შეუძლია ქალთან შეთანხმების დადება იმის თაობაზე, რომ ეს ბავშვები მათ საერთო [საკუთრებას] წარმოადგენს.

70. აავლუსი, „შაკითხვაჰი“, მ-6 ნიგნვი

საეჭვო შემთხვევებში, უმჯობესია, რომ საკითხი მზითვის სასარგებლოდ გადაწყდეს.

71. იგივი, „შაკითხვაჰი“, 32-ე ნიგნვი

თუ ქალის სახელით მზითევს გარეშე პირი დაჰპირდა, მაშინ რისკი ქალს ედება. მაგრამ თუ ქმარი ვალის მიღების სურვილით, პროცენტს ამოიღებს, მაშინ რისკიც მას დაედება.

72. იგივი, „პასუხაჰი“, მ-8 ნიგნვი

ქალმა მთელი თავისი ქონება მზითვად მისცა. კითხვას ესვამ: ევალება თუ არა ქმარს, როგორც მემკვიდრეს [ქალის] ვალების გადახდა? პავლუსი პასუხობს: ის, ვისაც მზითვის დაპირების შედეგად ქალის მთელი ქონება დარჩა, [ქალის] კრედი-

ტორების წინაშე პასუხისმგებლობა არ ეკისრება, მაგრამ დაპირებულ ქონებად განიხილება მხოლოდ ის, რაც ვალების გამოქვითვის შემდეგ დარჩება.

§ 1. პავლუსი პასუხობს, რომ მზითევთან დაკავშირებით ბოროტი განზრახვისა და დაუღვერობისათვის პასუხისმგებლობა ქმრის მამასაც უნდა დაეკისროს.

§ 2. პავლუსი პასუხობს, რომ თუ ქალი მზითევს თავისი ქონებიდან მისცემს და საქმეში დედას ჩარევს, რომელიც [თავის სასარგებლოდ მზითვის დაბრუნების] სტიპულირებას მოახდენს, ამ ქალს შემდგომში სამზითვო ხელშეკრულების (საბუთის) შეცვლა შეუძლია.

73. იგივე, „სენთანციაზი“, მკ-2 ნიგნვი

მუნჯს, ყრუსა და ბრმას მზითევთან დაკავშირებით ვალდებულებები ეკისრებათ, რადგან მათ დაქორწინება შეუძლიათ.

§ 1. ქორწინების პერიოდში ქალს, თუ იგი მზითვის გაფლანგვას არ აპირებს, მზითვეი შეიძლება დაუბრუნდეს იმ მიზნით, რომ მან საკუთარი თავი და თავისიანები შეინახოს, ხელსაყრელი მიწის ნაკვეთი იყიდოს, გასახლებული ან კუნძულზე გადასახლებული მშობელი არჩინოს ან გაჭირვებულ ქმარს, ძმას და დას დაეხმაროს.

74. პარმოზანინა, „სამართლის აპიტომეზი“, მკ-5 ნიგნვი

თუ დანიშნულმა ქალმა (საცოლემ) მზითვეი მისცა და ქორწინება არ შედგა ან თუ ეს მზითვეი მიცემულია თორმეტ წლამდე ასაკის ქალიშვილის მიერ, რათა იგი ცოლად მოეყვანათ, მაშინ, დადგენილ იქნა, რომ ისევე როგორც [ნამდვილი] მზითვის შემთხვევაში, იმ კეთილგანწყობის გამო, [რომელსაც ამგვარი შეთანხმება იმსახურებს] უპირატესობა, რომელიც პერსონალურ სარჩელებს გააჩნიათ, კონდიქციას უნდა მიენიჭოს.

75. ტრიფონინუსი, „ლისპუტაციაზი“, მკ-6 ნიგნვი

თუმცა მზითვეი ქმრის ქონებაში შედის, ის მაინც ცოლს ეკუთვნის. და სწორად არის დადგენილი, რომ თუ ქალმა მზითვად შეუფასებელი მიწის ნაკვეთი მისცა, რომელზედაც ორმაგი გადახდის გარანტია ჰქონდა სტიპულაციით მიღებული, და თუ ეს

მიწის ნაკვეთი ქმარს [სასამართლო წესით] ჩამოართვეს, მაშინ ქალს მაშინვე შეუძლია სტიპულაციიდან გამოძღინარე სარჩელის წარდგენა. გარდა ამისა, ვინაიდან სწორედ ქალისთვის არის მნიშვნელოვანი, რომ [ქმრისთვის] მზითვად მიცემული მიწის ნაკვეთი ქმარს არ ჩამოერთვას, [რადგან] ამ ჩამორთმევით [ზარალს] თავად ქალი განიცდის იმის გამო, რომ [ამ შემთხვევაში] მიწის ნაკვეთი მისი მზითვეი აღარ იქნება, რომლის შემოსავალიც ქორწინების პერიოდში ქალის კუთვნილებად ითვლება, თუმცა საკუთრება („dominium“) მზითევზე ამავე პერიოდში ქმარს ეკუთვნის და ქორწინების ტვირთიც ქმარს აწევს.

76. იგივე, „დისპუტაციები“, მ-9 ნიგნში

თუ ქალის მამა [მას] „სიკვდილის შემთხვევაში“²⁴ მზითევს ჰპირდება, დაპირებას ძალა აქვს. ამასთან, ეს [დაპირება] ვალდებულებას აკისრებს იმ შემთხვევაშიც, თუ მზითვის დაპირება მიცემულია იმ დღეს, როდესაც [მზითვის მიმცემი, ე.ი. მამა] კვდება. მაგრამ თუ იგი გამოჯანმრთელდა, რატომ არ უნდა განთავისუფლდეს იგი კონდიქციის მეშვეობით ამ ვალდებულებისაგან, როგორც ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ნებისმიერ სხვა [მოვალეს] სტიპულაციით ვინმესთვის რაიმე დაპირება აქვს მიცემული ან მაშინ, როდესაც ვინმე (მესამე პირი) ქალს მზითევს ჰპირდება? რადგან, კონდიქცია არსებობს როგორც „სიკვდილის შემთხვევაში“ ნივთის ან ფულის გადაცემისას, ასევე [„სიკვდილის შემთხვევაში“] ვალდებულების დაკისრების დროს. იგივე არ შეიძლება ითქვას ქალთან დაკავშირებით, თუ იგი „სიკვდილის შემთხვევაში“ მზითევს თავად დაპირდა, რადგან არ არსებობს არავითარი მზითვეი, როდესაც ქორწინების ხარჯებს არ ეწევიან.

77. იგივე, „დისპუტაციები“, მ-10 ნიგნში

თუ ქალი თავის მოვალეზე გათხოვებას აპირებს, რომელსაც პროცენტებიანი ვალი აქვს და ქალი მას მზითვად იმას ჰპირდება, რაც მოვალეს მისი მართებს, მაშინ, ქორწინების შემდეგ, მომდევნო პერიოდის პროცენტები მზითვის შემაღლებელი [ნაწილი] არ იქნება,

რადგან [ქორწინებით] ეს ვალდებულება მთლიანად უქმდება ისე, თითქოს ქალისთვის გადახდილი ვალი მის მიერ მზითვად იქნა მიცემული.

78. იგივე, „დისკუტაციები“, მ-11 ნიგნვი

თუ ქალს ქმრის მიწის ნაკვეთის უზუფრუქტი აქვს და ამ უზუფრუქტს მზითვად ქმარს მისცემს, მაშინ, თუმცა ქალი უზუფრუქტს ქმარს უთმობს, ქმარს იგი მაინც არ ექნება, მაგრამ იგი თავისი მიწის ნაკვეთით ისე ისარგებლებს, როგორც მესაკუთრე, რომელმაც მზითვის წყალობით [მიწაზე] სრული, უზუფრუქტისგან განუყოფელი, საკუთრება მოიპოვა. და ამ უზუფრუქტით არსარგებლობის გამო ქმარი მას არ დაკარგავს. მაგრამ განქორწინების შემთხვევაში ქმარი ამავე მიწის ნაკვეთზე უზუფრუქტს ქალის სასარგებლოდ დააწესებს. ხოლო თუ ქორწინების პერიოდში ცოლი მოკვდება, მაშინ ითვლება, რომ ქმარი მზითვისგან რამე სარგებელს ვერ მიიღებს, თითქოს მას იგი ცოლად არც მოუყვანია, და უზუფრუქტუარიუსის²⁵ სიკვდილის გამო შეწყვეტილი უზუფრუქტი საკუთრებას უბრუნდება. და ამიტომაც ქმარი მას ქალის დაკრძალვაზე არ ხარჯავს.

§ 1. ცხადია, თუ სიძის მიწის ნაკვეთის ეს უზუფრუქტი ქალიშვილის მამას ეკუთვნოდა და მან იგი სიძეს ქალიშვილის მზითვად მისცა, ხოლო ქალიშვილი ქორწინების პერიოდში მოკვდა, მაშინ მას (მამას) თავისი სახელით უზუფრუქტის მოთხოვნა შეუძლია.

§ 2. თუ ქალმა ქმარს მზითვად თავის მიწის ნაკვეთზე უზუფრუქტი დაუწესა, მაშინ ქმარს საკუთრივ უზუფრუქტი ექნება და მისი არგამოყენების შემთხვევაში მას დაკარგავს. და თუ ეს ასე მოხდა, მაშინ გასარკვევია: ექნება თუ არა ქალს ამის შემდეგაც მზითვეი? და თუ ამ მიწის ნაკვეთზე საკუთრება ქალს ეკუთვნის, რომელსაც უზუფრუქტიც დაუბრუნდა, მაშინ მას მზითვად უკვე აღარაფერი ექნება [ისეთი], რომ მზითვის თაობაზე სარჩელით მოითხოვოს; ასევე ქალი ვერ შეძლებს ქმარს დააბრალოს ის, რომ მან არსარგებლობის გამო დაკარგა უზუფრუქტი, რომლითაც იგი თავად სარგებლობს. ამიტომაც

მას მზითვევი არა აქვს. ხოლო თუ ქალმა საკუთრება გაასხვისა, რომელიც [უზუფრუქტის შეერთებით] უფრო სრული გახდა და ქალს მისგან არავითარი სარგებელი არა აქვს, მაშინ მას მზითვევი ექნება, რადგან მზითვის თაობაზე სარჩელით პასუხისმგებლობა ქმარს უნდა დაეკისროს, რომელსაც უზუფრუქტით სარგებლობის ნება მიეცა, მაგრამ [ამ უფლების] „არგამოყენების“ შედეგად იგი დაკარგა. ვინაიდან, თუ ქმარი უზუფრუქტს განქორწინებამდე შეინარჩუნებს, მაშინ მისი რესტიტუცია²⁶ ქალისთვის სასარგებლო აღმოჩნდება, რადგან, თუნდაც უზუფრუქტი ქალს მაშინვე არ გადაეცეს, იგი საკუთრებას მაინც შეუერთდება ისე, რომ ქალს რაიმე ზიანს არ მიაყენებს და შესაძლოა ქალმა გარკვეული თანხა ან [მესაკუთრის] წყალობა დაიმსახუროს. ხოლო თუ ქმარი უზუფრუქტს არ დაკარგავს, მაშინ იგი მას ქალის გარდაცვალების შემდეგაც შეინარჩუნებს. ხოლო თუ განქორწინება მოხდა, მაშინ პირველ რიგში გასარკვევია, როგორც განქორწინების, ასევე ზემოთ განხილულ შემთხვევაში, უნდა გაიყონ თუ არა [ქმარმა და მესაკუთრემ] ნაყოფი პროპორციულად დროისა, [რომლის განმავლობაში ქორწინება გრძელდებოდა] და ეს მოსაზრება მისაღებია, ხოლო თავად რესტიტუცია ისე უნდა მოხდეს, რომ ქმარმა უზუფრუქტი მიწის მესაკუთრეს უნდა დაუთმოს და ამგვარად იგი საკუთრებას შეუერთდება. მაგრამ თუ მიწის ნაკვეთს მესაკუთრე არ ჰყავს, მიუხედავად ამისა, მზითვის თაობაზე სარჩელი მაინც იარსებებს, რათა ქმარმა უზუფრუქტზე უარი თქვას, რადგან შეიძლება მოხდეს, რომ ქალს ნასყიდობიდან გამოძინარე სარჩელით უზუფრუქტის გადახდის ვალდებულება დაეკისროს [იმ პირის წინაშე, ვისაც მან მიწის ნაკვეთი მიყიდა], ან შეიძლება იმედი გაუჩნდეს, რომ მისგან გარკვეულ თანხას მიიღებს, ან კიდევ, შეიძლება არჩიოს, რომ მასზე გადმოსული ეს უფლება ვინმეს უწყალობოს, ვიდრე იგი მოწინააღმდეგეს დაუტოვოს. სამოქალაქო საზოგადოებას შეჰფერის, რომ ქალს ეს უფლება მიენიჭოს.

§ 3. ქალმა ქმარს მზითვად უზუფრუქტი მისცა და ქორ-

წინების პერიოდში მასვე მიწის ნაკვეთი მიყიდა. საკითხავია: რა უნდა დაიბრუნოს მან მზითვის თაობაზე სარჩელით განქორწინების შემთხვევაში? მე ვთქვი, რომ [ამ შემთხვევაში] მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ფასად მიყიდა მან მიწის ნაკვეთი ქმარს, რადგან, თუ [გაყიდვისას] ლიტონი საკუთრება იყო შეფასებული, მაშინ ცოლმა მზითვის თაობაზე სარჩელით უზუფრუქტის ფასი უნდა დაიბრუნოს. შესაბამისად ამისა, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ქმარი [ამ საკითხზე] „სასამართლო დავის დამოწმებამდე“²⁷ მოკვდება? [მოხდება ის, რომ] მისი მემკვიდრეები ქალს არაფერს გადაუხდიან. რადგან, თუნდაც საკუთრების მყიდველი [არა ქმარი, არამედ] ნებისმიერ სხვა ვინმე ყოფილიყო, ქმრის მემკვიდრეები ქალს [მანც] არაფერს გადაუხდიდნენ, [მაგრამ], ცხადია, რომ უზუფრუქტი [ამ შემთხვევაში] საკუთრებას დაუბრუნდება. მაგრამ, ქალს რომ მთელი მიწის ნაკვეთი გაეყიდა ისე, როგორც ის უნდა გაყიდულიყო, მაშინ მას ქორწინების არშეწყვეტის შემთხვევაში მზითვეი უზუფრუქტის ჩამოუცილებლად დაუბრუნდებოდა.

§ 4. თუ მზითვად საერთო მიწის ნაკვეთი იქნა მიცემული, და თანამესაკუთრემ ქმარს საერთო [ქონების] გაყოფა აიძულა, და მიწის ნაკვეთი სასამართლომ თანამესაკუთრეს მიაკუთვნა, მაშინ მზითვად ჩაითვლება ის თანხა, რომლის გადახდაც თანამესაკუთრეს ქმრის სასარგებლოდ მიუსაჯეს. ან თუ საჯაროდ გაყიდვის (აუქციონის) უგულებელყოფით, ამ მიწის ნაკვეთს გარეშე პირს მიაკუთვნებენ, მაშინ მზითვად ჩაითვლება გაყიდვის შედეგად მიღებული თანხის ნაწილი, მაგრამ ისე, რომ ის არ დაიკავებს გარკვეული ნივთების ადგილს, და განქორწინების შემთხვევაში მას მაშინვე კი არ უბრუნებენ, არამედ იგი [წინასწარ] დადგენილ ვადაში უნდა იქნეს გადახდილი. ხოლო თუ მიწის ნაკვეთს ქმარს მიაკუთვნებენ, მაშინ, ყველა შემთხვევაში, მზითვად მიცემული [მიწის] ნაწილი მზითვად დარჩება. ხოლო განქორწინების შემთხვევაში, [მიწის ნაკვეთის] მეორე ნაწილიც, რომელიც ქმარს ერგო იმიტომ, რომ მან იგი ქალისგან მზითვად

მიიღო, მან უნდა დააბრუნოს, რათა, რასაკვირველია, მან მიიღოს თავისი ცოლისგან ის თანხა, რომლის გადახდაც მას თანამე-საკუთრის სასარგებლოდ მიუსაჯეს. და არ უნდა დაეუშვათ, რომ რომელიმე მხარემ [ე.ი. ცოლმა ან ქმარმა] ეს სამართლიანი [წესი] უარყოს, ე.ი. რომ ცოლმა მიწის ნაკვეთის მეორე ნაწილი არ მიიღოს და ქმარმა კი იგი არ დააბრუნოს. მაგრამ გასარკვევია: ქორწინების არშეწყვეტის შემთხვევაში მზითვად მხოლოდ მიწის ნაკვეთის ის ნაწილი განიხილება, რომელიც მზითევში იქნა მიცემული, თუ აგრეთვე მეორე ნაწილიც? იულიანე ამბობს, რომ მზითევს მხოლოდ ის [ერთი] ნაწილი წარმოადგენს, და მეც [სასამართლო] აუდიტორიაში ვთქვი, რომ მზითვეი მხოლოდ [მიწის ნაკვეთის ის ერთი] ნაწილია.

§ 5. თუ პირი, რომელიც შეცდომით [თვლის, რომ მას ქალის ვალი აქვს], მაშინ, როდესაც იგი შესაგებლით უზრუნველ-ყოფილია, რომ ეს თანხა არ გადაიხადოს, ქმარს [ამ ვალს] სტიპულაციის მეშვეობით მზითვად კპირდება, მას ეს თანხა უნდა გადაახდევინონ. [მაგრამ] ამ პირს ქალის ან [ქალის] მამის წინააღმდეგ, ე.ი. იმ პირის წინააღმდეგ, ვინც მას ეს დაავალა, ექნება კონდიქტია იმ [თანხის] თაობაზე, რომელსაც იგი ქმარს დაჰპირდა ან რომელიც მას გადაუხადა ისე, რომ მას ეს არ მართებდა.

79. ლაბაონი, „იავოლენუსის გვიანდელი აპიტომეჰი“, 64-6 ნიგნში

პაპამ თავისი ვაჟიშვილისგან გაჩენილ შვილიშვილ ქალს მზითვეი მისცა და [შემდეგ] გარდაიცვალა. სერვიუსი თვლის, რომ ეს მზითვეი [ქალიშვილის] მამას არ უნდა დაუბრუნდეს, რადგან მზითვეი მამისგან წარმოქმნილად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან მას ამ მზითვიდან არაფერი ეკუთვნოდა.

§ 1. მამა თავის ქალიშვილს მზითვად ას [ოქროს] შემდეგი [ფორმულით] დაჰპირდა: „როდესაც ეს ყველაზე უფრო ხელსაყრელი იქნება“, ატიეუსს უწერია, რომ სერვიუსმა [ამ კითხვას] შემ-დეგნაირად უპასუხა: როგორც კი ამ მზითვის გადახდა სირცხვილის

და სახელის გატეხის გარეშე იქნება შესაძლებელი, ის უნდა გადაიხადონ.

80. იავოლანუსი, „ლაბაონის გვიანდელი [ნაშრომაზის] შა-სახაზ“, 31-6 ნიგნვი

ქორწინებამდე თუ ქალის მოვალე საქმროს მზითევს ჰპირდება, ქალს ქორწინებამდე შეუძლია, რომ ეს თანხა მოვალეს მოსთხოვოს. და, ლაბეონის სიტყვით, მოვალე მომავალში არ იქნება ვალდებული [ამასთან დაკავშირებით] ქმრის წინაშეც, მაგრამ ეს სწორი არ არის იმიტომ, რომ ვიდრე ვალდებულება იმავე მდგომარეობაში რჩება, მოვალის დაპირება [ქმრისადმი] შეუსრულებლად ითვლება.

81. აომპონიუსი, „შაკითხვაჰი“, 31-8 ნიგნვი

[თუ] მამამ თავის ქალიშვილს მზითვად სხვისი ფული მისცა, რომელიც მან ისესხა ან კრედიტის სახით მიიღო; ამ [ვალის] დაფარვის შემდეგ მზითვეი „პროფექტიციად“ იქცევა.

82. პროკულუსი, „ეპისტოლანი“, 31-5 ნიგნვი

თუ ცოლი ქმარს, რომელსაც მისი (ე.ი. ცოლის) ვალი აქვს, მათი საერთო ქალიშვილისთვის მზითვის მიცემას დაავალებს, და ქმარი ამას შეასრულებს, მაშინ უნდა გაირკვეს, თუ ვისი სახელით იქნა მზითვეი მიცემული — ქმრის თუ ცოლის. თუ ქმარმა მზითვეი თავისი სახელით მისცა, მაშინ მას ცოლის ვალი მაინც დარჩება, ხოლო თუ მზითვეი ცოლის სახელით მისცა, მაშინ თავად ქმარი ცოლის ვალისგან თავისუფლდება.

83. იავოლანუსი, „ლაბაონის გვიანდელი [ნაშრომაზი]“, 31-6 ნიგნვი

თუ ქალის მოვალე მის საქმროს მზითევს დაჰპირდა, მაშინ ქალს მოვალისგან ამ თანხის ქორწინებამდე მოთხოვნა არ შეუძლია, რადგან ვიდრე ვალდებულება იმავე მდგომარეობაში რჩება, მისი დაპირება შეუსრულებელია.

84. ლაბაონი, „ეპისტოლასი მოკლად გადმოცემული მოსაზრებაჰი“, 31-6 ნიგნვი

თუ სასამართლო დავა დაპირებულ მზითევს ეხება, იმ პირს, რომელიც მზითევს დაჰპირდა, არ უნდა მიუსაჯონ მისი შე-

საძლებლობის შესაბამისად გადახდა. პველუსი [ამბობს]: ცხადია, როდესაც საქმე გარეშე პირს ეხება, ეს [წესი] ყოველთვის სწორია. მაგრამ, თუ სიძე თავისი სიმამრისგან მათი მოყვრობის პერიოდში დაპირებულ შხითვეს მოითხოვს, სიმამრს მოუსჯიან იძღენის გადახდას, რამდენის გადახდის შესაძლებლობაც მას აქვს. [ხოლო] თუ დაპირებულ შხითვეს განქორწინების შემდეგ ითხოვენ, მაშინ, მე ვფიქრობ, რომ [გადახდა] საქმის ვითარების მიხედვით და პირის [ღირსებიდან] გამოძღინარე უნდა მოუსაჯონ. მართლაც, თუ სიმამრს სიძე მომავალში მისაცემი შხითვის ოღენობის თაობაზე შეცლომაში შეჰყავს და თან იცის, რომ მას [ასეთი] შხითვის გადახდა არ შეუძლია, ამით ხომ იგი სიძის მიმართ შხაკრობას ჩადის?

85. სცაეოლა, „ღიბასტაგი“, მე-8 ნიბნში

მამამ თავის ქალიშვილს შხითვად მიწის ნაკვეთი მისცა. [იგი მოკვდა და მთელს სამკვიდროზე] სრულ მემკვიდრედ ქალიშვილი დატოვა. მამის კრედიტორების მიერ შეწუხებულმა ქალიშვილმა თავისთვის უფრო ხელსაყრელად მიიჩნია სამხითვო მიწის ნაკვეთის გაყიდვა, რადგან იგი ნაკლებად შემოსავლიანი იყო და [ამით] მემკვიდრეობით მიღებული სხვა უფრო ნაყოფიერი მიწის ნაკვეთების შენარჩუნება. ქმარი მას დაეთანხმა, თუ ამ საქმეში მომავლისთვის რაიმე ხრიკები არ იყო ჩადებული. მე კითხვას ვსვამ: შეიძლება თუ არა, რომ ქორწინების არშეწყვეტის შემთხვევაში შხითვის ის ნაწილი, რომელსაც ეს მიწის ნაკვეთი შეადგენს [ქმარმა] ცოლს კანონიერად მისცეს? ვპასუხობ: თუ [ამით მამის] კრედიტორებს გაისტუმრებენ, მაშინ [ეს მიწის ნაკვეთი ცოლს] კანონიერად გადაეცემა.

ტიტული IV. სამჯითვო შეთანხმებების (პაქტების) შესახებ

1. იავონლენსი, „ქასნიუსის შესახებ“, 20-4 ნიგნში

სამჯითვო ხელშეკრულების დადება ქორწინების შემდეგაც არის დაშვებული, თუ მანამდე [ამის თაობაზე] არავითარი შეთანხმება არ არსებობდა.

§ 1. შეთანხმებები „მზითვის დაბრუნების თაობაზე“ ყველა იმ პირს შორის უნდა დაიდოს, რომლებსაც მზითვის მოთხოვნის უფლება აქვთ და რომელთაგან მზითვის მოთხოვნა შეიძლება, რათა იმ პირს, რომელიც [ამ საქმის] მონაწილე არ არის, მოსამართლის მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შედეგად ამ შეთანხმებამ სარგებელი არ მოუტანოს.

2. ულპიანე, „საბინუსისათვის“, 20-19 ნიგნში

თუ შეთანხმება იდება, რომ, „როგორც არ უნდა მოხდეს განქორწინება ბავშვების ყოლის შემთხვევაში, მზითვეი ქმარს დარჩება“, პაპინიანე პრეტორ იუნიანუსს პასუხობს: ქმრის სიკვდილის მიზეზით ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში [ქმრისთვის] მზითვის დატოვების შესახებ შეთანხმება დადებულად არ ითვლება. და თუ ეს შეთანხმება დადებულ იქნა, ეს პაქტი მზითვის წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენონ, თუ ქმარი გარდაიცვალა.

3. პავლუსი, „საბინუსისათვის“, 20-3 ნიგნში

შეთანხმება, რომელიც დადებულია [პირობით] „განქორწინების შემთხვევაში“, თუ განქორწინება არ მოხდა, არ არსებობს.

4. ულპიანე, „საბინუსისათვის“, 20-3 ნიგნში

თუ შეთანხმება იდება, „რომ ნაყოფი მზითვად გადაიქცეს“, ექნება თუ არა ძალა ამ შემთხვევაში შეთანხმებას? და მარცელუსი „დიგესტების“ მერვე წიგნში ამბობს, რომ ასეთ შეთანხმებას ძალა არა აქვს, რადგან ეს შეთანხმება ქალს თითქმის უმზითვოს ხდის. მაგრამ გასარჩევია შემდეგი: თუ ქალი მზითვად მიწის

ნაკვეთს აძლევს იმ პირობით, „რომ ქმარმა მას ნაყოფი დაუბრუნოს“, ამ შეთანხმებას (პაქტს) არავითარი ძალა არ ექნება, ისევე როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც [ასეთივე] შეთანხმებით მზითვად უზუფრუქტია მიცემული. ხოლო თუ შეთანხმება [იმ პირობით] არის დადებული, „რომ ქმარმა ნაყოფი დააბრუნოს“, ე.ი. რომ მზითვეი შედგენილი იქნება იმ ნაყოფისაგან, რომელსაც ქმარი მიიღებს, ე.ი. რომ მიწის ნაკვეთი ან უზუფრუქტი ამისათვის კი არ არის გადაცემული, რომ ეს მიწის ნაკვეთი ან უზუფრუქტი სამზითვო [ნივთები] გახდეს, არამედ იმისათვის, რომ ქმარმა [მათგან] ნაყოფი მიიღოს, და ამან მომავალში მზითვეი შეადგინოს, [ასეთ შემთხვევაში] მზითვის თაობაზე სარჩელით [ცოლმა ქმარს] ნაყოფის დაბრუნება უნდა აიძულოს. ამრიგად, მზითვეი ამ ნაყოფით იქნება შედგენილი და ქმარი ისარგებლებს იმ პროცენტით, რომელიც მას შეუძლია ნაყოფის მიღების და [შემდეგ] გასესხების შედეგად მიიღოს. მე ვფიქრობ, რომ ორივე შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა განზრახვით იქნა მზითვეი მიცემული: თუ ქალმა თავის ქმარს დიდი მზითვეი მისცა იმ განზრახვით, რომ მზითვეი ნაყოფს შეედგინა, და ქმარი დაკმაყოფილდა იმ ფულით, რომელსაც იგი პროცენტის სახით მიიღებდა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ შეთანხმებას ძალა აქვს, რადგან ამ შემთხვევაში მზითვეი არაშემოსავლიანად (უნაყოფოდ) არ ითვლება. წარმოვიდგინოთ ორმოცი [ოღენობის] შემოსავლის მქონე პირი, რომელიც არ მიიღებდა მზითვად სამას [ოღენობაზე] მეტს, თუ ასეთი შეთანხმება არ იქნებოდა დადებული: რა კმაყოფილებით შეზღებოდა იგი ასეთი შემოსავლიანი მზითვის მიღებას? და რა უნდა ვთქვათ იმ შემთხვევაში, თუ ისეთი შეთანხმება დაიდო, „რომ, ქმარი ნაყოფს მზითვად აქცევს, ხოლო ცოლი კი თავის თავს და თავისიანებს შეინახავს, [მათზე] იზრუნებს და ყველა თავის მოვალეობას შეასრულებს?“ რატომ არ უნდა ითქვას, რომ ასეთ შეთანხმებას ძალა აქვს?

5. ვაპლუსი, „საბინუსისათვის“, მკ-7 ნიგნვი

არ შეიძლება დაიდოს შეთანხმება, რომ [მხარეებმა] „უარი

თქვან ზნეობის შესახებ სარჩელზე“, ან იმის თაობაზე, რომ, „მოითხოვონ მეტი ან ნაკლები“, რათა საჯარო სასჯელი კერძო შეთანხმებამ არ გააუქმოს.

§ 1. ასევე არ უნდა იქნეს დაცული შეთანხმება იმ შესახებ, რომ „არ იქნება წარდგენილი სარჩელი ნაჩუქარი ან [მეუღლეების მიერ ერთმანეთისთვის] მოპარული ნივთების თაობაზე, რადგან [ეს უკანასკნელი] შეთანხმება ცოლს ქურდობის სურვილს აღუძრავს, ზოლო პირველი [შეთანხმება] კი ცივილურ სამართალს ეწინააღმდეგება.

§ 2. და თუ შეთანხმება დაიდო, რომ „აუცილებელი ხარჯების თაობაზე სარჩელი წარდგენილი არ უნდა იქნას“, შეთანხმება არ უნდა დაიცვან, რადგან ასეთი შეთანხმება თავად კანონის თანახმად მზითევს ამცირებს.

6. ულპიანა, „ედიქტის შესახებ“, მ-4 ნიგნო

პომპონიუსი ამბობს, რომ ქმარს არ შეუძლია შეთანხმება დადოს იმის შესახებ, რომ „იგი [მზითევთან დაკავშირებით] მხოლოდ [ბოროტი] განზრახვისთვის აგებს პასუხს“, რაც, ცხადია, მეუღლეისა (ცოლის) სასარგებლოდ არის დადგენილი. თუმცა შეიძლება დაიდოს შეთანხმება იმის შესახებ, რომ „[ქმარს] არ ედება რისკი იმ მოვალის [ვალდებულებისა], რომელიც მას მზითევს დაჰპირდა“, რადგან იგი (პომპონიუსი) ემზრობა იმ მოსაზრებას, რომ ქმარს შეუძლია შეთანხმება იმის შესახებ, „რომ მზითევი ცოლის რისკზე იქნება“ და, პირიქით, „რომ მზითევი, რომელიც ცოლის რისკზეა, ქმრის რისკი გახდეს“.

7. პომპონიუსი, „საბინუსისათვის“, მ-15 ნიგნო

როდესაც მამა ქალიშვილისთვის [სიძეს] მზითევს აძლევს, მაშინ უმჯობესია, რომ სიძემ შეთანხმება ორივესთან (ე.ი. მამასთან და ქალიშვილთან) დადოს, თუმცა მზითევის მიცემისას იმ პირს, რომელიც მზითევს იძლევა, ცოლის გარეშე შეუძლია იმ პირობების დაწესება, რომელიც მას სურს. მაგრამ თუ მამას ხელშეკრულების დადება მზითვის მიცემის შემდეგ სურს, მაშინ ამ ხელშეკრულების დადებაში ორივე მხარის მონაწილეობაა საჭირო, რადგან ამ დრო-

ისტვის ცოლს მზითვევი უკვე მიღებული აქვს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება მხოლოდ მამის მიერ იქნა დადებული, ქალიშვილის [მონაწილეობის] გარეშე, მაშინ, გინდ [შემდგომში ამ საკითხზე] სარჩელი მან მარტომ აღძრას და გინდ – ქალიშვილთან ერთად, დადებული შეთანხმება ზიანსაც და სარგებელსაც მხოლოდ მას (ე.ი. მამას) მოუტანს. თუ სარჩელს მხოლოდ ქალიშვილი წარადგენს, მაშინ [მამის მიერ დადებული შეთანხმება] ქალიშვილს არც სარგებელს მოუტანს და არც – ზიანს. მაგრამ თუ შეთანხმება მხოლოდ ქალიშვილის მიერ არის დადებული, რომლითაც მამის მდგომარეობა უმჯობესდება, მაშინ [ეს შეთანხმება მამას] სარგებელს მოუტანს, რადგან მამას ქალიშვილის მეშვეობით შეეძენა შეუძლია, ხოლო ქალიშვილს მამის მეშვეობით – არა. მაგრამ თუ ქალიშვილმა [მამისთვის] საზიანო შეთანხმება დადო, მაშინ, ქალიშვილის მიერ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში ზიანი თავად ქალიშვილს მიადგება, ხოლო მამას იგი ზიანს ვერანაირად ვერ მიაყენებს, თუ სარჩელი მამას ქალიშვილთან ერთად არ აქვს წარდგენილი. უნდა ითქვას, რომ ქალიშვილს მის მიერ დადებული შეთანხმებით მამის მდგომარეობის გაუარესება არ შეუძლია იმის გამო, რომ ქორწინების განმავლობაში ქალის გარდაცვალების შემთხვევაში მზითვევი მამას დაუბრუნდება.

8. პავლუსი, „საბინუსისათვის“, მკ-7 ნიგნვი

თუ მამა შეიშალა ან მტრებთან ტყვედ ჩავარდა და ამ პერიოდში ოჯახის ვაჟიშვილი ან ქალიშვილი დაქორწინდნენ, მაშინ აუცილებლობა მოითხოვს, რომ მზითვის თაობაზე ხელშეკრულების დადება მხოლოდ მათთან (ე.ი. ოჯახის შვილებთან) გახდეს შესაძლებელი.

9. კომპონუსი, „საბინუსისათვის“, მკ-16 ნიგნვი

თუ ისეთი შეთანხმება დადებული, რომ ქალის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ სიმამრი ცოცხალია, მზითვევი თავად მას (ე.ი. სიმამრს) დაუბრუნდეს, ხოლო თუ ის გარდაიცვალა, მის ვაჟიშვილს, ხოლო თუ ვაჟიშვილიც გარდაიცვალა, მაშინ მთლიანად „საკუთარ მეგვიდრეს“²⁸, მაშინ, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ „კეთილი“ განმარტების მეშვეობით [ეს] სტიპულაცია სასარგებლო იქნება.

10. იზივია, „საბინუსისათვის“, 26-ე ნიბნში

ჰაჰამ, იკისრა რა თავისი შეილიშვილი ქალისათვის მზითვის მიცემა, შეთანხმება დადო, რომ „არც თვითონ და არც მისი ვაჟიშვილი მზითვეს არ მოითხოვენ, მაგრამ ვაჟიშვილის გარდა მზითვეი შეიძლება მისმა სხვა მეგვიდრემ მოითხოვოს“. ვაჟიშვილმა შეთანხმებიდან გამომდინარე შესაგებლით უნდა დაიცვას თავი, რადგან „ჩვენი მეგვიდრეების“ დაცვა დაშვებულია. და არაფერი აბრკოლებს იმას, რომ განსაზღვრულმა პირმა, თუ იგი „თავისი მეგვიდრეა“, თავის დაცვა შეძლოს. ასე წერს ცელსუსი.

11. ულპიანა, „ედიქტის შესახებ“

თუ მამა მზითვეს დაჰპირდა და შეთანხმება დადო, რომ „მის (ე.ი. მამის) სიცოცხლეში მზითვეს არ მოითხოვენ, და რომ მზითვეს არ მოითხოვენ [ასევე] მანამდე, სანამ ქორწინება გრძელდება“, მაშინ ეს შეთანხმება ღვთაებრივი სვეერუსის კონსტიტუციით ისე უნდა იქნეს განმარტებული, თითქოს მას დამატებული აქვს [სიტყვები]: „მის სიცოცხლეში“; მამის სიყვარულის და კონტრაქტების ნების გათვალისწინებით ეს [შეთანხმება] ისე უნდა გავიგოთ, რომ შეთანხმების ბოლო ნაწილიც ცოცხალ მამასთან დაკავშირებულად განიხილება, რათა სხვა მოსაზრებამ მზითვის ნაყოფის ქორწინების ხარჯებისთვის გამოყენება არ გამორიცხოს; და დიდად უღირსი [საქმე] იქნებოდა, რომ ამ მოსაზრების შედეგად ქალი მზითვის არმქონედ ჩაეთვალოს. ამ რესკრიპტიდან გამომდინარეობს, რომ თუ ქალიშვილი მამის სიცოცხლეში მოკვდა, ან თუ განქორწინება მოხდა ისე, რომ ეს ქალის ბრალი არ არის, მაშინ, არც ერთ შემთხვევაში [სიძეს] მზითვის მოთხოვნა არ შეუძლია. ხოლო თუ ქორწინება გრძელდება და მამა კვდება, მაშინ [სიძეს] მზითვის მოთხოვნა შეეძლება.

12. პავლუსი, „ედიქტის შესახებ“, 61-3 ნიბნში

თუ მამამ მზითვეი მისცა და შეთანხმება დადო, რომ „ქორწინების განმავლობაში ქალიშვილის სიკვდილის შემთხვევაში მზითვეი ქმარს რჩება“, მაშინ, ჩემი აზრით, შეთანხმება დაცული უნდა იქნეს, თუნდაც ბავშვები არ არსებობდნენ.

§ 1. ხელშეკრულებებში, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ქორწინებამდე ან ქორწინების შემდეგ დებენ, ზოგიერთი რამ მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული, მაგალითად, შეთანხმება იმის შესახებ, რომ „ქალმა თავი დაპირებული მზითვეით ირჩინოს და რომ მას მზითვეი არ მოთხოვონ, ვიდრე იგი ამ ქორწინებაში იმყოფება“; ან შეთანხმება იმის შესახებ, „რომ იგი (ქალი) ქმარს გარკვეულ თანხას მისცემს და რომ ქმარმა იგი უნდა არჩინოს“ და ა.შ. შეთანხმების სხვა ნაწილები კი სამართალს მიეკუთვნება, მაგალითად, [ნაწილები], რომლებშიც დადგენილია, თუ როდის ან როგორ უნდა დააბრუნონ მზითვეი, ამ საკითხებში კონტრაქტების ნებას ყოველთვის არ იცავენ. მაგრამ, თუ დადებულია შეთანხმება, რომ „მზითვეი საერთოდ არაფერს მოითხოვოს“, მაშინ ქალს მზითვეი არ ექნება.

§ 2. თუ ქალმა შეთანხმება დადო, რომ „მას არ მოთხოვენ მზითვის ნახევარზე მეტს და დაისჯებიან პირგასამტეხლოს გადახდით, [თუ მეტს მოითხოვენ], მაშინ, მელას აზრით, [ქალი] ორიდან ერთ-ერთით უნდა დაკმაყოფილდეს: ან შეთანხმებიდან გამომდინარე შესაგებლით და სასჯელის ვალდებულების აღიარებით, ან თუ იგი სტიპულაციიდან გამომდინარე სარჩელს წარადგენს, შესაგებელზე უარის თქმით.

§ 3. თუ ქალმა მზითვად მიწის ნაკვეთი მისცა და შეთანხმება დადო, რომ „რამდენადაც [მიწის ნაკვეთის] ფასი გაიზრდება, იმდენად გაიზრდება მზითვეიც“, მაშინ მელას აზრით, ეს [შეთანხმება] უნდა დაიცვან, რადგან შესაძლებელია საწინააღმდეგო [შინაარსის] შეთანხმების დადება, რომლის თანახმად „თუ მიწის ფასი დაიკლებს, მაშინ ვალდებულება თავად ქალს ეკისრება“.

§ 4. თუ ქალი (ცოლი) შეთანხმებას დადებს, რომ „შეფასებული მიწის [ფასი] გინდ გაიზარდოს და გინდ შემცირდეს, რამდენადაც ის გაიყიდება, მზითვეიც იმდენი იქნება“, მაშინ ეს შეთანხმება უნდა დაიცვან. მაგრამ თუ მიწის ფასის შემცირება ქმრის ბრალია, მაშინ ამ [დანაკლისს] ქალი (ცოლი) მიიღებს.

13. იულიანა, „ლიბანსტაბი“, 61-17 ნიგნვი

თუ მიწის ნაკვეთი არ გაიყიდა, ქალს მისი ფასი უნდა მისცენ.

14. პავლუსი, „ედიქტის შესახებ“, 35-ე ნიგეში

[ქმრის მიერ] მზითვის დაბრუნების ვადის შესახებ ისეთი წესი არსებობს, რომ მზითვის დაბრუნების ვადის თაობაზე შეთანხმების დადგენა შესაძლებელია, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ ქალის მდგომარეობა არ გაუარესდეს.

15. ბაიუსი, „პროვინციული ედიქტის შესახებ“, 31-11 ნიგეში

ე.ი. [შეიძლება დაიღოს შეთანხმება], რომ მზითვეი უახლოეს დროში დააბრუნონ.

16. პავლუსი, „ედიქტის შესახებ“, 35-ე ნიგეში

მაგრამ არ შეიძლება დაიღოს შეთანხმება, რომ მზითვეი [კანონით გათვალისწინებულთან შედარებით] „უფრო შორეულ დროში დაუბრუნონ“ ისევე, როგორც, „რომ საერთოდ არ დაუბრუნონ“.

17. პროკულუსი, „ეპისტოლეი“, 31-11 ნიგეში

ატელიცინუსის სალაში მის [მეგობარ] პროკულუსს: თუ ქმარსა და ცოლს შორის ქორწინებამდე დაიღო შეთანხმება, რომ „რა ვადაშიც მზითვეი იქნება მიცემული, [ქმარმაც] განქორწინების შემთხვევაში იგი იმავე ვადაში დააბრუნოს“. ცოლმა ქმარს მზითვეი დაქორწინებიდან ხუთი წლის შემდეგ მისცა. მე კითხვას ვსვამ: განქორწინების შემთხვევაში ქმარმა ცოლს მზითვეი ხუთ წელიწადში უნდა დაუბრუნოს თუ კანონით დადგენილ ვადაში? პროკულუსი პასუხობს: რაც შეეხება მზითვის დაბრუნების ვადას, ვფიქრობ, რომ შეთანხმებით ქალის მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლება, მაგრამ გაუარესება არ არის დაშვებული. ასე რომ, თუ [შეთანხმებით] გათვალისწინებულია, რომ „[მზითვეი] დააბრუნონ უფრო ახლო ვადაში, ვიდრე ეს კანონით არის დადგენილი, მაშინ ეს შეთანხმება უნდა დაიცვან. ხოლო თუ [შეთანხმების თანახმად მზითვეი კანონით გათვალისწინებულთან შედარებით] უფრო ხანგრძლივ ვადაში უნდა დააბრუნონ, მაშინ ასეთ შეთანხმებას ძალა არა აქვს. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ლოგიკურია დავასკვნათ, რომ, თუ შეთანხმება დაიღო, რომ „ქორწინების

შემდეგ რა ვადაშიც მზითევს აძლევენ, განქორწინების შემთხვევაში მზითვეი განქორწინებიდან იმავე ვადის გასვლის შემდეგ დააბრუნონ“, მაშინ, თუ ეს ვადა უფრო მცირეა, ვიდრე ეს კანონით არის დადგენილი, შეთანხმებას ძალა ექნება, ხოლო თუ ეს ვადა [კანონით დადგენილზე] უფრო ხანგრძლივია, მაშინ შეთანხმებას ძალა არ ექნება.

18. იულიანა, „ღიგასტაგი“, 61-18 ნიგნვი

თუმცა ქორწინების არსებობის პერიოდში ქმარსა და ცოლს შორის არ შეიძლება დაიღოს შეთანხმება, რომ „მზითვეი [კანონით დადგენილთან შედარებით] უფრო ხანგრძლივი დროის შემდეგ დააბრუნონ“, მაგრამ, თუ განქორწინების შემდეგ ასეთ შეთანხმებას რაიმე კანონიერი საფუძველი ექნება, მაშინ ეს შეთანხმება უნდა დაიცვან.

19. ალფანუსი, „პავლუსის მხარე მოკლედ ჩანარილი ღიგასტაგი“, 61-3 ნიგნვი

სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, თუ მამა ქალიშვილისთვის მზითვის მიცემას ისე დაჰპირდა, რომ „მზითვეი მის მიერ დაბრუნებული იქნება ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად თანაბარი წილის მიცემით“, და შეთანხმება დაიღო, რომ „მზითვეი დაუბრუნდება იმავე ვადაში, რა ვადაშიც განქორწინება მოხდება“, რადგან ამ შეთანხმებას იმ შემთხვევაში ექნება ძალა, თუ ქალიშვილი მამის შემკვიდრე იყო და შეთანხმებაც მისი მონაწილეობით დაიღო.

20. პავლუსი, „ელიქტის შესახებ“, 35-ე ნიგნვი

ძალა აქვს იმავე პერიოდში, ე.ი. განქორწინების შემდეგ, დადებულ შეთანხმებას ქალისთვის ნაჩუქარი, ან ქალის მიერ მითვისებული (მიტაცებული) ნივთების, ან [ქმრის მიერ] მზითვეზე გაწეული ხარჯების შესახებ.

§ 1. თუ გარეშე პირს, რომელიც ქალისთვის თავისი [ქონებიდან] მზითვის მიცემას აპირებს, ამასთან დაკავშირებით რამე შეთანხმების დადება სურს, მას ნებისმიერი შეთანხმების დადება შეუძლია და თანაც ქალის უკითხავად, ზუსტად ისევე, როგორც

მას შეუძლია, რომ [ამავე საკითხზე] სტიპულაცია განახორციელოს, რადგან იგი შეთანხმებას საკუთარი ქონების შესახებ ღებს. მაგრამ მზითვის მიცემის შემდეგ, მან შეთანხმება [მხოლოდ] ქალის თანხმობით უნდა დადოს.

§ 2. თუ დაიღო შეთანხმება, რომ „[ქმარმა] არც ცოლს და არც [ცოლის] მამას მზითვეი არ მოთხოვოს“, მემკვიდრეს შესაგებელი არ ექნება. ხოლო თუ შეთანხმდნენ, რომ „ქორწინების არსებობის პერიოდში მამის სიცოცხლეში მზითვეი [ქმარმა] არ მოითხოვოს“, მაშინ ქმარი მზითვეს [ცოლის] მამის გარდაცვალებისთანავე მიიღებს. და თუ ქმარი მზითვეს არ მოითხოვს, მაშინ ამ დაუდევრობის გამო პასუხისმგებლობა დაეკისრება, თუ მზითვის მიღება შესაძლებელი იყო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განქორწინება მანამდე მოხდა, ვიდრე ქმარს მზითვის მოთხოვნის შესაძლებლობა ჰქონდა.

21. იულიანე, „ღიგასტაგი“, გვ-17 ნიგნვი

თუ ქალი [ქმარს] მზითვად გარკვეულ თანხას ჰპირდება და ამ თანხის ნაცვლად მზითვად მონებს აძლევს იმ პირობით, რომ „[მონების] რისკი ქალზე იქნება და, რომ „ის [ბავშვები], რომლებსაც [მონები] გააჩენენ, მას (ე.ი. ქალს) მიეკუთვნება“, ასეთი შეთანხმება დაცული უნდა იქნეს, რადგან მიღებული [წესის] თანახმად, ცოლსა და ქმარს შორის შეიძლება დაიღოს შეთანხმება, რომ „ფულის სახით მიცემული მზითვეი შეიცვალოს და ნივთებად იქცეს“, თუ ეს ქალისთვის სასარგებლოა.

22. იბივი, „ურსანიუს ზაროქსისნათვის“, გვ-2 ნიგნვი

ქმარმა ცოლისაგან მზითვად მიწის ნაკვეთი მიიღო. და მათ შორის შეთანხმება დაიღო, „რომ ყოველწლიური შემოსავლის სახით ქმარი ცოლს ამ მიწის ნაკვეთის [საიჯარო] ქირას გადაუხდის“. შემდეგ ქმარმა ეს მიწის ნაკვეთი გარკვეული სასყიდელის მისაღებად ცოლის დედას იჯარით მისცა. და ცოლის დედა (სიღერდი) კი გარდაიცვალა მაშინ, როდესაც ეს ქირა გადახდილი არ ჰქონდა და თავისი ქალიშვილი ერთადერთ მემკვიდრედ დატოვა, და ამის შემდეგ განქორწინება მოხდა. შემდეგ ქმარმა ცოლისაგან

იმ ქირის გადახდა მოითხოვა, რომელიც ცოლის დედას ქმრისათვის უნდა გადაეხადა. დადგინდა, რომ ცოლს [ამ შემთხვევაში] შესაგებელი არ უნდა მიეცეს. ზუსტად ისე, როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც ცოლსა და ქმარს შორის არ არის შეთანხმებული, რომ „ეს გადასახადი ქმარს ცოლისათვის ალიმენტის (სარჩოს) სახით მიეცა“, რადგან ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ ცოლ-ქმარს შორის ნაჩუქრობა გარკვეულწილად დამტკიცებულ იქნას, ვინაიდან ის, რაც წლიური შემოსავლის სახით იქნა მიცემული, მზითვის სახეობას წარმოადგენს.

23. აზრიკანუსი, „შაკითხვაჲი“, მკ-7 ნიგნში

მამამ თავის ქალიშვილს მზითვეი მისცა და შეთანხმება დადო, რომ „ქალიშვილის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ იგი ერთს ან რამდენიმე ბავშვს დატოვებს, მზითვეი, [ერთი] მესამედის გამოკლებით, მას (ე.ი. მამას) დარჩება, ან მისი (ე.ი. მამის) სიკვდილის შემდეგ მზითვეი დაუბრუნდება მისი ხელისუფლების ქვეშ მყოფ რომელიმე ბავშვს. შემდეგ ეს [შეთანხმება] სტიპულაციით დამტკიცდა. მამის სიკვდილის შემდეგ ქალიშვილი იმავე ქორწინებაში გარდაიცვალა და ბავშვები დატოვა. ისმის კითხვა: შეუძლიათ თუ არა ამ ბავშვებს სტიპულაციიდან გამომდინარე [მზითვის] ორი მესამედის ნაწილის მოთხოვნა? მე ვუპასუხე, რომ შეუძლიათ, რადგან ამ სტიპულაციის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ქორწინების [არსებობის] დროს ქალის გარდაცვალების შემთხვევაში მზითვეი მამას დაუბრუნდეს. და ეს ზუსტად ისე უნდა იქნეს განხილული, როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც შემდეგი სტიპულაციაა დადებული: „თუ გემი აზიიდან მოვა, მპირდები, რომ მე მომცემ ან ჩემი გარდაცვალების შემდეგ ლუციუს ტიციუსს მისცემ?“ რადგან, თუ სტიპულაციის გარდაცვალების შემდეგ გემი ჩამოვიდა, [თანხა] მემკვიდრეს უნდა მისცენ.

24. ფლორანტინუსი, „ინსტიტუციიჲი“, მკ-3 ნიგნში

თუ ქმარსა და ცოლს შორის შეთანხმება დაიდო, რომ „მზითვის გარკვეული ნაწილი ან მთელი მზითვეი შენარჩუნებულ იქნას ერთი ან რამდენიმე ბავშვის [არსებობის] შემთხვევაში

[მათს სასარგებლოდ]“, ასეთი შეთანხმება უნდა შესრულდეს იმ ბავშვების სახელითაც კი, რომლებიც მანამდე დაიბადნენ, ვიდრე მზითვეი იქნა მიცემული ან ვიდრე მზითვეი გაიზარდა, რადგან საკმარისია, რომ ბავშვები იმ ქორწინებაში იყვნენ გაჩენილნი, რომელ ქორწინებასთან დაკავშირებითაც ეს მზითვეია მიცემული.

25. ულანიანი, „პასუხები“, 1-ლ ნიგნვი

თუ ქმარმა შეთანხმება დადო, რომ „მზითვეს დააბრუნებს მაშინ, როდესაც ცოლი ქორწინების პერიოდში [ეს ეს არის] კვდება“, [ეს შეთანხმებაც] ასევე ისეთ შეთანხმებად ითვლება, რომ მზითვეი არ უნდა იქნეს დაბრუნებული. [ამ შემთხვევაში, თუ წარმოვიდგენთ, რომ მან მზითვეი არ მიიღო], მაშინ მამა სიძესთან დადებული ამ შეთანხმებით მიიღებს შესაგებელს, რომელიც მის მემკვიდრეზე გადადის.

26. პაპინიანი, „პასუხები“, მე-4 ნიგნვი

სიძესა და სიმამრს შორის დაიდო [შემდეგი] შეთანხმება, „თუ ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ მას ერთი წლის ბავშვი დარჩა, მაშინ მზითვეი ქმარს მიეკუთვნება. ხოლო თუ ეს ბავშვი დედის სიცოცხლეში მოკვდა, მაშინ ქმარი შეინარჩუნებს მზითვის ნაწილს, თუ ცოლი იმავე ქორწინების [არსებობის] პერიოდში მოკვდა“. თუ ქალი ერთი წლის ბავშვთან ერთად გემის დაღუპვის დროს მოკვდა, იმ ვარაუდის შედეგად, რომ ბავშვი დედაზე ადრე მოკვდა, დადგინდა, რომ ქმარმა მზითვის ნაწილი შეინარჩუნოს.

§ 1. თუ კაცი, რომელსაც შეთანხმებიდან გამომდინარე უფლება აქვს, რომ [თავის ქორწინებაში გაჩენილი] ქალიშვილის სახელით მზითვეი შეინარჩუნოს, შეცდომის გამო ამ მზითვეს ვერ შეინარჩუნებს, მაშინ ქალიშვილს, რომელიც თავისი მამის ერთადერთი მემკვიდრეა, ხოლო დედის მემკვიდრეობიდან კი [მხოლოდ] ნაწილი ეკუთვნის, [სავსებით] სამართლიანად შეუძლია, რომ მოსამართლესთან დედის სამკვიდროდან მამამისის მიერ შეცდომით გადახდილი მზითვის წინასწარი ამოღება მოითხოვოს.

§ 2. თუ [ქალის] მამასა და სიძეს შორის შეთანხმება დაიდო,

რომ „ქორწინების პერიოდში ქალიშვილის უშვილოდ გარდაცვალების შემთხვევაში მზითვეი მამას დაუბრუნდება“, კონტრაქტების ამ მოქმედებაში ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ, თუ ქალიშვილი ისე გარდაიცვალა, რომ მან ბავშვები დატოვა, მაშინ მზითვეიც მათ დარჩებათ (ე.ი. მამას არ უბრუნდება), და მზითვისაგან არც დამატების სახით მიცემული ნაწილი უნდა გამოჰყონ, თუ [ამ დამატების] შემდეგ სხვა რამ არ იქნა შეთანხმებული.

§ 3. შეთანხმდნენ, რომ „ცოლი ქმრის ხარჯზე იმოგზაურებს, სადაც არ უნდა წავიდეს ის“. და ამის საფუძველზე, ქმართან დადებული შეთანხმების ზუსტი დაცვით, ქალი იმ პროვინციაში გაემგზავრა, სადაც მას ცენტურიის წვერობა ჰქონდა მიღებული. თუ ქმარმა შეთანხმება სათანადოდ არ დაიცვა (ე.ი. თუ მგზავრობის ფული არ გადაიხადა), მაშინ, ქალს, მართალია, პირდაპირი სარჩელი არ ექნება, მაგრამ მას უნდა მიეცეს [პრეტორის მიერ] სპეციფიკური გარემოებიდან გამომდინარე სარჩელი.

§ 4. ქალიშვილმა, რომელიც [ქმარს] თავისივე მზითვეს დაჰპირდა, შეთანხმება დალო, რომ, „თუ იგი ქორწინების არსებობის პერიოდში უშვილოდ მოკვდება, მზითვეს დედამისს დაუბრუნებენ“. ქალიშვილის ამ შეთანხმებით დედამისს არაეითარი სარჩელი არ ეძლევა. მაგრამ თუ ქალიშვილის შემკვიდრე დედას მზითვის თანხას გადაუხდის, მაშინ ქმარი, თუ იგი შეთანხმების მითითების საწინააღმდეგოდ მზითვეს მოითხოვს, შესაგებლით იქნება აცილებული.

